

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

31-32

ქვეყნის ქვეყნადა



საქართველოს
კულტურის ძეგლების
დაცვის საზოგადოება

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1973





ქართული
ენობის
სამეცნიერო
სამუშაოები



უშგული, 1946 წ.



სერია: „მატიანეა ლეონი კულტურის ძეგლები“ ეროვნული
ფონდის ინიციატივით

ქველვის ქუთხარი

კრებული ოცდამეთერთმეტი — ოცდამეთორმეტი

განმედი სავსტობლოგროვ სავსტობლოგროვ

საკრედიტო კოლეჯი: ირავლი აბაშიძე, შალვა აბიანაშვილი, ანდრია
აფსაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ლალო გუდიაშვილი,
ოთარ თაქთაიშვილი, თეიმურაზ კანდელაკი, ირაკ-
ლი ჯაჭარიანი, ნიკო კაცორავი, ლევან მატა-
რაძე, ოთარ სანთაძე, ლია წილქანი (პ/მგ. მღი-
ვანი), გიორგი ჩიტაია, ვახტანგ ცინციაძე.

ირაკლი ზაქარიაშვილი

საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივი
ბის პრეზიდიუმის სწავლული მდივანი

კულტურის ძეგლებს — მზრუნველი ხელი

ქართველი ხალხი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ერია, რომელმაც ხანგრძლივი ქარიშხლიანი გზა გამოიარა და ჩვენს დრომდე მოვიდა სისხლტარბი და ენერჯია-დაუშრეტელი, ახლა კი სსრკ კავშირში შემაველ მოძმე ერებთან ერთად კაცობრიობის ბუნდოვანების მერმისის — კომუნიზმის მშენებლობისათვის იღვწის.

„ძნელი და ნარკელიანი იყო საქართველოს გზა საუკუნეთა და ათასწლეულთა განმავლობაში. მაგნიტივით იზიდავდა ამიერკავკასია დამპყრობთა ურდოებს. ვის არ დაულაშქრავს ეს მიწა. მაგრამ ჭირვარამა, რომელიც წილად ხვდა ქართველ ხალხს, ვერ მოდრიკა იგი, ვერ ჩაქრო მისი შემოქმედებითი ენერჯია. ეს ენერჯია ისევ და ისევ აღადგენდა საქართველოს ნანგრევებიდან და ფერფლიდან“ — ეს სიტყვები, საოცარი სიზუსტით რომ გადმოსცემენ ქართველი ხალხის წარსულს, მის ბუნებას და შემოქმედებით შესაძლებლობებს, წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდაათი წლისთავისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი ქმნიდა სულიერი და მატერიალური კულტურის ღირსშენებლოვან ძეგლებს. ქართველი ერის შემოქმედებითი გენიის ნაყოფია მცხეთა და ვანი, უფლისციხე და ვარძია, გელათი და ალავერდი, ოპიზარები და პეტრიწონელი, ათონელი და გარეჯელი, მოზაიკოსები და მხატვრები, ჩუქურთმის მჭრელი და მკეჭურნი, სვანეთისა და ფშავ-ხევსურეთის საფორტიფიკაციო ნაგებობების დამფუძნებელი.

საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხი ებრძოდა გარეშე მტრებს და სიცოცხლის ფასად იცავდა მატერიალური და სულიერი კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლებს, მაგრამ პერმანენტულმა შემოსევებმა და შემდეგ ცარიზმის ანტიხალხურმა კოლონიალურმა პოლიტიკამ, როგორც სულიერი, ისე მატერიალური კულტურის ძეგლები მოსპობის პირად მიიყვანა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე წლებიდან საქართველოს მთავრობა შეძლებისდაგვარად ცდილობდა მატერიალური კულტურის ფასეულობათა გამოვლინებას, მეცნიერულ შესწავლას და დაცვა-პატრონობას. განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს ომის შემდგომ წლებში მიექცა.

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა: სსრკ ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლები, რომლებსაც აქვთ



მეცნიერული, ისტორიული ან მხატვრული მნიშვნელობა, წარმოადგენს სახელმწიფო-
ნებას და ხელულებელია, მათ იცავს სახელმწიფო. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავ-
შირებით მომხმ რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭო-
ებმა მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი მატერიალური კულტურის ძეგლების დასა-
ცავად.

1948 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომი-
ტეტის დადგენილება, რომელშიც კონკრეტულად დაისახა ღონისძიებები კულტურის
ძეგლების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე.

ისტორიულმა გადაწყვეტილებამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული მატერია-
ლური კულტურის ძეგლების მეცნიერული შესწავლისა და დაცვის საკითხი. უსაზღ-
როდ გაიზარდა მოსახლეობის ინტერესი ქართულ კულტურისადმი, რამაც აუცილებელ-
ი გახადა ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა რესპუბლიკის მოსახ-
ლეობის ფართო ფენებში იმ მეცნიერული მიღწევების პროპაგანდას, რაც ქართულმა
საბჭოთა მეცნიერებამ დააგროვა მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევის დარგ-
ში და მოსახლეობის დიდ ნაწილს ჩააბამდა მატერიალური კულტურის ძეგლების
დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. ეს ნაბიჯი დროულად იქნა გადადგმული.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ინიციატივით, საქართველოს კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აქტიუ-
რი მხარდაჭერით, საბჭოთა კავშირში პირველად 1959 წელს საქართველოში შეიქმნა
მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. ეს არც შემთხვევითია და
არც მოულოდნელი. ჩვენმა ერმა შექმნა უშესანიშნავესი მატერიალური და სულიერი
კულტურის ნიმუშები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერული
ესთეტიკური ღირებულება.

საზოგადოება მიზნად ისახავს თავის რიგებში გააერთიანოს რესპუბლიკის მო-
სახლეობის ყველაზე აქტიური წევრები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ სა-
ზოგადოების საქმიანობაში. მან უმოკლეს დროში საყოველთაო აღიარება მოიპოვა და
თავისი არსებობის მეთოთხმეტე წელს გარკვეული წარმატებები თხვდება. იგი, თავის
რიგებში გაერთიანებულ ხუთასი ათასიან არმიაზე დაყრდნობით. მიზნად ისახავს აქტი-
ური მონაწილეობა მიიღოს და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ ტერი-
ტორიაზე მატერიალური კულტურის ძეგლების და რესპუბლიკის გარეთ მდებარე
ქართული კულტურის ძეგლთა დაცვას, აღდგენა-გამაგრებას, გამოვლინებას და მეცნი-
ერულ შესწავლას.

საზოგადოება სახსრებს არ იშურებს და შეძლებისდაგვარად ცდილობს დროულად
და მაღალმეცნიერულ დონეზე ჩაატაროს მატერიალური კულტურის ძეგლების აღდ-
გენა-გამაგრებითი სამუშაოები.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინიციატივით გამოვ-
ლინდა და პირვანდელი სახით აღდგენილი იქნა XI საუკუნის ხუროთმოძღვრების
შესანიშნავი ძეგლის სვეტიცხოვლის კარიბჭე. ჩატარებულმა მუშაობამ მეტი სიღბადე
და გარკვეულობა შეიტანა სვეტიცხოვლის ანსამბლის შემეცნებისა და აღქმის საქმე-
ში. საზოგადოების სახსრებით აქვე გამოვლინდა ძველი სასახლის ფრაგმენტები და
მოხდა მისი კონსერვაცია. რა თქმა უნდა სვეტიცხოვლისა და მისი შემოგარენის მეც-
ნიერული შესწავლის, რესტავრაციის და კეთილმოწყობის საქმეში უპირველესი სიტყ-
ვა თქვა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ.

საზოგადოების სახსრებით წლების განმავლობაში დიდი სამუშაოები ჩატარდა ვარლის რაიონში, საზოგადოების სახსრებით აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდა გრემის მთავარანგელოზის ეკლესიაზე და კოშკ-საცხოვრებელზე. ამის შემდეგ საზოგადოებრივ საწყისებზე მოეწყო გამოფენა-მუზეუმი, რომელიც მნახველთა გარკვეულ ინტერესს იწვევს.

დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად ყვარელში გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდა ჭავჭავაძეთანთ კარის ეკლესიაში, სადაც აგრეთვე დიდი რეჟისორის წინაპრებიც განისვენებენ.

საზოგადოების სახსრებით გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდა წალენჯიხაში ძეგლის მსატვრობის გადასარჩენად, აგრეთვე შემოქმედში, ზედაზნში, ხონის წმინდა გიორგის ეკლესიაზე და სხვ.

საზოგადოების პრეზიდიუმმა აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები განსაკუთრებით გააფართოვა გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში. ამ პერიოდში მოხდა ზედაზნის, იყალთოს არქიტექტურული ანსამბლისა და ალავერდის აღდგენა-გამაგრება.

ალავერდში გამოვლინდა კედლის მონუმენტური ფერწერა, რომელიც სპეციალისტთა აზრით XV საუკუნეს მიეკუთვნება და რამდენადმე აესებს ქართული ფერწერის ისტორიის აღნიშნულ პერიოდს.

მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ცალკეული პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც მიმაგრებული არიან ანა თუ იმ ძეგლზე და შეფობენ მას. ჩვენთვის ცნობილია არა ერთი ფაქტი, როდესაც წარმოება, დაწესებულება თუ კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა შეფობას უწევს ანა თუ იმ ძეგლს, ატარებს აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს ანდა დაცვა მოვლა-პატრონობას. ამ მხრივ სამაგალითია გონიოს მეციტრუსეობის მეურნეობა, რომელიც შეფობას უწევს აფსარის-გონიოს ანტიკური ხანის ნაქალაქარს. ასევე ბათუმის ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხანა შეფობას უწევს ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლის თამარის ციხეს. საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვისა და გადარჩენისათვის. მომავალშიც საზოგადოება ყოველწლიურად გაიღებს თანხებს ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლების შეაკეთებლად, როგორცაა პეთანია, ქვათახევი, ზარზმა და სხვ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი რიგზე როდია. მრავალი ციხე, ეკლესია, ნახაზლარი თუ სხვა ნაგებობა ჯერ კიდევ მზრუნველ ხელს მოელის.

საზოგადოების პრეზიდიუმში დიდ ყურადღებას აქცევს მატერიალური კულტურის ძეგლების პროპაგანდის საქმეს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ როგორ მაღალი-დგურ და მეცნიერულ დონეზე ტარდება სამეცნიერო სესიები, კონფერენციები, ლექცია-მოსხენებები და სხვა. აღსანიშნავია, რომ მრავალი კულტურის ძეგლი ქართული ხუროთმოძღვრების პროპაგანდის სამსახურში ჩადგა. ასე მაგალითად, ბიჭვინთის შესანიშნავ ძეგლში მოეწყო გამოფენა, რომელიც რამდენიმე ათას კაცს აქვს დათვალიერებული, ექსპოზიცია მოეწყო აგრეთვე გრემში, გაგრაში, ლაგოდებში და სხვაგან. გამოფენებზე ექსპონირებულია მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი მიძღვნილი მასალები, აგრეთვე ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის რელიკვიები, რომლებიც ასახვენ ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინიციატივით მიმდინარე პირველი საკავშირო თათბირ-სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყველა მსაკავშირე რესპუბლიკამ, სემინარი მიეძღვნა სურთაშორისო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სემინარის მონაწილეები გაეცნენ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქმიანობას, აგრეთვე ქართული კულტურის ძეგლებს მცხეთასა და სამთავისში, რამაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების პროპაგანდისტების დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგამომცემლო საქმეს. გამოიცა ბუკლეტები, გზამკვლევები, ფოტო-ილუსტრირებული ალბომები, ფოტო-კრებულები და სხვა, რომელთა საერთო ტირაჟმა რამდენიმე ასეულ ათასს გადააჭარბა. მაღალ მეცნიერულ და პოლიგრაფიულ დონეზე გამოვიდა ვ. ცინცაძის „ბაგრატის ტაძარი“, რ. გვერდწითელის „მცხეთა“, კ. მელითაურის „ვარძია“, რ. მეფისაშვილის „გელათი“, ნ. ჯანბერიძის „ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები“ და სხვ.

საზოგადოების გამოცემულ ლიტერატურაში საპატიო ადგილს იკავებს საზოგადოების ყოველკვარტალური კრებული „ძეგლის მეგობარი“, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე გამოდის. უმოკლეს დროში მან მკითხველთა დიდი წრე შეიძინა. მის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერები და მწერლები, აგრეთვე რიგითი მკითხველები, საქართველოს ისტორიითა და მისი კულტურით დაინტერესებული ენთუზიასტები.

აღსანიშნავია, რომ კრებულ „ძეგლის მეგობარს“ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ორგანომ „სოვეტსკაია არქეოლოგია“.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება მომავალშიც გააფართოებს საგამომცემლო საქმეს. სათანადო გამომცემლობებს გადაეცათ და მომავალში მკითხველი მიიღებს ვ. ბერიძის ფუნდამენტალურ ნაშრომს „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, პ. ზაქარაიას, რ. მეფისაშვილის, ნ. ჯანბერიძის, ვ. ცინცაძის წიგნებს ქართული ხელოვნების საინტერესო საკითხებზე. მიუხედავად აღნიშნულისა, საგამომცემლო საქმეში გვაქვს ნაკლოვანებებიც: მომავალში მეტი რაოდენობით უნდა გამოეცეთ ღია ბარათები, გზამკვლევები, სამკერდე ნიშნები და სხვ., რაც უშუალოდ ძეგლებთან უნდა გაიყიდოს.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინიციატივით ვაკის პარკსა და კუს ტბას შორის დაიწყო ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმის მშენებლობა. ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერით მუზეუმის მშენებლობისათვის სერიოზული ნაბიჯები გადადგმული, რამაც საშუალება მისცა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განაგრძოს მისი საბოლოო გაშენება და მოწყობა. საზოგადოების პრეზიდიუმს მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული მუზეუმის დირექციასთან და შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ აკლებს.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმში ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა საკავშირო ღონისძიებებში. იგი, როგორც უძველესი ორგანიზაცია, აქტიურად ემზარება ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებს საზოგადოებების ჩამოყალიბებასა და მისი საქმიანობის გაშლა-გაფართოებაში.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება გარკვეული მიზნებით შეხვდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის სახელოვან ორმოცდაათ წლისთავს, კვლავაც ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძვის მის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრისათვის, რათა მატერიალური კულტურის თითოეულ ძეგლს ეტყობოდეს მზრუნველი ხელი, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული და ესთეტიკური აღზრდის საქმეს.



ვლადიმერ ივანოვი

სრულიად რუსეთის ისტორიისა და კულტურის
რესპუბლიკის დაცვის საზოგადოების ცენტრ-
ლური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე, რუსის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ძველთა დაცვა — საპატიო პატივი

ისტორიის და კულტურის ძველთა დაცვის სრულიად რუსეთის საზოგადოების პირველი ორგანიზაციული ყრილობა შედგა 1966 წელს მოსკოვში. დელეგატები საზოგადოების 2600 ათას წევრს წარმოადგენდნენ. წლების მანძილზე იზრდებოდა წევრთა რიცხვი და მეორე ყრილობისათვის, რომელიც 1972 წელს შედგა ლენინგრადში, რვა მილიონს გადააჭარბა.

საზოგადოებას დიდი დახმარება გაუწიეს სახელმწიფო დაწესებულებებმა, საწარმოებმა, კომმუნურნიებებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც კოლექტიურად წევრიანდებოდნენ. ახლა საზოგადოება 42 ათასზე მეტ ასეთ ორგანიზაციას ითვლის. ყველაზე უფრო მასობრივი ორგანიზაციული რგოლი საზოგადოებისა არის პირველადი ორგანიზაცია. სწორედ ეს არის ძირითადი რგოლი, რომელშიც თავს იყრის საზოგადოების პრაქტიკული საქმიანობის ყველა სახეობა და იგი მუდამ იყო ადგილობრივი განყოფილების პრეზიდიუმის ყურადღების ცენტრში.

დღეისათვის უკვე ჩამოყალიბებულია პირველადი ორგანიზაციების მოღვაწეობის ტრადიციული ფორმები. სკოლებისათვის ეს არის ლაშქრობების მოწყობა რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო დიდების ადგილებში. მათ პროგრამაში შეტანილია ყველა სახის ძველთა პირველადი შესწავლისა და ფიქსაციის მრავალი საკითხი. სასკოლო ორგანიზაციები ახორციელებენ შეფობას ძველების მიმართ: თვალყურს ადევნებენ ძველის სასუფთავებს, რგავენ ყვავილებს, ხეებს, ბუჩქებს. საზოგადოების წევრები მონაწილეობენ ექსკურსიებში, ნახულობენ ისტორიული და კულტურის ძველთა შესახებ შექმნილ კინოპროგრამებს, აგროვებენ მასალებს სასკოლო მუზეუმებისათვის.

სასკოლო პირველად ორგანიზაციებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ბავშვთა მიერ შესრულებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა-კონკურსები, რომელთა დევიზია „სამშობლო“. 1969 წლიდან კონკურსის სამი ათასზე მეტი მონაწილე ავსენის თავის ნახატებს, რომელთაგანაც ჯიური აწყობს რესპუბლიკურ და მოძრავ გამოფენებს.

ყოველივე ამას აკისრია აღმზრდელითა იფუნქცია, კარგი საშუალებაა აგრეთვე ისტორიის, ლიტერატურის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად, ხელს უწყობს პიროვნების კუმანტარულ განვითარებას.

უმადლესი სასწავლებლების ორგანიზაციებში ტრადიციული ექსკურსიების, ლექციების, თემატური საღამოების, კინოსურათთა სპეციალური პროგრამების გარდა დიდად გავრცელდა სარესტავრაციო-სამშენებლო რაზმების ჩამოყალიბება.

1969 წელს მხოლოდ მოსკოველი სტუდენტების რაზმებმა ორმოცდაათ დღეში 140 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს, 1970 წელს — 281,4 ათასი მანეთისა, ხოლო 1971 წელს 462,5 ათასი მანეთისა. ძნელია ვეროვნად შეაფასო სამშენებლო-სარესტავრაციო რაზმების სტუდენტთა მუშაობა. გარდა იმისა, რომ ხელს უწყობ-



დნენ ძველთა დაცვას ძნელად მისადგომ ადგილებში, სადაც რსფსრ კულტურის სახელმწიფო ინსტროს სპეციალური სარესტავრაციო საბუღოსნოების ყურადღება ვერ აღწევდა, მათ უდიდესი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ჩატარეს რაზმების დისლოკაციის რაიონების დასახლებული პუნქტების ახალგაზრდობასთან.

მრავალი უმაღლესი სასწავლებლის პირველადი ორგანიზაცია მონაწილეობს არქეოლოგიურ გათხრებში, ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, აგროვებს მასალებს ისტორიული და კულტურის ძეგლთა კრებულებისათვის.

საწარმოო დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი ორგანიზაციები პრაქტიკულ საქმიანობას ანხორციელებენ ისტორიული მონეტების და თავიანთი ამხანაგების საბრძოლო შრომითი გმირობის პატივსაცემად სამახსოვრო ნიშნების გაფორმების სახით, აქტიურად ეტებენ ძეგლებსა და მასალებს თავიანთი საწარმოოს ისტორიიდან, მონაწილეობენ საქარხნო მუშეუშების, თავიანთი საწარმოების ისტორიის შექმნაში.

საზოგადოების წევრები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, გაერთიანებული არიან (საზოგადოების რესპუბლიკურ, ავტონომიურ, საოლქო, სამხარეო განყოფილებებში) ისტორიული ძეგლების, არქიტექტურისა და კულტურის ძეგლთა, პროპაგანდის, ახალგაზრდობასთან მუშაობის სექციებში. უკანასკნელ ხანებში უფრო ხშირად ყალიბდება მუსიკალური კულტურის ძეგლთა სექციები. სექციათა მიერ შესრულებულ დიდ სამუშაოთა რიცხვს განეკუთვნება სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციების ორგანიზაცია და ჩატარება, რომელთა რეკომენდაციები საზოგადოების ყველა რგოლის მუშაობას პრაქტიკულად ეხმარება. განსაკუთრებით საინტერესოდ ჩატარდა კონფერენციები თემაზე: „ლენინური დამოკიდებულება კულტურული მემკვიდრეობისადმი“. ბევრმა რესპუბლიკურმა და საოლქო განყოფილებამ ჩაატარა კონფერენციები ძეგლთა გამოყენების თაობაზე პატრიოტიზმის აღზრდაში. ცენტრალური საბჭოს სექციებმა წარმატებით ჩაატარეს კონფერენციები: ღია ცის ქვეშ მოწყობილი მუშეუშების, თანამედროვე ეტაპზე სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოების მიმართულებათა, სამრეწველო არქიტექტურის ძეგლებისა და მათი შენარჩუნების ამოცანების, საბჭოთა ხალხის შრომითი დიდების ძეგლთა შესახებ და სხვ.

ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ინიციატივით შეიქმნა ახალი ისტორიულ-არქიტექტურული ნაკრძალები სოლოვეცის კუნძულებზე, სოფელ სტარო-ჩერკასკში, კირილოვსა და სხვა ადგილებში, მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია მსოფლიოში ცნობილი მუშეუშების — იასნაია პოლიანაში ლ. ნ. ტოლსტოის, სპასკ-ლუტოვინოვში ი. ს. ტურგენევის, მიხაილოვსკოეში ა. ს. პუშკინის მუშეუშის დაცვასა და აღდგენას. რსფსრ მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა ბედი ისეთი არქიტექტურული კომპლექსებისა, როგორიცაა კოლომენსკოე და ცარიცინო მოსკოვთან.

დიდი დახმარება გაეწია საზოგადოებამ პირველი ტურისტული კომპლექსის „ოქროს რგოლის“ შექმნას, რომელიც მოიცავს ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის ისტორიულ ქალაქებს: ზაგორსკს, პერესლავლ-ჰალესკს, როსტოვს, იაროსლავლს, კოსტრომას, ივანოვოს, სუჰბალს და ვლადიმირს. საბჭომ დიდი ყურადღება მიაქცია კიევის ნაკრძალის ხეზე კვეთილ ძეგლებს.

საზოგადოების თანხის დიდი ნაწილი იხარჯება ისტორიული და კულტურის ძეგლთა რესტავრაციაზე, პროპაგანდაზე, საწარმოთა განვითარებაზე. ამჟამად მოსკოვში საზოგადოებას აქვს ექსპერიმენტულ-შემოქმედებითი კომინატი „რუსული სუვენირი“, მხატვრული ქვის სატრელი ქარხანა ქ. პერმში, მხატვრულ-საწარმოო სახელოს-



ნოები დონის როსტოვში, ვოლგოგრადში, უფაში, ფსკოვში, ტულაში, კუტსკში. სუსდალში გაიხსნა საზოგადოების სუვენირების მალაზია.

რესპუბლიკური, სამხარეო, რაიონული საქალაქო და პირველადი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა მუშაობამ სამუალებმა მოგვცა გაგვეკეთებინა მრავალი ობიექტური დასკვნა, რომლებიც მეორე ყრილობაზე გამოითქვა და ყრილობამ მოიწონა.

ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რაც გავაკეთეთ და ძველთა დაცვის, საბჭოთა კულტურის ამ ნიშნულზე ნაწილის, შემდგომი განვითარების საქმეში კარგი პერსპექტივებიც გვაქვს. ძველთა დაცვასა და მათ პროპაგანდას დიდი ყურადღება ექცევა.

საზოგადოებამ დიდი გამოცდილება დააგროვა, შეკრიბა ჭეშმარიტი ენთუზიასტების მრავალათასიანი აქტივი, რომელიც ძველთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებს დიდ დახმარებას უწევს. ჩვენ უფრო პრინციპული ვაგვხდით, უფრო ღრმა და სერიოზულნი, პოლიტიკურად უფრო მძაფრად ვეკიდებით რთულ პრობლემებს, რომლებიც ძველთა დაცვის საქმეში გვხვდება.

არსებობის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი მატერიალური შესაძლებლობანი იმ ამოცანების წარმატებით გადასატრელად, რისთვისაც შეიქმნა საზოგადოება.

1972 წელი საზოგადოებისათვის იყო პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული იდეოლოგიური ამოცანების გადაჭრის წელი, საბჭოთა კავშირის შექმნის სახელოვანი 50 წლის საიუბილეო წელი.

თანასწორუფლებიანობისა და ხალხთა მეგობრობის ლენინურმა პრინციპმა ძალზე კეთილისმყოფელი შედეგები გამოიღო სულიერი ცხოვრების, კულტურისა და ხელოვნების დარგში.

არ არის არცერთი რესპუბლიკა, რომელიც არ ამაყობდეს დიადი მიღწევებით, გამოჩენილი ტალანტებით ლიტერატურისა და ხელოვნების ამა თუ იმ დარგში. საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში გაერთიანებული ხალხების ეროვნული და ამიტომ ფორმის მხრივ ძალიან მრავალფეროვანი კულტურა, თავისი სოციალისტური შინაარსით ამასთანავე არის ერთიანი კულტურა, რომელიც გამსჭვალულია სოციალისტური მშენებლობის პათოსით, საერთო ზრუნვით ჩვენი დიადი მრავალეროვნული სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის. შეიძლება საზოგადოებებმა ერთმანეთს გააცნონ წარსული კულტურის საუკეთესო მიღწევები, წარსულის კულტურის თანამედროვე კულტურაში მქანნიკური შემოტანის დადებითი გამოცდილება. საზოგადოებათა შორის ურთიერთგაცვლის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს ისტორიული და კულტურის ძეგლების რესტავრაციისა და დაცვის დარგში საინტერესო სამუშაოების, ძველი ქალაქების რეკონსტრუქციის გამოფენების დათვალეურება, რომლებიც მაგალითს იძლევიან იმისა, თუ რა წარმატებით არის გადაჭრილი თანამედროვე ქალაქის კომფორტისა და ისტორიული იერსახის შენარჩუნების ამოცანები. ურთიერთგაცვლის მეორე ფორმა შეიძლება იყოს ლექციური მუშაობა, — ძველთა დაცვის აქტუალურ საკითხებზე ლექტორთა გაცვლა.

დიადი საბჭოთა კავშირის 51-ე წელს საზოგადოება თავის ამოცანად ისახავს შეიტანოს პრაქტიკული წვლილი ხალხთა შორის ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის საქმეში.

იანის რიტსი
ლატვიის ბუნებისა და ძველთა დაცვის საზო-
გადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე

დაპიცვათ ჩიხი ძებლუბო

ბუნებისა და ძველთა დაცვის საზოგადოება ლატვიაში 1959 წელს შეიქმნა. განვილი წლებში პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის წყალობით საზოგადოება ორგანიზაციულად და მატერიალურად განმტკიცდა. ამჟამად საზოგადოება თავის რიგებში ითვლის 32 ათას ინდივიდუალურ, 2350 კოლექტიურ წევრს და 1684 პირველად ორგანიზაციას. მთელ რესპუბლიკაში საზოგადოებას გააჩნია 38 რაიონული (საქალაქო) განყოფილება.

საზოგადოების ცენტრალურ გამგეობაში ოთხი სექტორი ჩამოყალიბდა: ბუნების, ძველთა, პროპაგანდისა და ორგანიზაციის. ძველთა სექტორი სამი კომისიისაგან შედგება: ა) ძველთა კომისია, ბ) სამხარეთმცოდნეო კომისია და გ) სახელმწიფო მუზეუმთა კომისია. ძველთა სექტორს განაგებს ლატვიის კულტურის მინისტრის მოადგილე ამხ. თ. ვერნერი.

ჩვენს რესპუბლიკაში ძველთა დაცვისათვის გაწეულ მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქონდა ლატვიის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებას „ლატვიის სსრ ისტორიული და კულტურის ძველთა მდგომარეობისა და მათი დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებამ დაამტკიცა რესპუბლიკური მნიშვნელობის ისტორიული და კულტურის ძველების ამჟამად არსებული სია. ამ სიის მიხედვით სახელმწიფო იცავს 3229 ძველს. უკანასკნელ ხანებში საზოგადოების განყოფილებებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ადგილობრივი მნიშვნელობის ძველების გამოსაკვლინებლად და მათ დასაცავად.

ცალკეული ისტორიული ნაგებობების, ანსამბლებისა და ქალაქის კვარტალების თავისებურებათა შენარჩუნების მიზნით აღნიშნული დადგენილების დანართში მოცემულია ლატვიის სსრ იმ ქალაქების სია, დაგეგმარების პროექტები, რომელთა რეკონსტრუქცია და განაშენიანება უნდა შეუთანხმდეს ლატვიის სსრ კულტურის სამინისტროს.

ლატვიაში ბევრი არქიტექტურული ძველია. კულტურის ამ უნიკალური ძველების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის რიგის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თავის 1968 წლის 7 თებერვლის № 53 დადგენილებით „ქ. რიგის საშუალოსაკუთვითა ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შესახებ“ განამტკიცა მკაცრი რეჟიმი ამ ძველთა გამოყენებისა და რესტავრაციის საქმეში.

საზოგადოების წევრები დიდ დახმარებას უწევენ ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგთა ჯგუფებს არქეოლოგიური ძველების გამოყოფისა და აღნიშვნის საქმეში, აგრეთვე დაუყოვნებლივ იღებენ ზომებს, როდესაც ადგილი ექნება არქეოლოგიურ ძველთა შეგნებულ თუ უნებლიე დაზიანების შემთხვევებს.

ისტორიული და კულტურის ძველთა დაცვისათვის ადგილებზე მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზი-



დიუმმა 1972 წელს, საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად, მოაწყო რესპუბლიკური კონკურსი „შვეინარჩუნოთ რევოლუციის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნა“. კონკურსის მიმდინარეობას ფართოდ განიხილავდა რესპუბლიკური პრესა, გადასცემდა რადიო და ტელევიზია.

ისტორიულ ძეგლთა მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში ძირითადად დამაკმაყოფილებელია. კარგად არის მოვლილი 1905—1907 წლების რევოლუციაში დაღუპულ მებრძოლთა, აგრეთვე დიდ სამამულო ომში დაღუპულთა საფლავები. იგივე ითქმის ფაშისხმის მსხვერპლთა საფლავებზე. კიდევ ბევრია გასაკეთებელი დროებითი ძეგლების, ობელისკების და წარწერიანი დაკების შესაკვლელად ისეთი ძეგლებითა და დაფებით, რომლებიც დაღუპულთა ხსოვნას უკუდავყოფენ. საზოგადოების წევრთა აქტიური მონაწილეობით ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა სამი მეზობლის მგობრობის სიმბოლო — ძმობის ყორღანი და ერთობლივი ბრძოლისადმი მიძღვნილი საბრძოლო დიდების ძეგლი ვიეტნამში.

პრეზიდენტის სხდომებზე მუდმივად იხილება ძეგლების სექტორის კონსიის მოხსენებები გეგმების შესრულების შესახებ, განყოფილებაში ანგარიში ძეგლთა დაცვის მდგომარეობის შესახებ, განიხილება და მტკიცდება საზოგადოების პუბლიკაციები და საზოგადოებრივი სტატიები. უკვე დამტკიცებულია დასაბუქდად საზოგადოების მეთოდური სტატიების კრებული „მითითებანი მხარეთმცოდნეებს“, ლატვიაში რევოლუციის ისტორიისადმი მიძღვნილი ნარკვევების კრებული „რევოლუციური მოვლენების ნაკვალევზე“, აგრეთვე სტატიების კრებული „ძველი რიგა“.

ძეგლთა გამოვლენის, აღრიცხვისა და ანტირების მიზნით საზოგადოების განყოფილებებში შემოღებულია სააღრიცხვო ბარათების ერთიანი სისტემა. უკვე ფიქსირებულია ძეგლთა უმეტესი ნაწილი, რომელთაც სახელმწიფო იცავს. შემდეგ თანდათანობით შესრულდება ეს სამუშაო, შეიქმნება რესპუბლიკის ძეგლთა აღრიცხვის საერთო კარტოთეკა. ეს სამუშაო მნიშვნელოვან წვლილად უნდა ჩაიფილოს საბჭოთა კავშირის ძეგლთა აღწერილობის კრებულის მოსამზადებლად.

ცენტრალური გამგეობის ძეგლების სექტორი უკვე დიდი ხანია მუშაობს (ძეგლთა სიის დამტკიცების თანახმად) ფოტოთეკის შესაქმნელად, რომელიც ახაზავს ძეგლთა მდგომარეობას და მათ ცვლილებებს რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის შედეგად.

საზოგადოების რაიონულმა და საქალაქო განყოფილებებმა დადი სამუშაო შეასრულეს მხარეთმცოდნეობის დარგში რასაც მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ეს მუშაობა მდიდარ კონკრეტულ მასალას იძლევა ხალხის რევოლუციური წარსულისა და შრომითი ტრადიციების გასაცნობად.

ბევრი პირველადი ორგანიზაცია აგროვებს მასალებს და სწავლობს თავისი რაიონის წარმოებების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების ზრდას, აქტიურად მონაწილეობს ლოკალური ქრონიკების მომზადებაში. ამ საქმიანობაში წარმატებას მიღწიეს საზოგადოებთა ლიეპაიას, ბაუსკისა და ვალმიერის რაიონულმა განყოფილებებმა, რიგის ცალკეულმა სარაიონო განყოფილებებმა და მათმა პირველადმა ორგანიზაციებმა.

რიგის რაიონულმა განყოფილებამ შეიმუშავა საბჭოთა პერიოდში მრავალი სოფ-



ლის განვითარების ისტორია, იგი ლამაზად და კარგად გაფორმებულ ალბომებსა და საქალაქო მათემატიკაში მოათავსა.


ადგილობრივი მხარეთმცოდნეები თავიანთი ნამუშევრის ნაწილს საზოგადოებრივ მუზეუმებში ექსპონატების სახით გამოფენენ. ასეთი მუზეუმები შექმნილია სკოლებში, სასოფლო საბჭოებსა და ახვა დაწესებულებებში.

ძველთა წარმატებით დაცვა შეუძლებელია მათი მაღალმხატვრული, მოქმედი პროპაგანდის გარეშე. ჩვენს დროში იგი არის მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის იდეოლოგიური აღზრდის მძლავრი საშუალება. მაგრამ ამ მუშაობას მნიშვნელოვნად აფერხებს ის, რომ საზოგადოებას არ გააჩნია საგამომცემლო უფლებები. მაინც, ამისდა მიუხედავად, საზოგადოების წევრთა ბოლო ათ წელიწადში გამოქვეყნებული შრომების რიცხვმა 160 დასახელებას (ბროშურა, გზამკვლევი, ტურისტული მარშრუტების ნარკვევები, ფოტოალბომები და ა. შ.) მიაღწია.

საზოგადოების წევრთა ღირსი მომზადებული მასალების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია რესპუბლიკურ პრესაში და რაიონულ გაზეთებში. საზოგადოების მუშაობის პროპაგანდისათვის მისი წევრები ფართოდ იყენებენ რადიოს, ტელევიზიას. რაიონული და საქალაქო განყოფილებები და პირველადი ორგანიზაციები ატარებენ უფრო მეტ მაღალხარისხოვან ლექციებს, სამახსოვრო საღამოებს და შეხვედრებს კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, რევოლუციური ბრძოლის მონაწილეებთან.

ლატვიის სსრ ბუნებისა და ძველთა დაცვის საზოგადოება მომავალშიც მთელ თავის ძალებს დარაჴმავს იმისათვის, რომ ისტორიული და კულტურის ძეგლთა დაცვა ზოთარდებოდეს ისე, როგორც ვ. ი. ლენინმა დასახა, როგორც წარმართეს კომუნისტურმა პარტიამ და ხელისუფლებამ, რომელთა მითითებანიც გამოსატყლია პარტიის XXIV ყრილობის დადგენილებებში.





ბ ა რ ე ჯ ა

(მონასტერთა ლოკალიზაციისათვის)

გარეჯის ხილვის დროს თვალწინ გადაგეშლება: მკაცრი ბუნების განუმეორებელი სილამაზე. მოშიშვლებული კლდეებიდან შუა-გვეკერიან დაცარიელებული მღვიმეები. აქ ნახავთ ქართული კულტურის უსარმაზარ ლოდებად ნაქსევე, დანგრეულ და გაძარცვულ შესანიშნავ ძეგლებს, რომლებიც დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე.

გარეჯის „მრავალმთის მონასტერნი“ კარგა ხანია აინტერესებს მკვლევართ. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია გარეჯის შემდეგი სამონასტრო კომპლექსები: ლაურა, დოდოს რქა, ნათლისმცემელი, ბერთუბანი, ჩიჩხიტური, უდაბნო, წაბებული, რომლებიც სათანადო სისრულით შეისწავლა და გამოაქვეყნა აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა მონოგრაფიული ხასიათის კაპიტალურ ნაშრომში: «Пещерные монастыри Давид-Гареджи», Тбилиси, 1948.

გარეჯა ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, როგორც „გარეჯის მრავალმთის ათორმეტნი მონასტერნი“. „ქართლის ცხოვრება“ (ტ. II, გვ. 272, 1959) მოგვითხრობს: „მეფე დემეტრე II-ის დროს (1271-1289) სადუნმა „იქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მიმართ, რომელი დღევთა ცხოვრებისა მისისათა მან მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა და განათავისუფლა ქუკანა გარეჯისა და მსახურებდა მეფესა დიმიტრის“. ჩვენ აქ აღარ შევუდგებით იმ მრავალრიცხოვანი საბუთის ჩამოთვლას, სადაც გარეჯის მონასტრები „ათორმეტად“ მოიხსენიებიან. ცხადია, აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლიდა, მაგრამ რადგან ხელთ არსებული მასალები მხოლოდ შვიდი მონასტრის ლოკალიზების საშუალებას აძლევდა, ამიტომ მეცნიერი, ისევე როგორც სხვა მკვლევარები, რიცხვს „ათორმეტს“ სამართლიანად უკავშირებს ქრისტიანულ რელიგიაში გავრცელებულ სიმბოლურ საკრალურ რიცხვს.

გარეჯაში თორმეტი მონასტრის არსებობის საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბ. კერატიშვილის წერილი — „რამდენი მონასტერია გარეჯაში?“ („ძეგლის მეგობარი №27-28, 1971)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ცნობა სხვა სამონასტრო კომპლექსების, კერძოდ, ქოლაგორისა და დიდი ქვაბების არსებობის შესახებ გამოქვეყნებული აქვს მასწავლებელ დიმიტრი გონაშვილს (გაზ. „სახალხო განათლება“, 1950 წ. 9 აგვისტო, № 32 — „ისტორიული მონასტრები ივრის ხეობაში“ და ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1964 წ. № 2 — „ივრის ხეობაში“).

1940-47 წლებში, გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციებში მონაწილეობის დროს, საშუალება მომეცა მომელო და დეტალურად შემესწავლა კახეთის სამხრეთი ნაწილი, რომელიც მთლიანად მოიცავს გარეჯის უდაბნოების ტერიტორიას. სწორედ ამ დროს მივაკვლიე ლიტერატურაში მანამდე უცნობი, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსები. შემდგომ, პერიოდულად, წლების მანძილზე ვახდენდი მათს აზომვას და ფოტო-



ფიქსაციას. ვფიქრობ, არცერთი გამოქვაბული არ დაგვრჩენია ამ რაიონში ვეფხველველი. აღნიშნული მონასტრები, კლდეში ნაკვეთი ეკლესიების, სატრაპულტოების და საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ხუროთმოძღვრული კომპლექსების, აგრეთვე ცალკეული ეკლესიების კედლის მხატვრობის სტილისტურ თავისებურებათა მიხედვით, იმთავითვე დაუკავშიროს გარეჯის მრავალმთის მონასტრებს. ასეთი შთაბეჭდილება იმანაც განაპირობა, რომ ეს ახალმოკვლეული სამონასტრო კომპლექსები, არსებითად, გარეჯის გაგრძელებას წარმოადგენს. ამ მონასტრების ყველა ძირითადი ხუროთმოძღვრული ნაგებობის შესწავლამ და აზომვა-ფიქსირებამ მათი კამერალური დამუშავების დროს ბევრი საყურადღებო საკითხი წამოჭრა ჩვენს წინაშე.

ამჯერად ჩვენი წერილის მიზანია ზოგადად, მოკლედ მიმოვიხილოთ გარეჯაში განლაგებული მონასტრები, რომელშიც შედის როგორც დღემდე ცნობილი, ისე უცნობი სამონასტრო კომპლექსები.

გარეჯის მონასტრებს ადრეფეოდალური ხანის ტერიტორიული განაწილების მიხედვით კახეთის საქორეპისკოპოსოს სამხრეთ სასაზღვრო ზონაში უფრო ადრე კამბენანის, ხოლო შემდგომ კუხეთის ტერიტორია ჰქონდათ დაკავებული. ეს მონასტრები მტკვრის პარალელურად გადაჭიმულ გარეჯის მთებსა და ივრის ხეობის ქვედა წელის მიდამოებში განლაგებულ ხრიოკ კლდეებში მდებარეობენ.


ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით „გარეჯის მთას არს მონასტერნი კლდესა შინა გამოკვეთილინი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი; ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი. ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი, დავით-გარეჯას არქიმანდრიტი, ბერთუბანს წინამძღვარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი ვიდრე მწარე წყლამდე (ხაზი ჩვენია. — თ. თ.) და მოწესითა ხავსენი, ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა ყოფი“ (ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. 50, თბ. 1941). როგორც ვხედავთ, ისტორიკოსი მის მიერ დასახელებულ მონასტერთა გარდა გარეჯის სხვა მრავალ მონასტერზეც მიუთითებს, მაშინ როდესაც მათს „ათორმეტობაზე“ არაფერს ამბობს. საყურადღებოა, რომ XIX საუკუნის მკვლევარი პლატონ იოსელიანი დავითის ლავრის გარდა ჩამოთვლის კიდევ თერთმეტ მონასტერს (ყოველგვარი კოორდინატების გარეშე) ე. ი. სულ თორმეტს: დავითის ლავრა, აღდგომისა წამებული, ბერთუბანი, დოდოს რქა, იოანე ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრ-სენაკები, მალაზანა ანუ მღვიმე, ქოლაგირი, მობატული, ვერანგარექა და პირუკულმარი.

გარდა ამისა, მეფე ვახტანგ VI-ს თავის ერთ-ერთ ლექსში მოხსენებული აქვს დავითის ლავრა, ბერთუბანი, ჩიჩხიტური, ნათლისმცემელი, წამებული, დოდო. ამათგან პ. იოსელიანთან არ არის დასახელებული მხოლოდ წამებული, რომელიც ნათლისმცემლიდან ორიოდ კილომეტრზეა. თუ ამას დავუმატებთ საკათალიკოსო მამულების „სითარხნის გუჯარში“ სხვა მამულებთან ერთად მოხსენებულ მონასტრებს — „იორზე მონასტერი სიონი და მონასტერი ქუაბნი მათითა მამულითა... დავითის საფლავი და დოდოს რქა, მონასტერი და უდაბნო თუისითა შესავალითა“, კომპლექსების რიცხვი კიდევ გაიზრდება. ამათგან „იორზე მონასტერი სიონი“, ვფიქრობთ, ერწოს სიონს გულისხმობს, ხოლო რადგან თავისი ადგილმდებარეობით გარეჯის მონასტრებს არაფრით არ უკავშირდება, ამიტომ აღნიშნული ძეგლის მათ რიცხვში შეტანა საეჭვოდ მიგვაჩნია.



საქართველოს
ქრონიკები

საქართველოს
ქრონიკები



ქალაქი





კერანგარეჯა

რაც შეეხება უდაბნოს, ეს უკვე დადგენილი კომპლექსია და ლავრის ზემოთ, გარეჯის მთის სამხრეთით მიმართულ გაშიშვლებულ კლდეებში მდებარეობს. ზემოთ დასახლებულ სხვა მონასტერთაგან ცნობილი და დადგენილია აგრეთვე დავით გარეჯის მთის სერზეა; ბერთუბანი აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით შვიდი კილომეტრით არის დაშორებული; დოდოს რქა მოჩანს ლავრიდან ჩრდილო-დასავლეთით, ოთხი კილომეტრის მანძილზე; იოანე ნათლისმცემელი ლავრის დასავლეთითაა, მისგან 12 კილომეტრით დაშორებული; ჩიჩხიტური თავისი დამახასიათებელი მაღალი კოშკით ლავრასა და ნათლისმცემელს შორის მთის თხემზე მდებარეობს, რაც შეეხება თეთრსენაკებს, ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოცემულ ხუთვერსიან რუკაზე არის აღნიშნული და მდებარეობს დოდოს რქის დასავლეთით, როგორც გ. ჩუბინაშვილი უწოდებს, „რომანტიული“ ხევის ბოლოში.

დანარჩენი ახალმიკვლევული კომპლექსებიდან — 3. იოსელიანის მიხედვით მალაზანას ანუ მღვიმეს, ხოლო გ. ჯანაშვილის მიხედვით მღვიმეს ადგილობრივი მწყემსები მალაზიებს უწოდებენ. ვინაიდან „მალაზან“ თათრულად ხერელს, გამოქვაბულს, მღვიმეს ნიშნავს, ვფიქრობთ, დავტოვოთ ქართული სახელწოდება მღვიმე მღვიმე მდებარეობს ლავრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბერთუბნიდან 8-10 კმ დაშორებით. მღვიმე წარმოადგენს საკმაოდ მკვრივ ქვიშა-ქვებში გამოკვეთილ დარბაზულ და ცენტრალურ გუმბათიან ეკლესიათა ჯგუფს — სატრაპეზოებით, საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის სათავსებით. ზოგ მათგანში შემორჩენილია კედლის მხატვრობის ძალზე საინტერესო ნიმუშები.



მონასტრიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, სამიოდე კილომეტრზე, მდებარეობს „ბერების წყარო“.

მღვიმის აღმოსავლეთით, იმავე ქედზე, რომელსაც „ბერების სერი“ ეწოდება გა-
მიშვლებულ ქვიშაქვის ფენებში ერთი-ორი კილომეტრის ინტერვალით გვხვდება
კომპლექსები თითო ველისით, ხატრაპეზოთი და დამხმარე სათავსებით. აქური ბე-
რებიც იმავე „ბერების წყაროთი“ სარგებლობდნენ.

შემდეგი სამონასტრო კომპლექსია ქოლაგირი. იგი მდებარეობს მღვიმე-
და ან ჩრდილო-აღმოსავლეთით, იმავე ბერების სერად წოდებული ქედის ბოლო-
ში, ექვსი კილომეტრის მანძილზე, ივრის ტალის ნაპირას. „ქოლაგირი“ სპარსულად
ნიშნავს „მოხიბლულ ქედს“. მონასტერი შედგება ერთი სამდარბაზიანი ეკლესიისაგან
ხატრაპეზოთი და რამდენიმე სხვა სათავსით, ამთავან ეკლესია და ხატრაპეზო მოხ-
ტულია, ვინაიდან კომპლექსი გამოკვეთილია შედარებით რბილთიხოვან კონგლომერა-
ტებში, მთა ჩამოშლილია და ამიტომ დღესაც მხოლოდ ეკლესიის დასავლეთი ნაწილის
ერთმა შესამდგმა მთაღწია. განსაკუთრებით საინტერესოა ეკლესიის ჩრდილოეთი და-
რბაზი, რომელშიც შემორჩენილია ძალზე დაზიანებული კედლის მხატვრობა: ქტიტო-
რთა თორნეტი ფიგურის გამოსახულება ასომთავრული წარწერებით. ბერები სახმელად
იყენებდნენ ივრის წყალს.

ქოლაგირის გადასწვრივ ივრის მარცხენა ნაპირზე ხუთიოდე კილომეტრის მოშო-
რებით მაღალი მთის კონგლომერატოვან ფლატეში სართულებად გამოკვეთილია მონა-
სტერი დიდი ქვაბები და, რომელიც საკმაოდ ვრცელ კომპლექსს წარმოადგენს. ზედა
გამოქვაბულები თითქმის მთლიანად ჩამოშლილია, დარჩენილია მხოლოდ სიღრმეში
გამოკვეთილი სამურნეო დანიშნულების სათავსები, ქვემოთ განლაგებული გამოქვა-
ბულები კი თითქმის მთლიანად დაფარულია ჩამორეცხილი მიწის ფენით. მის სამხ-
რეთით, დაბლობში, კლდის ფენაში არსებული ქვაყუთები სამონასტრო სასაფლაო უნ-
და იყოს. სახმელად გამოიყენებოდა მასობური ხევის პატარა წყარო, ძირითადად კი
ივრის წყალს ხმარობდნენ.

დიდი ქვაბებიდან აღმოსავლეთით, 12 კილომეტრის მანძილზე, ივრის
მარცხენა შენაკად „მწარე ხეთან“, შედარებით მცირე კლდეში გამოკვეთილია პატა-
რა ქვაბები და წოდებული მონასტერი. პატარა ქვაბები მოიცავს ერთ გუმბათიან ეკ-
ლესიას ხატრაპეზოთი და მცირე ზომის სხვა სათავსებით. ეს მონასტერი გარევის მრავალ-
მთის უკიდურესი განაპირა კომპლექსია, ვინაიდან ამ ადგილის აღმოსავლეთით
გამოქვაბულები აღარ გვხვდება. ეს გარემოება ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონის მი-
ერ გარევის მონასტრების გავრცელების ლოკალიზებას: „არამედ ყოფილან
მონასტერნი მრავალნი ვიდრე მწარე წყალამდე“. „სითარხნის ვუ-
ჯარში“ მოხსენებული „იორზე მონასტერნი ქუახნი“, ვფიქრობთ, დიდი და პატარა ქვა-
ბები უნდა იყოს, მათუმეტეს, რომ ქუახნი გუჯარში მრავლობითი რიცხვითაა მო-
ტანილი.

ვერანგარეჯად წოდებული მონასტერი კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის
დამახასიათებელი რიყის ქვის წყობით ნაგები ტლანქი ფორმების მქონე დარბაზული
ტიპის ეკლესიაა, რომელიც მდებარეობს დიდი ქვაბების მთის ჩრდილოეთით ზე-
განზე, რვა კილომეტრის დაშორებით.

ქოლაგირიდან აღმოსავლეთით ომბი კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს მცირე,
თითქმის მთლიანად განადგურებული კომპლექსი ე. წ. პირუკულმარი. შემორჩე-



დიდი ქვაბები

ბერების სერი





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



პარკულაძე

აქართველი ნატურალისტი

ნილია მხოლოდ რამდენიმე დამხმარე, სამეურნეო ხასიათის სათავსი, რომელთა მიხედვით კომპლექტის აღდგენა შეუძლებელია. ეს გამოქვაბულები გამოკვეთილია რბილთიხოვან კონგლომერატებში ე. წ. „პირუკულმა“ მთის აღმოსავლეთ ფლატეში, მდინარე იორის მარჯვენა ნაპირიდან ორი კილომეტრის მანძილზე, სამხრეთით ტაფობში. ამ მიდამოებში გამოქვაბულთა გამოსაკვეთი კლდის სხვა მასივი არ არის. სასმელად ვეფიქრობთ, იორის წყალს იყენებდნენ. ცნობის სახით: მონასტრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ოთხი კილომეტრის მანძილზე, არის ცნობილი ბაი დ ი ს ნავთის წყაროები, უფრო მოშორებით კი ბუნების იშვიათობა — ჩ ა თ მ ი ს და კ ი ლ ა კ უ ბ რ ი ს ნავთის ტალახიანი მინიატურული ვულკანები.

მასაღამუ, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გარეჯის მრავალმთის მონასტრები განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით. წ ა მ ე ბ უ ლ ი, ნ ა თ ლ ი ს - მ ც ე მ ე ლ ი, ჩ ი ნ ხ ი ტ უ რ ი, თ ე თ რ - ს ე ნ ა კ ე ბ ი, დ ო დ ო ს რ ქ ა, ლ ა ვ რ ა, უ ლ ა ბ ნ ო, ა ლ დ გ ო მ ი ს ა წ ა მ ე ბ უ ლ ი, ბ ე რ თ უ ბ ა ნ ი, მ ლ ვ ი მ ე (მ ა ლ ა - ზ ა ნ ა), ქ ო ლ ა გ ი რ ი, დ ი დ ი ქ ე ბ ე ბ ი, ვ ე რ ა ნ გ ა რ ე ქ ა, პ ი რ უ კ უ ლ - მ ა რ ი და პ ა ტ ა რ ა ქ ე ბ ე ბ ი.

როგორც ვხედავთ, მონასტრების რიცხვი 15-ს აღწევს; გარდა ამისა, თუ მონასტრებად ჩაეთვლით მღვიმედან (მაღაზანა) ქოლაგორამდე ბერების სერზე განაწილებულ, ერთმანეთისაგან ერთი-ორი კილომეტრით დაშორებულ ცალკეულ ჯგუფებს, რომელთა სახელები არ ვიცით, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

იორის მარჯვენა ნაპირზე, უჯარმიდან სამხრეთით, სამ კილომეტრზე, მდებარეობს მცირე ზომის გამოქვაბული XVII საუკუნის მხატვრობით. გასარკვევია მისი სახელწოდება და ის საკითხი, შედიოდა თუ არა იგი გარეჯის მრავალმთის სამონასტრო სისტემაში. ვინაიდან აღნიშნული მონასტერი კლდეშია ნაკვეთი და ტერიტორიულად ახლანდელი ნინოწმინდასთან, რომლის ეპარქიაშიც XVI საუკუნიდან შედიოდა მთლიანად გარეჯა, სავარაუდოა, რომ ეს მონასტერიც მრავალმთის სამონასტრო სისტემას უკავშირდება. საფიქრებელია, რომ პლატონ იოსელიანის სიაში მონასტერი მოხატული, რომელსაც ვერ მივაკვლიეთ, სწორედ ეს იყო.

აქვე გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება მონასტერთა რიცხვის შესახებ. ცნობილია, რომ გარეჯაში ყველა ზემოთ დასახელებული მონასტერი ერთდროულად დავითის დროს, ე. ი. VI საუკუნეში, არ დაარსებულა. მონასტერთა რიცხვი დროთა განმავლობაში იზრდებოდა, გარკვეულ პერიოდში თორმეტსაც მიაღწია. საფიქრებელია, რომ ამ სანას უნდა მიეკუთვნებოდეს სახელწოდება „გარეჯის ათორმეტნი მონასტერნი“. შემდეგ მონასტრების რიცხვი გაიზარდა, რასაც ჩვენ მიერ მიველულები მასალა გვიდასტურებს. რიცხვი „ათორმეტნი“ შემორჩა, როგორც საკრალური.

გადავიდეთ მონასტერთა ჩამოყალიბებისა და მათი ზრდა-განვითარების საკითხზე.

რა ხალხი იყო აქ, რამ აიძულა, რისთვის სწირავდნენ თავს, რითი ან როგორ ცხოვრობდნენ ან რა საქმიანობას ეწეოდნენ ამ ხრიკ კლდე-ღრეში, თვისტომთაგან მოშორებულნი? ესენი იყვნენ ქართველნი, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენი ქოვნილი კულტურის განვითარებაში.

ქრისტიანობა შუა საუკუნეების ადრეულ ხანაში პროგრესული იდეოლოგია იყო და მისი მესვეურები დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ. მონასტრებში იქმნებოდა და ითარგმნებოდა მრავალი ლიტერატურული ძეგლი, იქმნებოდა იქრომპედლობის მინიატურული და მონუმენტური მხატვრობის შედევრები.

გარეჯის მონასტრები ამ საქმიანობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ.

დავით გარეჯელი ერთ-ერთი ე. წ. „ათსამეტ ასურელ“ მამათაგანია, რომელთა ქართლში მოსვლის საკითხს ამომწურავად სწევვებს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. ამტკიცებს რა სირიელ მამათა მთნოფიზიტობას, მათი მოსვლის თარიღებს, მათ ქართველობას, მათი დევნისა და საქართველოში ჩამოსვლის მიზეზს და მათ რიცხვს, კეკელიძე ამბობს: „სირიიდან ქართლში მოსულა არა ერთი პარტია მოღვაწეებისა, არამედ რამდენიმე და არა ერთს, არამედ სხვადასხვა დროს“. რიცხვი „ათსამეტი“ და ის, რომ ამათგან ერთი ორანე მოძღვარია დანარჩენი თორმეტი კი მისი მოწადე, შეთბულია შემდეგ საუკუნეებში მსგავსად იესო ქრისტესა და თორმეტ მოციქულთა მისიისა საქრისტიანოში. მათ „ქადაგებისა მიერ და მოძღვრებისა, მსგავსად წმიდათა მოციქულთასა“... „განანათლეს ქუეყანაი ესე ჩრდილოეთისაო“ (კ. კეკელიძე, უტიუღები, გვ. 25, 1956)

ქრისტიანობის ადრეულ ხანაში მონოფიზიტობის ბრძოლა წარმართობასთან შეტად ეფექტური იყო თავისი აგიტაციურა ხასიათით — მისტიკურობით. მონოფიზიტები არ სცნობდნენ, ახშობდნენ ადამიანის ხორციელ ბუნებას თავიანთ თავში, ხოლო იესო ქრისტეში ხორციელი ადამიანის ბუნების აღიარება ხომ მით უმეტეს ღვთაების იღვის შურაცხმეველად მიაჩნდათ.


ასეთი იდეოლოგიის მქონე, საქრისტიანო ცენტრიდან დევნილი მონოფიზიტი წმინდა მამები დანაწილდნენ აღმოსავლეთ საქართველოს უდაბნო ადგილებში, თავიანი სასიათით სირია-პალესტინისა და კაბადუკიის სამონასტრო მიდამოებს რომ წააგავდნენ.

ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ დავით გარეჯელის ცხოვრებას. როგორც კორნელი კეკელიძემ დაამტკიცა, დავითი მოსულა პირველი, დაახლოებით 519-20 წლებში. თავდაპირველად ბინა დაუდგია თბილისში, მთაწმინდის მცირე გამოქვაბულში, საიდანაც ჩამოდიოდა ქალაქში ცეცხლთაყვანისმცემელ მოსახლეობაში ქრისტიანობის საქადაგებლად. მცირე ხნის მერე, მასდვლიანების მიერ მოწყობილი ინტრიგის შედეგად, დაუტოვებია თბილისი და დამკვიდრებულა გარეჯის უდაბნოში, თან წაუყვანია თავისი მოწადე ლუკიანე, და მის გარშემო „შემოკრბა სიმრავლე ფრიადი ძმათა“.

როგორც ჩანს გარეჯაში დავითის მოღვაწეობის პერიოდში მონასტერთა რიცხვი ფრიად გაიზარდა.

გარეჯის მიდამოების დასახასიათებლად მოგვყავს ვახუშტის აღწერა „მდებარეობს მთა (გარეჯის) ესე, ვითარცა მდინარე იორისა, და არს უტყუო თუნიერ ძქულთა და თუთუბოთა, და ეგვთთა სხვა მრავალთა. არა სდის მდინარე და იშვით წყარო ტბანი. არამედ თუ სადმე არს მლაშენი და მწარენი და პირუტყვთა შემრგონი... გარნა არს ბალახიანი ზამთარიც, და გაიზრდებიან სიმრავლე არვეთა (ცხვარი), მროწლეთა (საქონელი), ჯოგთა, რეშათა (ჯორები), იმიერ და ამიერ. გარნა არს ზაფხული ცხელი და გაუძღები. ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერ და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინათგან აღმოვლენ რუნი, და ყოველი ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალინი. და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩაღიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ხობობნი“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 84)

ჩვენ აღარ დავახასიათებთ შემოთ აღნიშნულ მიდამოებს, ვინაიდან ვახუშტის აღწერა საკმაოდ ზუსტია.





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



გკლესიის მიერ შუა საუკუნეებში შექმნილი გაიდელელებული „ცხოვრების წესები“ რასაკვირველია, არ იძლევიან მონასტრების მსახურთა დაინტერესების ეკონომიურ მხარეს. მაგრამ ამ ფარდის უკან ვხედავთ იმ რეალიებს, რაც მათ ამოძრავებდათ. გარეჯის მონასტრები, როგორც უშუალო შეპატრონიე გარეჯის მიდამოებისა—ამ დიდი მატერიალური ბაზისისა (შესაქონლეობის სახით), თავისთავად მდიდარ ობიექტს წარმოადგენდა და ამიტომ იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. გარკვეულ პერიოდებში გარეჯა იერარქიულად ექვემდებარებოდა რუსთავის საეპისკოპოსოს, კანარეთის სამების საეპისკოპოსოს და ნინოწმინდის საეპისკოპოსოს. ეს, ასე ვთქვათ, იერარქია ზევიდან ქვევით დადიოდა უკანასკნელ ბერ-მონაზვნამდე და სულ ბოლოს კი, თანამედროვე გამოთქმას თუ ვიხმართ, უშუალო მწარმოებლებამდე — მწვემსებამდე, რომლებიც, შესაძლოა, სამონასტრო ყმებად ითვლებოდნენ. ჩვენს კვლევით სფეროში არ შედის კუთხის ისტორიული ეკონომიკის გარკვევის საკითხი, აქ მხოლოდ ნოკლედ შევხებით ამ საკითხს, რამდენადაც ეს დაკავშირებულია ამ ტერიტორიაზე მონასტრთა გავრცელების მიზეზებთან და გვიხსნის მათ. გვებს გარეშეა, რომ შიდა კახეთის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო და არის შესაქონლეობა-მეცხვარეობა. ვფიქრობთ, გარეჯაში მონასტრთა მესვეურების მატერიალური დაინტერესების საგანი იყო შესაქონლეობა და, ამდენად, მასთან დაკავშირებული საზამთრო საძოვრების დასაკუთრება. საქართველო, კერძოდ, კახეთი, ყოველთვის განიცდიდა საზამთრო საძოვრების ნაკლებობას, მაშინ, როდესაც საზაფხულო საძოვრები, კავკასიონისა და ცივგომბორის მთების მაღლით, საკმაოზე მეტიც იყო.

თუ დავაკვირდებით მონასტრთა გავრცელების სქემას, დავინახავთ, რომ გარეჯაში მონასტრები ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარი მანძილით არიან დაშორებული, იმიტომ რომ მათი კუთვნილი საძოვარი ფართობიც დაახლოებით ერთნაირი უნდა ყოფილიყო, მონასტრთა ადგილმდებარეობას სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავდნენ: მაგალითად, სასმელი წყლის არსებობა ან მისი მოპოვების შესაძლებლობა (წვიმის წყლის შეგროვების სახით), აგრეთვე სამონასტრო სათავსოთა გამოსაკვეთად აუცილებელი კლდის გეოლოგიური ბუნებრივი სიშიშველე. ამასთან დაკავშირებით აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იქაურ კლიმატურ პირობებში კლდეში გამოკვეთილი სათავსები, ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი, როგორც ვახუშტიც აღნიშნავს, თბოტექნიკის თვალსაზრისით იდეალური გადაწყვეტაა. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, შესაძლებელია სამონასტროებთან გარკვეულად დაკავშირებული იყო რუსთავი, რომელსაც ზევიდან, არცთუ ისე შორიდან, დასკქერის გარეჯის მთა.

რუსთავის საირიგაციო სისტემის მოწყობა ვახტანგ გორგასალს მიეწერება. ივრის ხეობაში ზოგან არის აგრეთვე მცირე მასშტაბის სარწყავი არხები, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ხაშმის, სართიჭალისა და ნინოწმინდის არხები, ვინაიდან ივრის ტერასები ამ მიდამოებში უფრო დიდ ფართობს ზიიცივენ. აქ, როგორც ჩანს, შეზღუდვა-მეცხვარეობას მისდევდნენ. ივრის ქვედა წელის ტალების გაყოლებაზე გვხვდება უფრო მცირე რუბიცი, რომელთაგან ერთ-ერთი მინიშნებული გვაქვს სამონასტრო ტერიტორიებზე, ქოლაგირის გადასწვრივ და დიდი ქვაბების ქვემოთ, იორის ტერასაზე, სადაც ამჟამად უფრო მეტოსტენობას მისდევენ, ხოლო ტალებში ახლაც გვხვდება გავლურებული ვაზის ნიშნები.

ყოველივე ზემოთ თქმულის უდავო დამადასტურებელია დავით გარეჯელის ცხოვრება და ცნობრების ამსახველი სიუჟეტები, კლდის მხატვრობაში: დავითი დეე-



ნის გველქმავს, რომელმაც ირმის ნუკრი შთანთქმავს და ლუკიანე მწველავე; ლუკიანე ბარავს მიწას და სხვა. ჯფიქრობთ, ზემოთ აღნიშნულ სიუჟეტებში, ირმების სახით გაიდგალებულია მესაქონლეობა, ხოლო წმინდანთა სახით მათი მფარველნი ანუ მეპატრონენი.

გარეგნულად გარეჯის უღაბნოს მიდამოები საკმაოდ უნაყოფო და უკაცრიელია, მაგრამ, როგორც ვკვე ვნახეთ, მაშინ, როდესაც იქ მონასტრები არსებობდა, ამ ტერიტორიაზე ტრიალებდა კახეთის ეკონომიკის ძირითადი დასაყრდენი მოძრავი ქონება ნესაქონლეობის სახით. ამასთან თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მთელი ეს ქონება ბერებს ეკუთვნოდა, გასაგები გახდება, რომ მტრისთვის ეს ძვირფასი საქონელი იოლად მოსაპოვებელი იყო. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მოსული მომთაბარე, მესაქონლეობის მიმდევარი, თანაც სხვა სარწმუნოების ტომები მოჰყვებოდნენ მტკვარისა და ივრის ხეობებს, აოხრებდნენ, სძარცვავდნენ მონასტრებს და ზოგჯერ ბერებსაც მუსრს ავლებდნენ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ივრის შთიან მარჯვენა ნაპირზე ალაზნის შესართავამდე არის დანგრეული ციხე-სიმაგრე, რომელიც უთუოდ ხეობის დაცვის მიზნით იქნებოდა აგებული. მის გადასწვრივ, მდინარის მარცხენა ნაპირზე, სამაროვნის ნიშნებია, რაც ყოფილ დასახლებაზე მიუთითებს.

გავფურებთ გარეჯის მინდვრებს და უიგონებთ ქამთაღმწერლის სიტყვებს, რომ იორზე „იყო ალაზნის შესართავამდის შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოხრდა გამოხვლასა ბერქასა და შემდგომად ლანგთემურისაგან“.

„შახ-აბაზმა დავით გარეჯის უღაბნოებში ამოხოცა ექვსი ათასი ბერი და გაძარცვა მონასტრები“.

ისტორიის ჩარხი ისე დაბრუნდა, რომ გასული საუკუნეების ბოლოსათვის გარეჯა გაუკაცრიელდა, ძველებსაც განადგურება ემუქრებოდა. დღეს, ქართული კულტურის აღმავლობის ხანაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი კულტურის ისტორიული ცენტრების შესწავლა-გამოვლენას, მათს ღირსეულად, შეცნობიერულად დაცვა-ჩვენებას. ზიციით, რომ დიდი სამუშაოებია შესრულებული დავით გარეჯის ლავრის აღდგენა-გამაგრებისათვის, მაგრამ ლავრა ხომ როგორც ახლა ვიცით ურთი მეთხუთმეტეთაგანია. დანარჩენი კომპლექსებიც მოვლის მზრუნველის ხელს ესოდენ მნიშვნელოვანი, ქუშმარტად სახალხო საქმის შესასრულებლად.



ქართული ნაქარგობის ძეგლები

(ორი გარდამოსხმა)

ლიტურგიული წესის შესრულებაში მიღებულ საფარებს-დაფარნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ბერძნულში მას „აერ“ ერქვა. ათონის მონასტრის 1142 წ. აღწერებში ნახსენები დასაფარებელი ქართულს „დაფარნის“ სახით შეუთვითებია. გარდამოსხმის აღსანიშნავად საეკლესიო მწერლობაში იხმარებოდა კიდევ წმიდა არდაგი, საფლავის საფარი და სხვა. ქართულში ტერმინი „გარდამოსხმა“ ნახმარია XVI ს. ბაგრატიანულ (1510-1548) გარდამოსხმაში.

გარდამოსხმას დოგმატურ-სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოდგენილია იმ არდაგად, რომელზეც დასვენებული და შემდეგ შეგრავენილი იყო ჯვრიდან გარდამოსხნილი ქრისტეს სხეული. გარდამოსხმა ვნების კვირაში წითელ პარასკევს ეკლესიიდან გარეთ გამოქჷონდათ, სამჯერ შემოატარებდნენ ეკლესიას და შემდეგ ისევ ეკლესიაში შექჷონდათ.

გარდამოსხმა საქართველოში ბიზანტიიდან შემოდის. გარდამოსხმის მთავარი ეპიზოდი — ქრისტეს ტირილი XI ს. ბერძნულ მინიატურებში გვხვდება. ამავე საუკუნის მეორე ნახევრის მინიატურებში უკვე შემუშავებულია ქრისტეს ტირილის კომპოზიციის იკონოგრაფიული სახე. ღვთისმშობლის შვილი ჩაკრული ჰყავს გულში და დედობრივი სიყვარულით ლოყა ლოყაზე აქვს მიღებული. აქ მოცემულია ცდა რეალურად გადმოგვეცეს გლოვა, რომელსაც დედა განიცდის შვილის სიკვდილის დროს. ამ სურათს ავსებს ნიკოდიმესა და იოსების მწუხარება მძაფრი ზოძრაობით გამოხატული, თან ქრისტეს ფეხები უჭირავთ ხელში, მარიამ მაგდალინელის ხელაღმართული გლოვის პოსა და მწუხარე ანგელოზები. XII ს. გელათის ოთხთავის მხატვრობაში ქრისტეს სხეული ღვთისმშობლის კალთაში ასვენია, ნიკოდიმესა და იოსებს გაჭიმული ფეხები უჭირავთ, ამას უმატება კიდევ იოანეს მოკრძალებული მწუხარე ფიგურა. აქ უკვე ჩასახვლია „ჰიეტას“ კომპოზიცია. XIII ს. ჯრუჭის სახარებაში ქრისტეს ტირილის კომპოზიცია (მარკოზის თავში), უკვე ჰიეტას ჩამოყალიბებულ კომპოზიციას იძლევა. მას ქვემოდან ერთეის ორი მენელსაცხებელე დედა მაღალეკლიანი ტურტლით ხელში მათ წინ ზის ანგელოზი, რომელიც ქრისტეს საფლავისაკენ უთითებს, საფლავიდან არდაგი მოსჩანს. ამგვარად ეს კომპოზიცია გადმოგვეცემს ქრისტეს ტირილს ღრმა გრძნობითა და დრამატუზით, რაც ამ ხნისათვის შემუშავებულია, შეიძლება ითქვას, სახარების ტექსტის დაუცველად. მოყვანილი პერსონაჟები თავმოყრილია სახარების ორი ეპიზოდიდან — ჯვარცმისა და გარდამოსხმიდან.

სანტერესოა აგრეთვე უძველესი გარდამოსხმა 1282-1328 წლებისა ოქრიდიდან, რომელსაც საკრალურ-დოგმატური ხასიათი აქვს. ამასვე ვხვდავთ გელათის XIV ს. კონქის ქვემოთ მოთავსებულ რეგისტრში, რომელზეც გამოხატულია ანგელოზების საზეიმო სულა ანთებული სანთლებით. ორ ანგელოზს თავს ზევით გარდამოსხმა უჭირავს, რომელზეც სიმბოლურ-დოგმატური საეკლესიო რიტუალის საქვენებლად მხოლოდ ქრისტეა წარმოდგენილი. ჩვეულებრივი საეკლესიო ანალოგიური რიტუალის შესრულება



საკელესიო მსახურების მიერ ანგელოზებით არის შეცვლილი, რითაც მთელს ქვეყანაში ციხის დოგმატურ-სიმბოლური სახე აქვს მიცემული. XIV ს. პანაგოტის ღვთისმშობლის ეკლესიის გარდამოხსნაც ისეთივე ხასიათისაა, მხოლოდ აქ მომსახურე ანგელოზებს ორი მტირალი ანგელოზი ემატება. XIV ს. გელათის ფრესკაში ქრისტე ქვაზეა ნოთავსებული, თუმცა თავი ჯერ კიდევ ღვთისმშობლის კალთაში უდევს, რომელიც უკვე სკამზე ზის. ქრისტე მხოლოდ ცენტრალური მდებარეობით არის ხაზგასმული, როგორც პერსონაჟი კი არ არის მკვეთრად გამოყოფილი თავისი ზომით. XV საუკუნე იძლევა გარდამოხსნებს მომსახურე ანგელოზებით, მტირალი ანგელოზების დარაჯით ან მხოლოდ მტირალი ანგელოზებით. მხოლოდ XIV ს. მიწურულში და XV ს. დასაწყისისათვის კომპოზიციაში შეყვანილია ღვთისმშობელი, იოანე, მტირალი დედანი და სხვა, რითაც ერთგვარი დრამატიზმის იერია შეტანილი მთელ სიმბოლურ-დოგმატურ განწყობაში, ამით მიღწეულია განუყენებელი და მისტიკური სიუჟეტის უფრო გასაგები და ადამიანის გრძობებზე მოქმედი ახალი შინაარსი. ჭირსუფალთა მოძრაობა და მდებარეობა, ჩანს, ნაწილობრივ მაინც იცავს იმდროინდელ ქრისტეს ტირილის იკონოგრაფიულ სცენას.

ჩვენამდე მოღწეული ნაქარგი გარდამოხსნებიდან უძველესია მეფე გიორგი VIII (1446-1466) დაკვეთით ნაქარგი გარდამოხსნა, რომელიც შესრულებულია ლურჯი აბრეშუმის ქსოვილზე 192X158 სმ. ამ გარდამოხსნის კომპოზიცია რთულია. მასში თანმიმდევრობით მოცემულია ქრისტეს ცხოვრების რამდენიმე უკანასკნელი ეპიზოდი: ჯერიდან ჩამოხსნილი გარდაცვლილი ქრისტეს ტირილი, მისი დასაფლავება საფლავის ქვის გამოხახვით, რომელსაც ოთხი გუშავი დარაჯობს, აღდგომა, გადმოცემული მენელსაცხებლეთა და პეტრეს მისვლით საფლავთან, საიდანაც ქრისტე უკვე აღმდგარია, აგრეთვე ამალეობაც. აქ გატარებულია აზრი, რომ ქრისტე სინამდვილეში არ მომკვდარა, ის დაკრძალვის შემდგომვე ჯერ აღდგა და შემდეგ ამალდა. კომპოზიციის კუთხვები ეთობა მახარებელთა ემბლემებს, რომლებიც კომპოზიციიდან გამოიყოფიან მცენარეულ გეომეტრიული ორნამენტის მორკალული ზოლით. მთელი ნაქარგობა ერთავსებულია ორნამენტულ ჩარჩოში. თავისუფალ ფონზე გაბნეულია ორნამენტულ წრებში ჩასმული სერაფიმები, ძალნი ცისანი და წრეში მოთავსებული ჯვრები. კომპოზიციის მარჯვენა ზედა ნაწილში ასომთავრული წარწერაა. „ქ. დიდისა მეფეთამეფესა ალექსანდრეს ძესა მეფეთმეფესა გიორგის ვაკემარჯოს და ცოდვანი მისნი შეუნდონ ღმერთმან, რომლისა ბირებითა საფლავად დადებამ მხსნელისა ჩვენისა იესოს ქრისტესი შეიმზადა“.

მოსე ჯანაშვილი მოგვითხრობს: „გადმოცემით ეს გარდამოხსნა 1614 წ. შაჰაბას I მცხეთიდან გაუტაცნია სპარსეთში და ცხენისათვის უნაგირის ქვეშ დაუფენია. მალე სპარსეთში რაღაც წყლული გავრცელებულა, რომელიც მოსახლეობას დიდ უებედურებას აყენებდა, რაც შაჰაბაზს ღვთის რისხვისათვის მიუწერია გარდამოხსნის შეურაცხყოფისათვის და ეს უკანასკნელი დიდი საჩუქრებით ისევ მცხეთისათვის დაუბრუნებია“. ამის შედეგად გარდამოხსნამ ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებულმა მოაღწია და რესტავირებულია ანასტასია დავითის ასულ ჯანიდერის მიერ.

გარდამოხსნა ნაქარგია დამაგრებული სითვით და ყანსაღურა ნაკეთობით. ნახარია ოქროცურვილი ვერცხლის თმა (რომლის დამაგრებისას გამოყვანილია პაწაწინა რომბები, ტეხილი ტალღისებური ხაზები, ლიანდაგურა, თევზის ფხური ან სადა სითვი) და ფერადი აბრეშუმის ძაფი. ოქროცურვილ თმას, ნაქარგობის მცირე რელიეფობისათვის ქვემოდან უდევს ჩალისფერი დაუგრეხავი აბრეშუმის ძაფი.



გარდამოხსნა ზაგრაბ III იმერთა მეფის, XVI ს.

გარდამოხსნა XV ს.





გიორგისეული გარდამოსხმის ქრისტეს ტირილი მთლიანად მოკლებულია მხარობას, რომელიც განსაკუთრებით მინიატურებში შეინიშნება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქრისტეს ტირილის სცენაში შეტანილია ანგელოზთა საზეიმო ღვთისმსახურების ელემენტი, რასაც ვხედავთ მთელ რიგ ბიზანტიურ გარდამოსხმებში. საბოლოოდ ჩამოყალიბდა კომპოზიცია, რომელსაც მხოლოდ სიმბოლურ-დოგმატური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გარდამოსხმაში ღვთისმშობელი ქრისტესკენ არის დახრილი, ხოლო სხვა ჭირისუფლები ქრისტეს სხეულის უკან არიან მოთავსებულნი. ამ გარდამოსხმაში მოცემული ქრისტეს ტირილის მონღენო სცენები ამ ხანის და უფრო ადრინდელ კომპოზიციებში არსად გვხვდება თუ მხედველობაში არ მივიღებთ XIII ს. ჯგუჯის სახარების მინიატურას, სადაც ქრისტეს ტირილს მხოლოდ ადგომის კომპოზიცია ერთვის. მასხარობლების სიმბოლოების გამოხატვა გარდამოსხმის კუთხვებში, რაც უძველეს კომპოზიციებშია მოცემული, შემდეგში, ჩანს, ტრადიციული გამხდარა. გიორგისეული გარდამოსხმის ამალეების კომპოზიცია ჩვეულებრივი სქემიდან განსხვავდება იმით, რომ ქრისტე ცისარტყელის მაგივრად საყდარზე ზის.

გარდამოსხმის ორნამენტული არხია შინაარსით უკავშირდება ჩარჩოს შიგნით მოთავსებულ კომპოზიციას. მცენარეულ წნულში მედალიონების სახით მოთავსებულია 16 წმიდანი და ჯვრები, რომლებიც რიგრიგობით სცელაან ერთიმეორეს. მოჩარჩოების მედალიონებში ჩასმული წმიდანების პორტრეტები გვხვდება ამავე საუკუნის სხვა გარდამოსხმებშიც. რადგან არხია გარკვეული შინაარსის მატარებელია, მისი აღქმისათვისაც გარკვეული ხერხია მიღებული. იგი წარმოდგენილია როგორც ორი ჯვრით შუამაზებული პორტრეტის მედალიონების მწკრივი. ამასთან თითოეული სურათი გამოყოფილია ინტერვალთ — მომცრო რომბით, რომელიც სადად შესრულებულ ელემენტს წარმოადგენს. არხია სახიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს, რადგან, ერთი მხრივ, გეომეტრიული ხაზები, მოქნილი ფოთლები და მეორე მხრივ, ნახატობისა და ფონის ერთმანეთთან დაპირისპირება ისევე, როგორც ფერადი ლაქების შეხამება, დიდი გემოვნებით არის შერჩეული.

ამ გარდამოსხმის რამდენიმე კომპოზიციური და იკონოგრაფიული განმეორება გვხვდება XVII საუკუნეში.

გიორგისეული გარდამოსხმის კომპოზიცია მოცემულია სიბრტყეში. ქრისტეს დიდი ზომის სხეული ნაკლებად მოქნილი ხაზებით არის მოცემული. თმაც ხისტი და ნოუხემაგია. ხანის ნაკვთები და წვეურღვამიც პირობითია, ქვეშაგები უკუღმა პერსპექტივით არის მოცემული. მთავარანგელოზების და სხვა პერსონაჟის სახის კვერცხისებური ოვალის მეტყველად არ აღნიშნავს ნაკვთების მოხატულობას და პირობითია. მათი სხეული და სამოსი მოუხემაგია და არ იძლევა ისეთ სურათს, როგორც XIV ს. იმფორში, რომელშიც მთელი სხეული და მისი მოძრაობა სამოსს შიგნიდან კარგად იგრძნობა ნაოქების ბუნებრივი დალაგების გამო. საინტერესოა ერთი მომენტიც — მთავარანგელოზებს ქართული ქალამნის მსგავსი ფეხსაცმელი აცვიათ.

გარდამოსხმის მთელ კომპოზიციაში ქრისტეს ტირილის ეპიზოდს ფართობის ნახევარი უჭირავს და ამიტომ მისი პირველმნიშვნელობა მკაფიოდ არის გამოყოფილი. ქრისტეს ფიგურის ზომა და დანარჩენი პერსონაჟების მისდამი მიმართება ქრისტეს უპირველეს მნიშვნელობას აძლევს. ქრისტეს ღია, ნათელი ფერის სხეული თავიდანვე მაყურებლის ყურადღებას იპყრობს. ამ ფერს კარგად ეხამება ქრისტეს ირგვლივ მოთავსებული პერსონაჟების ქლამინდებისა და მათ ქვეშ მოცემული საგებლის ოქროსებური



ბზინვარე ლაქები. თმას, სახის ნაწილებს და ფერად სამოსელს ორბიტორში დასაბამოვნო ღვერა შეაქეთ. ჟოლოსფერი სამოსი ენაცვლება ღია ცისფერსა და მომწვანო ყვითელს. ამრიგად, ჭირისუფლების მოძრაობის რიტმს ერთვის ფერადი გამის რიტმიც. მთლიანად ღურჯ ფონზე შესრულებული სიუჟეტი, აქა-იქ მოთავსებული ჯერიანი შედალიონები, სერაფიმები, ძალნი ცისანი წარწერებთან ერთად კომპოზიციურად მთლიანსა და ფერების შეხამებით სასიამოვნო სურათს წარმოადგენს. ქვედა ნაწილში მოთავსებული კომპოზიცია, თუმცა მასში პერსონაჟები შემცირებულია, ჭვირთავს გარდამოსხნის კომპოზიციას, მაგრამ ამასთანავე რამდენიმედ ყურადღებას სწუყეტს ძირითადი სიუჟეტისაგან. ეს შთაბეჭდილება იქმნება იმის გამო, რომ პერსონაჟების შემცირება გამოიხატება მხოლოდ სხულის ქვედა ნაწილების შემოკლებით. მაგრამ მათი ნახატობა და ფერები იმდენად მკვეთრად არის გამოყოფილი, რომ ჭირისუფლებთან ერთად აღიქმებიან ამ ნაწილში მოცემული პეტრე მოციქული და ორი ნუნელსაცხებელ დედა სხვა პერსონაჟებს არ ეთვისებიან თავიანთი ზომებით და დამუშავებით, რის გამოც ამ რეგისტრის დანარჩენი ნაწილი მოწყვეტილია, დაქვემდებარებულია ძირითად სიუჟეტს.

ზედა რეგისტრის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია ძალიან შემცირებული პერსონაჟებით შესრულებული ამალღება საყდარზე მჯდომი ჭრისტეთი. ანგლოზები ისეა მოცემული, როგორც ამ კომპოზიციის თხრობის დამხმარე მეორეხარისხოვანი მომენტია. ამალღების ორივე მხარეს მოთავსებული ძალნი ცისანი ავსებენ მთელ რეგისტრს და შინაარსობრივ ისევე მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ. რაც შეეხება მათ მხატვრულ აღქმას, აქაც მოცემული არიან როგორც დამხმარე და შემავსებელი ნაწილები.

კუთხეებში მოთავსებული ოთხი მახარობლის ემბლემა, როგორც შინაარსობრივად, ისე კომპოზიციურად მიქცეულია კომპოზიციის მთავარი პერსონაჟისაკენ, რაც ხელს უწყობს მათგანების ყურადღების გამახვილებას ცენტრალურ ფიგურაზე. მთელი სურათი შეკრულია ჯერებისა და წმიდანებისაგან შემდგარი ფართო ორნამენტული არსებით. მჭარგველი ერთ სურათად წარმოგვიდგენს ჭრისტეს ცხოვრების ჯერიდან ჩამოხსნის შემდგომ ეპიზოდს. ჭრისტეს ცხედარს დედა და მახლობლები დასტირიან, ამით ხელოვანს უნდა მთელი მომენტის დრამატიზმის აღნიშვნა, მაგრამ, როგორც საზეიმო საღმრთო მსახურების შემსრულებელი, იგი ცდილობს მწუხარების განწყობა შეანელოს. ეს ხაზგასმულია მოვლენათა მსვლელობის შემდგომ ეპიზოდებშიც. ძირითადი ნომენტი გარდაცვლილი ჭრისტეს ტირილისა აუტორს არ უნდა გახადოს ხანგრძლივი შთაბეჭდილების საგნად და მათგანების აზრი გადააქვს ჯერ ქვაზე, რომლის ქვეშ ჩაცხოვარი იყო დაკრძალული და შემდეგ სამარეზე, საიდანაც ჭრისტე აღდგა. ამრიგად, აქვე ხაზგასმულია ჭრისტეს ხანმოკლე სიკვდილი, რომ იგი მოკვდა, მაგრამ აღდგება და აღდგა კიდევ. ამიტომ შეიძლება მხატვარმა ქვემო რეგისტრის ზოგიერთი პერსონაჟი მოჭარბებული ზომისაც კი მოგვცა, რათა მკვდარი ჭრისტესაგან მათგანების თვალის სწრაფად გადასულიყო იმ სურათებზე, რომელნიც მის უხრწნელობასა და აღდგომას ამცნებს. ბოლოს, ზემოთ მოთავსებული ამალღება ამ აზრს აგვირგვინებს.

ამრიგად, ეს გარდამოსხნა ქართული ნაქარგობის განვითარების იმ საფეხურს ვკუთვნის, როდესაც მკაფიო ჩამოყალიბებული სქემა უკვე დარღვეულია. მხატვარი კომპოზიციას აქ უფრო თავისუფლად აწყობს. გარდამოსხნა იმ დროისათვის ახალშექმნილი კომპოზიციური სქემის უფრო განვითარებული სახეა.



გაგაბაძის XVI ს.



გარეშობის, XVI ს.

გარდამოხსნის ნაქარგობა თუ ნახატობის შესრულებაში ჩამორჩება, ფერთა შეხამებაში წონასწორობა და ცუდი. თითოეული ფერი დაპირისპირებულია ლურჯ ფონსა და უხვად ნახმარ ოქროცურვილ ვერცხლის თმასთან, რითაც თავისებური, ლითონისებური იერი გადაკრავს, ამიტომ ცხოველხატულობა ნაკლებად არის მოცემული. დაცულია ქარვის ტეჭნიკის, ფერების შერჩევის ძველი ტრადიციები. ხეულის ნაკეთების, ტანსაცმლის გადმოცემა მშრალი და სქამატური ხდება. ჩანს, იმდროინდელი ქარვის ხელოვნება სხვა მომენტებს აქცევდა ყურადღებას, როგორცაა ოქროს ჭარბად მოცემა და ამ გზით მდიდრული შთაბეჭდილების შექმნა. აღნიშნულ გარდამოხსნაში შეინიშნება მხატვრული ზომიერების დაკარგვა. საბოლოოდ გარდამოხსნაში იგრძნობა აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ზონუმენტურობა.

ბაგრატი 111 (1510-1565) იმერთა მეფის დაკვეთით ნაქარგი გარდამოხსნაც 264X160 სმ. წარმოადგენს ქრისტეს ტირილის კომპოზიციას, რომელიც შესრულებულია მუქ ყავისფერ ფონზე. ამ გარდამოხსნაში საეკლესიო რიტუალს ორი ანგელოზი აბრულებს, რომელთაც სამწერობლები უჭირავთ ხელში. აქ დამატებით გამოსახულია ორი ანგელოზი, ერთი გაკვირვებულია, არ სჯერა ქრისტეს საეკლესიო, მეორე კი მწუხარებას გამოხატავს. კომპოზიციაში სიმბოლურ-დოგმატური განწყობაა მოცემული. დრამატიზმისა და საზეიმო იერი შეაქვთ კომპოზიციის თავსა და ბოლოში ზოლებით გამოყოფილ მორიდებით მდგარ მტირალ ღვთისმშობელსა და იოანე მოციქულს. ამ უკანასკნელს სახარება უჭირავს მარცხენა ხელში. მუქი ყავისფერი ფონიდან მკვეთრად გამოიყოფა არდაგზე მწოლი მაცხოვრის ნათელი ხეული, რომლისკენაც მიქცეულია როგორც ჭირისუფალი და ანგელოზები ისე კუთხეებში მოთავსებული ოთხი მახარობლის ემბლემა, რომელთა მწკრივი რიტმულ ზოლად უელის მთავარ პერსონაჟს — ქრისტეს ცხედარს, რითაც ხაზი ესმება მის უპირატესობას — პირველობას.


კომპოზიციას გარს უვლის ლურჯ ფონზე ქტიტორის მხატვრულად შესრულებული წარწერა: „ქ. შეენიერმან იოსებ ძელსაგან გარდამოხსნა ზორციელი გვაში შენი ქრისტე და არმენაკითა წმიდათა წარგრაგნა, სურნელებითა შემურვილ ბნელსა საფლავს დაგდა, არამედ მესამესა დღესა აღდგე და მონიჭე სოფელს დიდი წყალობა. ამა გარდამოხსნის ლორეზით შემამკობელს, რომელმან მეორედ აღაშენნა ციხენი, საყდარნი, მონასტერნი და კკლესიანი და შეამკნა ყოველითურთ უნაკლოდ ხელოვან მხატვართ მიერ, განაშენნა ხატებითა, წიგნითა დადებულ სიმრავლითა აღსავსე ყო, მეორეს აღმშენებელს მეფეთა მეფესა ბაგრატსა, ცოდვანი მათნი შეუნდნეს ღმერთმან ჩვენმან... ამინ“. წარწერა მეტად დეკორაციულია. ყოველი ასო მცენარისა და ზოგიერთ შემთხვევაში ფრინველების თავის სტილიზაციას წარმოადგენს. ასოთა ხაზები დაწვეტილია და ნახევარ რკალებით შეერთებული. ასეთში ფრინველის გამოსახულებაც ვხვდებით. სიტყვებს შორის თითო მოზრდილი ყვავილია მოცემული. წარწერა შეღამაშებულია აგრეთვე ასოთა თხზვით, შეწიალებით. ლურჯ ფონზე მთლიანად ვერცხლის თმით შესრულებული წარწერა კეთილშობილ დეკორაციულ ცოცხალ ორნამენტს იძლევა. გარდამოხსნას გარს უვლის კიდევ ლურჯ ფონზე შესრულებული მცენარეული ორნამენტი. გარდამოხსნის ბოლოებში ორნამენტი განიერი. იგი წარმოადგენს წყვილი მცენარეული ზოლის ხლართვით შექმნილ ჯვრებსა და ჯვრიანი მედალიონების მწკრივს. მეორე წყვილ გვერდს გაკვეთა ამ ორნამენტის სიგრძეზე გადაკვეთით მიღებული ნახევარი.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ნაქარგობა შესრულებულია სადა და დამაგრებული სითვით. ნაჭრული ვერცხლის თმა, ოქროცურვილი ვერცხლის თმა და ფერადი აბრეშუმის ძაფი. მცირე რელიეფობისათვის ნაქარგობას ქვემოდან უდევს აბრეშუმის ძაფის თხელი ფენა, გარდამოსხმას ახასიათებს მდიდარი და სასიამოვნო პალიტრა. კუთხეებში მოთავსებული ოთხი მახარობლის ღია ცისფერი ფონი აცხოველებს კომპოზიციის მუქი ყავისფერით გადმოცეულ წყვედიადს. ამას ერთვის ღვთისმშობლისა და იოანეს ბაყი მწვანე და ღვინისფერი სამოსი; აქა-იქ ჩართული წითელი, მწვანე, ოქროსფერი, ვერცხლი და სხვა ფერების გემოვნებით შეხამებული პატარპატარა ლაქები არბილებენ მუქი ყავისფერისა და ღია ლურჯის შეხამების სიმძიმეს, რის გამოც ნაქარგობას მდიდარი ცხოველხატული და დასავლეთ საქართველოს ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქე ეძლევა.

გარდამოსხმამ ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებულმა მოაღწია, რის გამოც 1947 წ. რესტავრირებული იყო ანასტასია ჯანდიერისა და ნინო სვანიძის მიერ.



ნერესი

მარინა შარნაძე
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომელი

კედლის მხატვრობის ძეგლები

(ლევან კახთა მეფისა და თინათინ დედოფლის პორტრეტული გამოსახულებანი)

ბრწყინვალე არქიტექტურულ ძეგლებთან ერთად კახეთმა კედლის მხატვრობის საინტერესო ნიმუშებიც შემოგვინახა. ძირითადად ეს გვიანფეოდალური მხატვრობაა.

მტრისგან მრავალჯერ აოხრებულ კახეთში XVI საუკუნის დასაწყისისათვის ძეგლების უმეტესი ნაწილი განადგურებულა, კედლის მხატვრობიდან კი თითქმის არაფერია შემორჩენილი.

ლევან კახთა მეფის მმართველობის დროს (მეფობის წლები 1520—1574—77) ფართოდ გაიშალა ეკლესია-მონასტრების მშენებლობა თუ სარესტავრაციო სამუშაოები. სწორედ ამ დროს აშენდა გრემი და შუამთა. შეკეთდა და გამაგრდა პრავალი უძველესი ძეგლი და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, უმეტესი მათგანი მოიხატა კიდევ.



სამმა ძეგლმა — ალვანმა, ნეკრესმა და გრემმა შემოგვინახა მეუღლის, გურიელის ასულის თინათინის პორტრეტები.

ალვანის ნათლისმცემლის ეკლესიაში გამოსახული არიან ლევანი და თინათინი, ნეკრესში — ლევანი, თინათინი და მათი ერთ-ერთი ვაჟიშვილი, გრემში კი მხოლოდ ლევანი.

ახალმა შუამთამაც შემოგვინახა ამგვარი გამოსახულება, რომელიც ბოლო დრომდე თინათინის, ლევანისა და ერთ-ერთი ვაჟიშვილის პორტრეტად ითვლებოდა.

ამ მოხატულობის შესახებ თინათინ ვირსალაძემ სხვაგვარი მოსაზრება გაამოთქვა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ცნობილია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კტიტორთა პორტრეტების შესწავლა. უმეტეს შემთხვევაში სწორედ მათი საშუალებით ხდება ძეგლის ზუსტი დათარიღება; ამასთან ისტორიულ პირთა პორტრეტების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია შევინწყავლოთ იმ ეპოქის ჩაცმულობა, სამეფო რეგალიები, რაც გარკვეულ წარმოდგენას მოგვცენა იმდროინდელ ყოფასა და ზნეჩვეულებებზე. ეს კი შედეგის ისტორიულ ცნობებს გარკვეულ ეპოქაზე და, რაც ასევე საინტერესოა, საშუალებას მოგვცემს მიახლოებით მაინც აღვადგინოთ ამა თუ იმ პიროვნების პორტრეტი.

ისტორიულმა საბუთებმა და წარწერებმა არ შემოგვინახა ზუსტი ცნობები კახეთის ეკლესიების მოხატვის თარიღების შესახებ. განსახილველი პორტრეტები სწორედ ამ მხრივ გვაძლევს საშუალებას დავსვათ საკითხი ამ ძეგლების მოხატვის დროისა და მიმდევრობის შესახებ.


ქართულ ძეგლებში ადრეული ხანის კტიტორთა პორტრეტები საფუძვლიანად შესწავლილია გაიანე ალიბეგაშვილის წიგნში «Четыре портрета царивы Тамары». აქვე განხილულია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპები, რაც მოკლედ შემდგენიარად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

არსებობს კტიტორული პორტრეტების ორი ტიპი — ცალკეული ან ჯგუფური. ისინი კომპოზიციურად ყოველთვის ქვედა რეგისტრშია მოთავსებული — კარგად განათებულ ადგილას, ჩრდილოეთ ან სამხრეთ, იშვიათად დასავლეთ კედელზე. ზომით კტიტორთა პორტრეტები, ყოველთვის აღემატებიან რელიგიური ხასიათის სცენებში მონაწილეთა ფიგურებს. ეს ხაზს უსვამს მათი, როგორც ისტორიული პირების, მნიშვნელობას. ეს გამოსახულებანი წერის მანერის მხრივაც გამოირჩევიან მთლიანი მოხატულობისაგან, რადგან მხატვარი თავისუფალი იკონოგრაფიული დოგმისაგან, ჩვეულებრივ ისტორიული პორტრეტები უფრო ხაზობრივ მანერაშია შესრულებული. ამ განსხვავების მიუხედავად აღმშენებელთა პორტრეტები როგორც კომპოზიციურად, ისე სტილისტიკურად ჰარმონიულად ერწყმის ეკლესიის მთელ მოხატულობას და მისი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. შემჩნევა გარკვეული სწრაფვაც პორტრეტული მსგავსების მისაღწევად

ჩვენი პორტრეტებიც ძირითადად ამ პრინციპებს ექვემდებარება.

ალვანის ნათლისმცემლის ბაზილიკა აღდგენილია XVI საუკუნეში, ლევანის ნეფობის დროს. ამავე დროსაა მოხატული მისი ცენტრალური ნაეი.

დასავლეთ კედელზე, ქვედა რეგისტრში ხუთი დიდი ფიგურა მოთავსებულია შემდგვი თანმიმდევრობით — წმ. ნინო, თინათინი, ლევანი, კონსტანტინე და ელენე. ფიგურები დიდია. დგანან ფრონტალურად და, ბუნებრივია, მიმართული არიან საკურთხევისკენ. თითოეული მათგანი გამოყოფილია თალით და ცალკე იკონ-



ალვანი

ძევა. კტიტორთა პორტრეტების თაღით გამოყოფის მაგალითებს ადრევე ვხვდებით (მაგ. ყინცყისი, ნაბახტვეი), მაგრამ იქ თაღები ნალისებრი ფორმისაა, აქ კი შეისრული — თაღის აღმოსავლური ფორმის ერთგვარი გადმოტანა.

ლევანსა და თინათინს შუა გამოსახულია ეკლესიის მოდელი, რომელიც ლევანს მარჯვენა ხელით უჭირავს.

ჩვენი კტიტორების გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია. თინათინის ფიგურისაგან დარჩა მხოლოდ შარავანდისა და გვირგვინის ნაგლეჯი და ტანისამოსის პატარა ფრაგმენტი. ლევანის გამოსახულებისა და სამოსელის აღდგენა ძირითადად შესაძლებელია.

ლევან მეფეს აცვია ტრადიციული ბიზანტიური სადღესასწაულო ტანსაცმელი. ქვემოდან ტურფამდე ვრძელი სამოსი ვრძელივე ვიწრო სახელებით, რომელსაც ინტერულა ეწოდება. ინტერულა ოქროქსოვილისაა, ქობა მოოჭვილია ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით. ზემოდან აცვია ინტერულაზე უფრო ქოკლე შუბი ღურჯი ბისონი. გულმკერდზე აქვს ძვირფასი თვლებით შორთული აგრეთვე ოქროქსოვილის სამხრე ანუ მანიაკი (საბასთან მანიაკი „საყულო შთვალულ-მომარგალიტული“), რომლიდანაც ვერტიკალურად ინტერულას ქობამდე ეშვება ახევე თვალმარგალიტით შორთული ღორთ (ანუ დიადემა). თავზე ადგას ოქროს გვირგვინი, რომლის შუაში გამოსახულია ჯვარი, ხოლო გვერდები კი თვალ-მარგალიტებით აქვს მოჭედილი. თინათინის ტანსაცმლის მთლიანი მოხაზულობისა და შორთული ღორთის ნაგლეჯის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასაც, ლევანის მგავსად, ბიზანტიის დედოფლის ტანისამოსი ეცვა.

ხუთივე გამოსახულებას შარავანდი ადგას.

წარწერები ქართულია. ბერძნულად შესრულებულია მხოლოდ გრაგნილების ტექსტი. ლევანის მარჯვნივ, ჯერ კიდევ 1966 წ. შეიძლებოდა ორი ასოს — ბ და რ-ს გარჩევა. დღეს წარწერა სრულიად ამოფხვკილია.

ლევანის მეფობის დროსვეა მოხატული ნეკრესის სამეკლესიანი ბაზილიკა. მოხატულობის სისტემა აქ ალვანისაგან განსხვავებულია, სადაც ბოძებზე წმინდანებისა და მესვეტების გამოსახულება გვაქვს, მათ ზემოთ კედელზე კი მოხატულობის



შუამთა →

ორ-ორი რეგისტრია განლაგებული. ნეკრესში მოხატულობა უფრო დაქუცმაცებულ შიბეჭდილებას ტოვებს: საკურთხეველსა და დას. კედელზე 4—4 რეგისტრია, წრე და საწახ. კედლებზე კი 3—3. გარდა ამისა, ალვანში რეგისტრები ერთიან ზოლად გასდევს კედლებს, ნეკრესში კი ერთმანეთს გვერდით განსხვავებული ზომის სყენებია, ზოგან სარკმელი ან პილასტრი მოულოდნელად არათანაბრად ყოფს სენას. ყოველივე ეს არღვევს მოხატულობის ერთიან სისტემას და თუმცა თავისებუ-



რად ცხოველხატულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მთლიანად მოხატულობას მონუმენტურობას უკარგავს.

სამხრეთის კედლის დას. ნაწილში საკმაოდ კარგად შემონახულია ლევანის, აინათინისა და მათი ვაჟიშვილის პორტრეტები. ლევანს ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს.

ნკრესის მოხატულობის კომპოზიციურ თავისუფლებას კტიტორთა პორტრეტების განლაგებაც ხელს უწყობს.

ფიგურები საკმაოდ რთულ პოზებში არიან გამოსახულნი (რთული, რა თქმა უნდა, მხოლოდ პირობითად). ერთიმეორის უკან განლაგებული სამივე ფიგურა 3/4-ითაა საკურთხევისაკენ მიბრუნებული, ვედრების პოზაში გაწედილი ხელე-



ბიც იქით აქვთ მიმართული. მხოლოდ ლევანსა და თინათინს სახეებიც კი ვხედავდი. დღეო მხარეს, დასავლეთისაკენ, ე. ი. შემოსასვლელისაკენ აქვით მოტრიალებული. კტიტორთა რიგი წარმოადგენილია მჭიდროდ, თითქმის უინტერვალოდ, გარს შემოვლებული აქვს უბრალო ზოლის თხაკუთხა ჩარჩო მაშინ, როცა მათ მარცხნივ ფრონტალურად გამოსახული წმინდა მეომრის 4 ფიგურა დგას თავისუფლად, მათ შორის დიდი ინტერვალებია. ზემოდან თითოეულ მათგანს შემოვლებული აქვს თალი, ხოლო მარჯვენა ხელში უჭირავთ გრძელი შუბები, რომლებიც გამყოფი ზოლების დანიშნულებასაც ასრულებენ.

ადრინდელი მოხატულობისთვის ალბათ დაუშვებელი მომენტი — მეფის ოჯახის ასე მჭიდროდ დაყენება, ხოლო იქვე მეომრების ფიგურების თავისუფალი ჯანლაგება — გვიანფოდალური ხანის მხატვრობაში უკვე მისაღები ხდება. ლევან მეფის ოჯახის გამოსახულება მოთავსებულია მუქი ლურჯი კედლის ფონზე.

სამივე კტიტორი ერთი ყაიდის კოსტუმშია გამოწყობილი. მხოლოდ ქსოვილის ნახატია განსხვავებული.

შინათ აცვიათ გრძელი ვიწროსახელოებიანი ინტერულა, ხოლო ზემოდან მკერდზე ჩახსნილი ბისონი. უფლისწულის ინტერულა მწვანე ფერისაა, ბისონი კი სახიანი აგურისფერი ქსოვილისა. მასზე გამოსახულია მუქი აგურისფერი მცენარეული ორნამენტი, ზოგან მუქი ლურჯი ყლორტებით. საილველი ქობა და ყოშები ოქროქსოვილისაა. თვით ლევანის ინტერულა ცისფერია (საცელო, სახელოები). ხოლო ბისონი მუქი შინდისფერი. ბისონზე ოქროთი ამოქარგულა ორნამენტი — წრებში მოთავსებული ორთავა არწივები — პალეოლოგთა ღერბა წარმოადგენს და ხშირად გვხვდება ბიზანტიის იმპერატორთა ჩაცმულობაში. ამგვარი გამოსახულება არცთუ იშვიათია ჩვენშიც: მაგ., ნაბახტევის მოხატულობაში ქსოვილის მოსართავად გამოყენებულია ფარშევანგები. ლევანის კოსტუმის საოლველი და მარჯვნივ ოქროქსოვილისაა. თინათინის სამოსი მწვანე ფერისაა. მცენარეული ორნამენტი, რომელიც მის ბისონს ამკობდა, თითქმის აღარა ჩანს. საოლველი და ყოშები მასაც ოქროსფერია აქვს. სამივე ქსოვილი ფარჩის იმიტაციას წარმოადგენს. ლამაზი ტონების ნატიფი შეხამება დახვეწილ იერს ანიჭებს მოხატულობას.

თინათინსა და ლევანს თავზე გვირგვინები ადგათ. ყმაწვილს კი საერო ქუდი ხურავს. თინათინის გვირგვინი ფორმით იდენტურია ლევანის გვირგვინისა ალევანის მოხატულობიდან. სამივეს შარავანდი ადგას.

გვირგვინისა და ვკლესიის მოდელის გარდა კტიტორები სხვა სამეფო რკვიალიებით არ არიან მოვარსებული. არც კოსტუმები აქვთ ტრადიციული საპარადო. მაგრამ ძვირფასი ქსოვილების გამოყენება ტანისამოსში მაინც სახეიმო იერს აძლევს ფიგურებს.

ამ პირთა ვინაობის დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო კტიტორთა რიგის თავზე განლაგებული ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერა, რომელიც ისტორიული შინაარსისა იქნებოდა და, საფიქრებელია, მოგვითხრობდა გამოსახული პირების შესახებ. სამწუხაროდ, ის ძლიერ ფრაგმენტირებულია და თინათინ ყაუზნიშვილია დანამდილებით კითხულობს მხოლოდ ერთ სიტყვას — *αἰετι*, რაც მიღებული აქვს ერთ-ერთი პირის, კერძოდ ლევანის ტიტულატურად და ასე თარგმნის — „მეფე იმერთა“. ცნობილია რომ ამ დროს ლევანიცა და იმერეთის მეფეებიც სრულადად საქართველოს მეფეების სრულ ტიტულს ატარებენ.

ნეკრესის კტიტორთა წერის მანერა რბილია. სახეები საკმაოდ მოცულობითი,

რაც მიღწეულია ფერების თანდათანობით გადასვლით. კარგადაა ამოყვანილი მისი ნაკეთები — ყვრიმალეები, ნიკაპი. და თუმცე სამივე პირის ტანსაცმლის ქსოვილი დაფარულია დეკორატიული ორნამენტით, აქ მინც არა გვაქვს ის ხაზოვანება და ერთგვარი სქემატურობა, რომელიც ალვანის მოხატულობის ფიგურებში შევინიშნებოდა.

წარწერები შესრულებულია ბერძნულ და ქართულ ენებზე. გარდა ამისა, ლევანის კოსტუმში ბიზანტიის იმპერატორთა ქსოვილის გამოყენებაც გვაფიქრებინებს, რომ მხატვარი შესაძლებელია ბერძენი ყოფილიყო. თუ რამდენად მართალია ეს აზრი, მომავალში გვიჩვენებს ძველის იკონოგრაფიული და სტილისტიკური ანალიზი.

მესამე ძველი, რომელშიც მოიპოვება კტიტორის გამოსახულება, არის გრემის მთავარანგელოზის ეკლესია, აშენებული XVI ს-ის II ნახევარში ლევან მეფის მიერ. სამხრეთ-დასავლეთ მკლავებში მისი სივრცის დასავლეთ კედელზე მოთავსებულია მისი პორტრეტი. ის გამოსახულია ცოლშვილის გარეშე. მის მარცხნივ წმ. მთვრის ფიგურაა, მარჯვნივ კი ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი ჩვილი ქრისტეთი. ეს სამი ფიგურა გაერთიანებულია ერთ კომპოზიციად. ლევანი დაკრძალულია გრემში, ამ ფრესკის ქვეშით. ფიგურა დიდია, დგას ფრონტალურად და ორივე ხელთ ეკლესიის მოდელი უჭირავს. ძვირფასი თვლებით მოჭყდილი გვირგვინის ფორმა განსხვავდება ალვანისა და ნეკრესის გვირგვინებისაგან. ის უფრო ვიწრო და პლატონური, წინა ორ ძველში კი უფრო დაბალი და პირგანიური გვირგვინები გვაქვს.

მისი ტანსაცმლისც საკმაოდ უცნაურია — შიგნიდან გრძელი სამოსი, ზემოდან მოკლე, ქულაჯის მსგავსი და ბოლოს ოთხკუთხა „აგრაფით“ ყელთან შეკრული მოკლე, მოსასხამი — მანტია. გრემში, ალვანსა და ნეკრესთან შედარებით, ნულის კოსტუმი ძლიერ გაუბრალოებულია. ქსოვილი უსახოა. მხოლოდ გვირგვინი მიუთითებს ამ პირის მაღალ წარმოშობაზე. ლოროს უკონლობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ მანტიისა და ლოროს ერთად მხარება არ შეიძლებოდა «Пор не допускает мантии» — წერს კონდაკოვი (Очерки и записки по истории средн. искусства и культуры გვ. 225) — „მეფის კურთხევის წესი“ (გვ. 3) ამას ამტკიცებს. თუმცე ლოროს გარეშეც შესაძლოა ტანსაცმელს საზეიმო იერი ჰქონდეს. გრემში გამოსახული ლევანის ფიგურა კი მოკლებულია ყოველგვარ პარადულობას. მაგალითისათვის გავიხსენოთ საფარის დიდგვაროვანთა კტიტორული პორტრეტები, რომელთა კოსტუმები გაცილებით მეტადაა მორთული, ვიდრე ლევანისა გრემში, ხოლო ამავე XVI საუკუნის გელათის წმ. გიორგის ეკლესიის კტიტორთა კოსტუმები წარმოდგენენ ბიზანტიის კეისრისა და დედოფლის სამოსის ყველა საზეიმო ატრიბუტის სრულ იმიტაციას.

ლევანის სამოსის ნაკვეები ძლიერ ხისტია და სქემატური. მოხატულობის საერთო ფერადოვნება ჩამუქებულია. უსიამოვნოა მოყავისფრო-მოწითალო, ქუჭყინი ნაცრისფერისა და მუქი ლვინისფერის შეხამება.

წარწერები ძირითადად გაკეთებულია ქართულსა და ბერძნულ ენებზე. ამრიგად, ამ სამ ეკლესიაში გვაქვს ერთი და იგივე პიროვნების — ლევან კახთა მეფის სამი პორტრეტი. არცერთი გამოსახულება არ მფორდება. განსხვავებულია კოსტუმები, გვირგვინები, პოზეები, გამოსახვის ადგილი, კოლორიტი. ყოველივე ეს იმს მიწობს, რომ XVI საუკუნის კახეთის მოხატულობებში ისტორიულ პირთა გამო-



სახვისას მთელ რიგ საერთო მომენტებთან ერთად, არსებობს მხატვრული დუალური მიდგომა.

ამ ძეგლთა მოხატვის ქრონოლოგიის დასადგენად მოკლედ გაიზმსნით თინათინისა და ლევანის ისტორია.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ლევანისა და თინათინის ქორწინება უნდა მომხდარიყო 1527 ან 28 წელს. თინათინი ლევანის თანამეცხედრედ უკანასკნელ-და ნახსენებია 1549 წლის სიგელში, ხოლო 1552 წლიდან ლევანი უკვე მარტო აწერს ხელს საბუთებს. ე. ი. მათი დაშორება და თინათინის შუამთის მონასტერში მონაზვნად აღკვეცა უნდა მომხდარიყო 1550—1552 წლებში. მამასადამე, 1550 წლის შემდეგ მათი ერთად გამოსახვა გამოირიცხვლია.

ჩვეულებრივ კატატორთა ოჯახურ გამოსახულებაში პირმშოს პორტრეტს ათავსებდნენ. თინათინის და ლევანის პირში, გიორგი, დაბადებულია 1529—31 წლებში. 1532 წლისთვის უკვე ორი ძეა ნახსენები — გიორგი და ელესე. ამ მონაცემებიდან გამომდინარე საფიქრებელია, რომ აღვანის მოხატვის პერიოდში (იქ, როგორც გვახსოვს, მხოლოდ თინათინი და ლევანია) გიორგი ჯერ დაბადებული არ არის. აქედან გამომდინარე აღვანის მოხატულობას დათარიღება შეგვიძლია 1529—1531 წლებით.

ნეკრესში უკვე მთელი ოჯახია — აქ გიორგი ოციოდე წლის ყმაწვილადაა გამოსახული, ე. ი. თუ მის დაბადების თარიღად 1529—31 წლებს მივიღებთ, გამოდის, რომ ნეკრესი უნდა მოხატულიყო 1550 წლისთვის, რააც ადასტურებს 1550 წლის შემდეგ მათი ერთად გამოსახვის შეუძლებლობაც.

რაც შეეხება გრემის მოხატულობას, იგი 1550 წლის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული, რადგან ლევანი ამ შემთხვევაში მარტოა გამოსახული. გრემის მხატვრობის დროის დასუსტება შესაძლებელი ხდება დასავლეთის შემოსასვლელის თავზე მოთავსებული ვრცელი ბერძნული წარწერით. მოგვყავს ამ წარწერის თ. ყაუხჩიშვილისეული თარგმანი: „აღიმართა და განახლდა ღვთაებრივი და ყოვლად წმიდა ტაძარი ყოველთა უდიდესთა მიჭაელისა და გაბრიელისა, სახელოვანი მეფის ლეონის შეწვევით, ხარჯით, გულსმოდგინებით და შრომით, მამინ როდესაც მღვდელმთავარი იყო ნიკოლოზი, 7085 წ. აგვისტოს თვის 29-ს, მეოთხე დღეს, საბას წინაშე აღმართის დროს... ქარტულარისი, ბერმონაზონი და პროტოსვიენჯლოზი სალონიკელი“.

წარწერაში მოცემული 7085 წ. ჩვ. წელთაღრიცხვის 1577 წელს უდრის (7085 5508—1577) ამ წარწერის მიხედვით ლევანი ცოცხალია და მეფობს. სხვა ისტორიული საბუთების მიხედვით ლევანი მეფობს 1574—76 წლამდე. ამიტომ ლევანის გარდაცვალების თარიღად შეგვიძლია მივიღოთ 1574—77 წლები. ე. ი. გრემის ეკლესიის მოხატულობა უნდა ყოფილიყო შესრულებული არა უგვიანეს 1577 წლისა.

გიორგი ჩუბინაშვილი გრემის ამუნების თარიღად მიიჩნევს 1565 წ. აქედან გამომდინარე ეკლესია უნდა მოხატულიყო 1565—1577 წლების მონაკვეთში.

დასასრულ, შუამთის გამოსახულების შესახებ.

ახალი შუამთის ღვთისმშობლის შობის ეკლესია ამუნებულა და მოხატულა თინათინ დედოფლის ინიციატივით, მისი მშითვის ხარჯზე. ამ ტაძრის კედლის მხატვრობამ შემოგვინახა ცნობილი კომპოზიცია, რომელზეც გაწოასხული არიან ქალი, მამაკაცი და ყმაწვილი, სამყენიერო ლიტერატურაში (ძირითადად ვკუ-

ლისმობთ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას) ისინი თინათინის, ლევანისა და გიორგის გამოსახულებად განიხილებიან.

თინათინ ვირსალაძის აზრით, ეს არის არა კტიტორული პორტრეტები, არამედ სცენა ღვთისმშობლის დაუჯდომლიდან (ანუ აკათისტოდან). და მართლაც, შუამთაში გამოსახულია აკათისტოს ციკლი.

მართლაც, ეს გამოსახულება არ ექვემდებარება ზემოთ განხილულ კტიტორთა განოსახულების ზოგად პრინციპებს.


სცენა მოთავსებულია სამხრეთ-დასავლეთ მკლავებშორისი სივრცის დასავლეთ კედელზე, რაც ურვეულო ადგილია კტიტორთა მოსათავსებლად. ფიგურები ისეთივე ზომისაა, როგორც ყველა სხვა რელიგიური სცენის ფიგურები.

ასე რომ აქ მათი, როგორც კტიტორების, გამოსახვა, საექვო ხდება. თუმცა ამგვარი კითხვაც იბადება: შესაძლოა ამ მოხატულობის შესრულების დროს ლევანი და თინათინი უკვე განქორწინებული არიან და ამიტომაც შეუძლებელი იქნებოდა მათი, როგორც ოჯახის წევრების, ერთად გამოსახვა. ისიც შესაძლოა, თინათინი უკვე მონაზვნად იყო აღკვეცილი შუამთის მონასტერში, რის გამოც მისი ხაერო პირად გამოსახვა უზერხული ან დაუსვებელი იყო ამა თუ იმ მიზეზების გამო მსატვარმა ვერ მოგვეცა ლევანისა და თინათინის, როგორც აღმშენებლების პორტრეტები, მაგრამ იქნებ მან თავისებურად მაინც გამოსაზა ისინი და ჩართო დაუჯდომლის ციკლში. ეს დასაშვები ხდება შუამთის მოხატულობის ნეკრესის მოხატულობასთან შედარებისას. უდავოდ გარკვეული მსგავსების პოვნა შეიძლება ამ ორ კომპოზიციის შორის კვდუფის განლაგებაში, ფიგურების პოზებში, პირთა განლაგების თანმიმდევრობაში და, რაც აგრეთვე საინტერესოა, ამ შემხთვევაში გარკვეული პორტრეტული მსგავსებაც გვაქვს. იბადება კითხვა: იქნებ შუამთის კომპოზიცია ნეკრესის განოსახულების თავისებურ მხატვრულ გამოძახილს წარმოადგენს. რაც შეეხება ადგილის შერჩევას, გრემში ლევანის პორტრეტის მოსათავსებლად მხატვარს ზუსტად იგივე ადგილი აურჩევია.

ამაზე უფრო გაბედული პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება შუამთის მოხატულობის ზუსტი თარიღის დადგენის შემდეგ.

ჩვენ შეეხებთ ლევანისა და თინათინის გამოსახულებებს კახეთის გვიანფეოდალურ ძეგლებში და შევეცადეთ მათი პორტრეტების, სამოსელის, გამოსახულ პირთა ოდენობისა და ისტორიული მონაცემების ნიადაგზე დაგვედგინა მოხატულობის შესრულების დრო და თანმიმდევრობა.

ამ ძეგლების იკონოგრაფიული და სტილისტიკური ანალიზი მომავალში სანუალებას მოგვეცენს საბოლოო დასკვნა გამოვიტანოთ აღნიშნულ საკითხებზე.



ბედიის ტაძარი. 1888 წლის ფოტო

ირმა ვარსიმაშვილი
არქიტექტორ-რესტავრატორი

ბ ე დ ი ა

(1968-1971 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ)

ბედიის გუმბათოვანი ტაძარი მდებარეობს სოფელ აგუბედიაში, რომელიც ქ. თნაშირიდან 25 კმ-ით არის დაცილებული ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

კონცხად გამოწვდილი თხემი, რომელზეც ბედიის ტაძარია აღმართული, სამი მხრიდან შემოზღუდულია კლდეებით. მეოთხე მხარეს — დასავლეთით, ეს მცირე გავაკლებული მოედანი ვიწროვდება და გორაკის ფერდობს უერთდება. სწორედ აქ, ამ ვიწროზე იყო აღმართული ორსართულიანი სასახლე და კარიბჭე-სამრეკლო.

ამგვარი გეგმარების მქონე ანსამბლით იქმნებოდა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტი. ანსამბლის მთავარ ხუ-



ბედიას ტაძარი. დას. აღმ. ფასადი 1908 წ. რესტავრაციაამდე

როთმოდღერულ ელემენტს გუმბათით დაგვირგვინებული ბედიის ტაძარი წარმოადგენდა.


აღრიდანვე ბედიის ტაძრის მშენებლად ისტორიული წყაროები ქართველთა მეფის ბაგრატ III (980-1014 წწ.) მოიხსენიებენ.

როგორ მდგომარეობაში მოადგინა ჩვენამდე ამ ნაგებობამ, რა სამუშაოები იქნა ჩატარებული უკანასკნელ წლებში ამ ძეგლის დასაცავად? ამ კითხვებზე შევეცდებით მოკლე ცნობები მივაწოდოთ მკითხველს.

ვასული საუკუნის დასასრულს ბედიის ტაძარი მართალია უკვე მცენარეულობით დაფარულ ნანგრევებს წარმოადგენდა, მაგრამ გუმბათის დიდი ნაწილი ადგილზე იყო, ჩანს, უკეთ იყო დაცული ფასადების საპირე წყობაც. (იხ. MAK, III ფოტო, 1888 წ. რომლის რეპროდუქციას აქვე ვათვსებთ). ამის შემდეგ, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, აქ ბურ-მონაზვნებმა, ტაძრის „განახლების“ მიზნით სრულიად მოშალეს დაზიანებული გუმბათი და მოხსნეს იოლად ჩამოსაცლელი ფასადების საპირე ქვები, რაც საქართველოში მაშინ ხშირი პოვლენა იყო (ბაგრატის ტაძარი, სამთავისი, სვეტიცხოველი, ალავერდი). ადამიანების მიერ განზრახ ნგრევას დაემატა ბუნების მოვლენების ზეგავლენით გამოწვეული ნგრევა. ჩამოიშალა გადახურვები, ატმოსფერულმა ნალექებმა გამოიწვია კედლების დეფორმაცია. უკვალოდ გაქრა კედლის მხატვრობის დიდი ნაწილი. ამგვარად შემორჩენილი მცირე ფრაგმენტები იმდენად დაზიანებულია,




ՅԵՐԱՅԵՄԻ
ՆՈՇՏՈՒԹՅԱՆ





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ზედიის ტაძარი, დას. ფასადი 1968 წ.
რესტავრაციის შედეგ. გუმბათის აღდგენის ცდა.

— ზედიის ტაძარი, სამხრეთის ფასადი
1948 წლის რესტავრაციის შედეგ



რომ ხელოვნებათმცოდნე-მკვლევართათვის მათი შესწავლისა და დათარგმნებისათვის არცთუ მყარ საბუთს წარმოადგენს. ასევე გაურკვეველია თვით ტაძრის მკვლევართან დაკორპორირებული მორთულობის ურთი ნაწილი თავის თავდაპირველ ადგილზე არ არის პოთავენებული და მეორედ გამოყენების კვალს ატარებს, იგი X-XI საუკუნეების შემოქმედების შედეგია.

თვით შენობის გემის გადაწყვეტა და მასზე აღმართული სივრცე, ხუროთმოძღვრული მიდგომის სხვა, პირველიდან განსხვავებულ, უფრო მოგვიანებით XIII-XIV საუკუნეებში შექმნილ ნაგებობაზე მიგვიითითებს.

თუ კედლის მხატვრობას დავუბრუნდებით და გავიხსენებთ, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი მას XI საუკუნის დასაწყისით ათარიღებს, მაშინ ნათელი გახდება, რა პრობლემის წინაშე იდგა და რითი ხელმძღვანელობდა მეთოდსაბჭო, როდესაც 1952 წელს ტაძრის სრული მოპირკეთების აღდგენის პროექტი უარყო (მოპირკეთებული იქნა ქვედა რამდენიმე რიგი). გადაწყდა ჩაშლილი კამარების აღდგენა და დროებითი კრამიტის სახურავის მოწყობა. ამავ დროს ჩატარდა ძველის შურფებით გამოკვლევა. კვლევის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. აღმოჩნდა უფრო დიდი ზომის სხვა ნაგებობიდან დარჩენილი საძირკველი, რომელზეც ნაწილობრივ აღმართულია დღევანდელი შენობა. (ლ. ხიმშიაშვილი „რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი, წრომი და ბედი“, „ძველის მეგობარი“ № 14 — 1968 წ.)

კრამიტის სახურავმა დიდხანს ვერ გაძლო. წყალმა კვლავ იწყო დენა და ტაძრის კედლების განადგურება. განმეორებით დადგა ძველის გადარჩენის საკითხი, იგი წლების განმავლობაში წყდებოდა და, ბოლოს, 1968 წელს, ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტით დაიწყო გათვალისწინებული აღდგენა-გამაგრების სამუშაოების განხორციელება.

პროექტის მთავარ მიზანდასახულობას გადახურვისა და საბურავის მოწყობა წარმოადგენდა. 1952 წელთან განსხვავებით, შენობაზე უფრო კაპიტალური გადახურვა და საბურავი უნდა მოგვეწყო. ამისათვის აუცილებელი იყო ნაგებობის ფორმების კონტურების აღდგენა, რაც საკმაოდ მარტივად და ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე გაკეთდა: ადგილზე შემორჩენილი იყო ფასადების კუთხეები, რომლებიც ძველის დაკარგული ფორმების მოსახაზად უტკუარ ორიენტირს წარმოადგენდა. საბურავის ქანობის აღდგენა ადვილად ხერხდებოდა შემორჩენილი მასალის საშუალებით. დასასრულს არავითარ ეჭვს არ იწვევდა კუთხის საპირის წყობის აღდგენაც. სახურავის საყრდენი ადგილების გამართვა თავის მხრივ ფასადების დამაგვირგვინებელი კარნიზების მდებარეობასაც განსაზღვრავდა. ამგვარად, კონსტრუქციული საკითხების გადაწყვეტით მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა. სახელდობრ, აღდგა ძველის ნგრევის შედეგად მოთვლილი ხუროთმოძღვრული მასები, თავდაპირველი კონტურები და ამ კონტურებით შემოთარგლულ ფორმათა თანაფარდობანი, რაც ძველის ხუროთმოძღვრის შემოქმედებაზე მოგვიტხრობს.

ტაძრის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია ქვიშაქვა. სარესტავრაციო სამუშაოებისათვის გადაწყდა მსგავსი მასალის გამოყენება. ქვიშაქვის ქანები მიკვლეული იქნა ტაძრის მახლობლად. მისი დამუშავება და ამოზიდვა დაკავშირებული იყო მთელ რიგ სიძნელეებთან, მაგრამ მაინც გადაწყდა მისი გამოყენება. გაიხსნა კარიერი.

გადახურვის კონსტრუქციული პროექტი ითვალისწინებდა რკინა-ბეტონის ჩონჩხის შექმნას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დაკარგულ კუთხეებზე გვეწარმოებინა საპირე წყობა და კარნიზებიც აღვედგინა.

სამუშაოს წარმოების პროცესში ხდებოდა პროექტის დაზუსტება. მოპირკეთების სამუშაოების შესრულების დროს ვერიდებოდით ისეთ ადგილებს, სადაც შეიძლებოდა ჯოფილიყო რაიმე დეკორატიული ელემენტი. მოპირკეთების ქვების ზომები და რიგების სიმაღლეები არსებული და კარგად შენარჩუნებული ადრინდელი მოპირკეთების ქულების მიხედვით ავიღეთ.

ხარაჩოების მოხსნის შემდეგ საჭირო გახდა, და ადრეც გვექონდა გათვალისწინებული, ზოგიერთი ადგილის კორექტირება, განსაკუთრებით იქ სადაც გამოშვებულია რკინა-ბეტონის კოჭები. ტაძრის ინტერიერშიც არის ჩატარებული გასამაგრებელი სამუშაოები. ბუმის კუთხეებში მოიხსნა ხინესტისა და წყიმის წყლისაგან გამოზერილი ქვის მოპირკეთება.

არსებულ ბზარებს გაუკეთდა ინექცია, ქვების ბუდეების სათანადო დამუშავების შემდეგ მოხსნილი ქვის მოპირკეთება აღდგენილი იქნა თავის ადგილზე.

ბუდიის ასსამბლისათვის მნიშვნელოვანი ელემენტია ტაძრის გუმბათი. მისი ერთი წახნავის აღსადგენად ყველა ნაწილია შემორჩენილი. შესაძლებელია გუმბათის დანარჩენი წახნავები ზოგადი ფორმით აღდგეს, რის შემდეგაც ძველი წარმოგვიდგებოდა დასრულებული სახით და უფრო საინტერესოს გახდიდა ვარემო ლანდშაფტსაც. ეს საკითხი აქ მსჯელობის საგნად დავსვით, რაც, იმედია, მომავალში ძველის სახარგებლოდ გადაწყდება.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ძველის ტერიტორიაზე მდებარეობდა სასახლე, მისგან ამჟამად დარჩენილია ქვედა სართული. აქვე მდებარეობს სამრეკლო-კარიბჭე, რომლიდანაც აგრეთვე ქვედა ნაწილია დარჩენილი. იგი კატასტროფულ მდგომარეობაშია, მისი აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები წელს არის გათვალისწინებული, რის შემდეგაც ტაძრის ტერიტორიაზე შესვლა შესაძლებელი იქნება ამ კარიბჭის გავლით.

რაც შეეხება სასახლეს, ჯერჯერობით გათვალისწინებულია დარჩენილი ნაწილის გაწმენდა და შესწავლა.

ის სურთომოდღერული ფრაგმენტები, რომლებიც გაბნეულია ძველის ირგვლივ ტერიტორიაზე და მათი თავდაპირველი ადგილმდებარეობა არ არის მიკვლეული, საჭიროა შეტანილი და დაწყობილი იქნას ტაძარში.

დაცვისა და რამდენიმე ენაზე მოკლე საანოტაციო დაფების ჩამოკიდების შემდეგ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს პროექტით ვათვალისწინებული სამუშაოები. საჭიროა თბილისი-სოხუმის სამავისტრალო გზიდან ბუდიისაკენ მიმავალი გზის გადასახვევთან დაიდგას მისათითებელი დაფა, სადაც აღნიშნული იქნება მანძილი, ძველის სახელი და აგების თარიღი.



ისპ თიანეთის სიონის მეცნიერული ღაცვის შესახებ

თიანეთის სიონის მეცნიერული ღაცვის საქმეს უკვე ორი ათეული წლის ისტორია აქვს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. ჩვენი საუბრის საგანი ამ საქმის ბოლო ეტაპს ეხება. სანამ არსებითად თემაზე გადავიდოდეთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ მოვიხსენიოთ აღნიშნული სამუშაოების განვლილი ეტაპები, რაც, უფიქრობთ, დაგვეხმარება მრავალი საკითხის გამუქებაში.

I ეტაპი. სუროთმომღვრული ძეგლის თიანეთის სიონის მეცნიერული ღაცვის სამუშაოები სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დაწყებას უკავშირდება. სოფელ სიონის მიდამოებში შენდებოდა დიდი წყალსაცავი, რომელიც ფარავდა თვით სოფელში ამართულ ბორცვს. ამ ბორცვის თხემზე, ურთიერთგადახლართულ ხეებსა და ბურქებიდან, გამოიყურებოდა ნახევრად დანგრეული, ხავსმოკიდებული, საშუალო ზომის სუროთმომღვრული ნაგებობა. 1951 წელს ძეგლი ადგილზე გამოიკვლია და შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის რაზმმა, რომლის ხელმძღვანელი იყო სუროთმომღვარი, დღეს პროფესორი ირ. ციციშვილი.

გამორკვა, რომ თიანეთის სიონი ადრექრისტიანულ ხანაშია აგებული და ქართული სუროთმომღვრების საკმაოდ მნიშვნელოვანი ძეგლია.

1951 წლის 20 დეკემბერს ირ. ციციშვილმა წაიკითხა მოხსენება თიანეთის სიონის ძეგლის გამოკვლევის შესახებ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში (იხ. მისი ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955 და Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахети, Тб., 1959, стр. 132).

II ეტაპი. სიონის წყალსაცავის მშენებლობა მტკიცე ნაბიჯით უახლოვდებოდა ძველს და მას წყლით დაფარვა ემუქრებოდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე დაისვა საკითხი შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გადაწყდა ძეგლის ღაცვის მიზნით მისი დაშლა და გადატანა იქვე საგანგებოდ შერჩეულ ფერდობზე.

III ეტაპი. 1961 წელს ძეგლის დაშლამდე ჩატარდა არქეოლოგიური აზომვა, დეტალურა ფოტოფიქსაცია, კედლების წყობის კვადრების დანომრვა, დაშლა და მათი გადაზიდვა ორიოდ კილომეტრის მოცილებით ასაგებად შერჩეულ ადგილზე. ამ ახალ ადგილზე მიმდინარეობდა საძირკვლების თხრა, ხოლო ძეგლის თავდაპირველ ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა, რამაც ძეგლისა და მის ირგვლივ მიმდინარე ცხოვრების შესასწავლად მდიდარი მასალა შეგვძინა (იხ. რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები — სიონი, თბ., 1970 წ.).

IV ეტაპი. ქართული ყოფისა და სუროთმომღვრების ღია ცისქვეშ მუზეუმის მშენებლობასთან დაკავშირებით გადაწყდა თიანეთის სიონის ხსენებულ მუზეუმში გადმოტანა. მუზეუმისათვის ტერიტორია მაშინ მცხეთის დასავლეთით, ნასოფლარ კოდმანის მიდამოებში იყო ნაწარუდები, დაშლილი ძეგლიც სოფელ სიონიდან კოდმანში გადმოიტანეს. სხვადასხვა მიზეზების გამო კოდმანის ტერიტორიაზე მუზეუმის მშენებლობა აიკრძალა და სამაგიერო ტერიტორია მცხეთის ჯვრის მახლობლად აიჩიეს. ამჯერად თიანეთის სიონის კვადრები კიდევ იტვირთება მანქანებზე და გადააქვთ ახალ ადგილსამყოფელში. ამის შემდეგ ქართული ყოფის და სუროთმომღვრე-

ბის მუზეუმის მშენებლობისათვის ადგილი კვლავ შეიცვალა და თბილისის ვაკის რაიონის მიდამოებში იქნა გამოყოფილი. დაშლილი სიონის კვადრები ასლა აქ გადგინდეს ამგვარად 1961 წელს დაშლილი ნაგებობის კვადრები 1963 წლამდე ოთხჯერ იქნა ტრანსპორტირებული ერთი ადგილიდან მეორეზე. ტრანსპორტირების დროს ზიანდებოდა ქვები, დაიკარგა და წარიხოცა მათი ნომერაციის ნიშნების დიდი ნაწილი. ასეთ მდგომარეობაში მყოფი დაშლილი ძეგლის აღდგენა წარმოუდგენლად დიდ შრომას მოითხოვდა ხუროთმოძღვრისაგან და მშენებლისაგან. ეს სამუშაო შესრულდა, მუზეუმის პირველ ექსპონატად აიშარათა თიანეთის სიონის ხუროთმოძღვრული ძეგლი იმ სახით, როგორც იყო დაშლამდე.

ამ ხნის განმავლობაში დამთავრდა სამკოროს სარწყავი სისტემა, ბერმა წყალმა ჩაიარა სიონის დიდი წყალსაცავიდან და ჩადგა სახალხო მეურნეობის სამსახურში. სიონის ხუროთმოძღვრული ძეგლის დაცვის საკითხი კი ჯერაც არ არის დამთავრებული. 1969 წელს კრებულ „ძეგლის მეგობრის“ მე-18 ნომერში გამოვაქვეყნეთ ძეგლის რესტავრაციის პროექტი და განმარტებითი ბარათი შემოკლებით (გვ. 9—12). აქვეა გამოქვეყნებული საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელისნოს მთავარი მეცნიერ-კონსულტანტის, ვ. ცინცაძის შენიშვნები და დამატებანი რესტავრაციის პროექტის მიმართ (გვ. 13—17). თვით ძეგლზე კი, თუმცა მეცნიერებოთა აკადემიის სამეცნიერო მეთოდურმა საბჭომ პროექტი დაამტკიცა, სამუშაოები მაინც შეჩერდა.

V ე ტ ა პ ი (1969 წლიდან—დღემდე). თიანეთის სიონის ძეგლზე მეცნიერულ-დაცვითი სამუშაოების დამთავრების შეფერხების პერიოდი. მიმდინარე წელს სურვილი და მოწოდება დამთავრდეს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ადრინდელი მოწოდების შორეულ გამოძახილს მოკვანებს. კმაყოფილებით შევნიშნავთ, რომ მოწოდებას მაინც თავისებური გამომხატულება მოჰყვა, მხედველობაში გვაქვს კრებულ „ძეგლის მეგობრის“ 29-ე ნომერში მოთავსებული წერილი¹.

აღნიშნული წერილი კრიტიკულ ხასიათს ატარებს და შეეხება ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ თიანეთის სიონის აღდგენის პროექტს.

ამ უკანასკნელსა და კრიტიკულ წერილს შორის სამიოდე წელია გასული. ეს საკმაოდ დიდი დროა იმ საკითხების ყოველმხრივ შესასწავლად და დასკვნების გაზიარება-შესამოწმებლად, რომელსაც ეხება კრიტიკის ავტორი.

კრიტიკული შენიშვნა ძირითადად ორია.

პირველი ეხება ჩემს მიერ მოხმარებულ ტერმინს, მეორე კი თიანეთის სიონის გადახურვას.

დაიწყოთ პირველი საკითხიდან. იმიტათვის, რომ გარკვეული გახდეს რა კონტექსტშია ნახმარი სიტყვები „ნაწილობრივი“ აღდგენა (ე. ი. ძეგლის ნაწილის აღდგენა) და „მთლიანი“ აღდგენა (რომ მათ არაფერი აქვთ საერთო მეთოდის ამსახველ „ნაწილობრივი აღდგენის“ ან „მთლიანი აღდგენის“ ტერმინებთან), იძულებული ვართ მოვიყვანოთ ჩვენი ტექსტის სრული ამონაწერი, საიდანაც ამოღებულია ეს სიტყვები, მისი მეთოდის გამომსახველ ტერმინად წარმოდგენის მიზნით. „ძეგლის ნაწილობრივი აღდგენა მიზანშეწონილია, რადგან პროექტით განზრახული ნ ა წ ი ლ ი ს ა ლ ს ა დ გ ე ნ ა დ (ხაზი აქ და ქვევით ჩვენია, ლ. ხ.) ადგილზე შემორჩენილია ყველა ფაქტიური მასალა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტიური მასალის სიმყარის გამო მთლიანი აღდგენის პ რ ი ნ ც ი ბ ი ს (აქ უკვე მეთოდზეა ლაპარაკი, ლ. ხ.) მიღება შეუძლებელი ხდება. ძეგლის ჩრდილოეთის კედელი, კარნიზის ნაწილით,



თითქმის მთლიანადაა მოღწეული ჩვენამდე, იმ დროს როდესაც სამხრეთის წიგლის დიდი ნაწილი და თითქმის მთელი დასავლეთის კვლევითი დაკარგულია. ამან განაპირობა ის, რომ მხოლოდ ჩრდილოეთის ნაწილის ნახევრის აღდგენით დაკმაყოფილებულიყავით ნაწილობრივი აღდგენის დროს“ (გვ. 9). აქ გარკვევით ჩანს, რომ ძველის ნაწილზეა საუბარი ე. ი. მისი ნაწილის აღდგენაზე. ჩვენს მიერ ძველისათვის მიღებული „ნაწილობრივი აღდგენის“ მეთოდის გამოყენებით.

ძეგლის ამა თუ იმ ნაწილის აღდგენა, იმ ნაწილისა, რომლის საშუალებასაც იძლევა მისგან დარჩენილი სხვა ნაწილები სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ დროს ძეგლზე „სრული აღდგენის“ მეთოდია გამოყენებული. ეს მეთოდოლოგიური საკითხებია, რომლებიც ჯერჯერობით, როგორც ჩანს, მტკიცედ არ არის ჩამოყალიბებული და დანერგული, ამისათვის, მათი გამოყენების დროს ჯერ კიდევ მცტი გულისყურია საჭირო.

გადავიდეთ მეორე შენიშვნაზე.

პროექტზე ჩვენ ნაჩვენები გვაქვს „ორკალთიანი სახურავი, რომლის წინააღმდეგიცაა წერილის ავტორი. ამავე დროს უდავოა და მოწონების ზეტს არაფერს იმსახურებს განცხადება, რომ „სასურველია განხორციელდეს ის რასაც თვით ძეგლი უნდა გვაწვდიდეს“-ო (გვ. 70) და აქვე აცხადებს, „ოთხკალთიანი“ ვარიანტს აშკარა უპირატესობა აქვს. რადგან მას „მეცნიერული ანალოგიები“ გააჩნიათ.

ეს შენიშვნა, ვფიქრობთ, დავიწყით წერილის ავტორის მიერ გამოთქმული აზრის დაზუსტებით. ტექსტში ნათქვამია რომ „სასურველია განხორციელდეს ნატურაში ის, რასაც თვითონ ძეგლი უნდა გვაწვდიდეს“-ო (გვ. 70). ეს ხომ ძეგლთა დაცვის უკვე საყოველთაოდ მიღებული პრინციპიდან გამომდინარეობს და მისი გამართული აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ნატურაში მხოლოდ ის უნდა განხორციელდეს, რასაც თვით ძეგლი გვაწვდის. ჩვენ სწორედ ამ ფორმულით ვსარგებლობდით, როდესაც თიანეთის სიონის გადახურვას ვადგენდით. ადგილზე დარჩენილი მასალა სწორედ დაენებით „ორკალთიანობაზე“ მიგვიითივებდა.

„ოთხკალთიანი“ სახურავის ვარიანტის შესაძლებლობას იხილავს ვ. ცინცაძე, ჩვენი წერილის მომდევნო წერილში (იქვე გვ. 13—17) და გამოიხატავს მას, რადგან ძეგლზე შემორჩენილი და მის მიერვე ფიქსირებული კვალი ამის საშუალებას არ იძლევა. (იხ. ნახ. 14, 16, 17). აღნიშნული ავტორი ამავე წერილში არ კმაყოფილდება ორკალთიანი სახურავის აღსადგენად შემორჩენილი ფაქტების მოყვანით, ის უფრო შორს მიდის და მეცნიერულ საფუძველს პოულობს ინტერვიერის სივრცის შექმნის მოთხოვნისგან განსხვავებული ორკალთიანი სახურავისათვის იმ ადრეული პერიოდის ფეოდალური საქართველოს ზელოვნების განვითარების პროცესის გარკვევისათვის.

ავტორი აღნიშნავს, რომ „თიანეთის სიონის ჩრდილოეთის ნაწილს გადახურავი ცილინდრული თაღის ზენიტი თითქმის საკურთხევლის ტრიუმფალური თაღის ზენიტს უსწორდება. შუა ნაწილს და გვერდითა ნაწილებს გამოყოფი არმატურის ქუსლები ტრიუმფალური თაღის ქუსლების დონეზე მდებარეობს. ეს ხომ ერთი დარბაზოვანი სივრცის, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ დონეზე აღმართული სივრცის სამ ნაწილად დაყოფაა. სივრცის გადაწყვეტის ეს პრინციპი განსხვავდება სამწავიანი ბაზილიკებისათვის დამახასიათებელი გადაწყვეტისაგან. უკანასკნელში მთავარი ნაწილს სივრცე მკვეთრადაა გამოყოფილი გვერდითა ნაწილებიდან. ის მალაღია და ფართო, გვერდითა ნაწილები კი დაბალი და ვიწრო, შინაგანი სივრცის ეს გადაწყვეტა მკვეთრად-

და გამოვლინებული გარეთა მასების აგებისას, შესაფერისი ოთხკალთიანი სახურავები მოწყობით (იხ ნეკრესი, მატანი, ძველი შუამთა, ვაჩნაძინის ბაზილიკა და სხვა).

შინაგანი სივრცისა და გარეთა მასების აღნიშნული დამოკიდებულება ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებებია და არ შეეცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ სწორედ ამით არის შეპირობებული თიანეთის სიონში ორფერდა სახურავის ქვეშ სამი თითქმის ერთი სიმაღლის ნაგებობანი სივრცის მოთავსება. ჩვენ ზევით პირობით ვუწოდებთ თიანეთის სიონის შიდა სივრცეს დარბაზული სივრცე დაყოფილი სამი ნავით. მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი ამის უფლებას გვაძლევს...“ და ა. შ. (გვ. 14, 15).

ქვევით ავტორი კიდევ უფრო აძლიერებს ზემოთ გამოთქმულის დასაბუთებას. მაგრამ ჩვენ შეგვაძლია ამით დავკმაყოფილდეთ.

გადავიდეთ მეორე ავტორის — პროფ. ირ. ციციშვილის მიერ ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ, ძეგლის ადგილზე პირველი მეცნიერული კვლევის შედეგად გამოთქმულ დასკვნებზე.

1951 წელს დაწერილი გამოკვლევის მეოთხე გვერდზე (აღნიშნული გამოკვლევის ტექსტი დაცულია ძეგლთა დაცვის სამმართველოს არქივში) ვკითხულობთ: „სიონი წარმოადგენს ბაზილიკური ტიპის შენობას შინაშენებით სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან. რომლებიც არ არიან კონსტრუქტიულად გაერთიანებული შენობის ძირითად სივრცესთან. ეს უკანასკნელი სვეტების ორი წყვილით დანაწევრებულია სამ ნავად. სამივე ნავს, როგორც ჩანს, საერთო ორკალთიანი სახურავი აქონია“.

ამავე გამოკვლევის მე-8 გვერდზე ავტორი აღნიშნავს: „გარე მასებში მკაფიოდ ვერ ირკვევა შიგა სივრცის დანაწევრება, შენობის სამივე ნავი, როგორც აღინიშნა მარტივად გადახურულია ერთ საერთო სახურავით“. პროფ. ირ. ციციშვილი მოგვიანებით კიდევ ესება თიანეთის სიონს თავის წიგნში „ქართული არქიტექტურის ისტორია“, თბილისი, 1955. აქ ავი წერს: „ეკლესიის ნაგები დაკავშირებული ყოფილა ნალისებური თალებით და გადახურული საერთო ორკალთიანი სახურავით“ (გვ. 49).

ჩვენი წინასწარი დასკვნა „ძეგლის მეგობრის“ № 29-ში მოთავსებული წერილის 69-ე გვერდზე გამოთქმული ავტორის კრიტიკული დასკვნის ფნით რომ წარმოვადგინოთ მივიღებთ: ამრიგად, თიანეთის სიონის აღდგენის ორივე ვარიანტის განხილვამ დაგვანახა, რომ „ოთხკალთიანი“ სახურავით აღდგენილი ძეგლი მოგვევლინება როგორც სრულიად არა დამახასიათებელი, ხელოვნურად შექმნილი მოვლენა.

„ოთხკალთიანი“ ვარიანტის სასარგებლოდ კრიტიკის ავტორი „მეცნიერულ ანალოგიებს“ მიმართავს. შევეცადოთ გავერკვეთ ამ საქმის ვითარებაშიც.

თუ კრიტიკის ტექსტის 66-ე და 67-ე გვერდებზე მოთავსებულ ტაბულებს თვალს გადავაგვებთ, ერთი შეხედვით შევადგენბა, რომ დიდი შრომაა გაწეული და ამ მხრივ ის მოწონების მგტს ვერაფერს იმსახურებს. მაგრამ რას გვაძლევს ამ შრომის შედეგი, როდესაც არც ერთი ძეგლი, რომელიც ჭკვიითაა მოტანილი პარალელურად არ გამოდგება.

პირველ ტაბულაზე გამოხატულია ბოლნისის ძეგლის განაკვეთი, შემდეგ ორ ტაბულაზე უკვე ბაზილიკათა განსაკუთრებული ჯგუფებისა მოცემული. პირველ ტაბულაზე „მალაღაფსიდიანი“ და მომდევნოზე კი „დაბალაფსიდიანი“ ბაზილიკების განაკვეთებია მოთავსებული. ავტორი ცდილობს მკითხველის ყურადღება გაამახვილოს ზეო-



რე — დაბალაფსიდიანი ბაზილიკებით შევსებულ ტაბულაზე, და დასკვნის კერძოდ ჩვენთვის ცნობილია თიანეთის სიონის აბსიდის სიმაღლე და ამ ძეგლების ჯგუფისათვის დამახასიათებელი პროპორციები (ჩვეულებრივად, აბსიდის ვერტიკალური შუბლის სიმაღლე მთავარი ნაეის მთელი სიმაღლის ერთ მესამედს არ აღემატება), ჩვენ შევიძლია აღვადგინოთ ეს ძეგლი მაღალი ვერტიკალური შუბლით და შევადართო აღდგენის ორივე ვარიანტი (ნახ. 14 და 15)“ ფრჩხილებში, სხვათაშორის, ავტორი ათავსებს საკუთარი დაკვირვების შედეგებს აბსიდის ვერტიკალური შუბლისა და მთავარი ნაეის სიმაღლეთა შეფარდების შესახებ. ქვევით ავტორი უფრო აზუსტებს ამ რამოკიდებულებას და მას ციფრებით გამოსახავს. შემდეგ მიმართავს ამ ციფრებს და მათზე დაყრდნობით აღადგენს თიანეთის სიონის განაკვეთს. ეს მეთოდი მეცნიერულ იერს ატარებს. იგი მართლაც, გამართლებული იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება. გადავავლოთ თვალი მეორე ტაბულაზე მოთავსებულ ყველა ძეგლს და გავარკვეოთ თუ რას წარმოადგენს ამ ძეგლების ის მაღალი შუბლი და მათი ზომები, რომელთა მონაცემებზე დაყრდნობით გამოყვანილია შეფარდებათა რიცხობრივი მაჩვენებლები, რომლითაც აღტურვილია თიანეთის სიონზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩატარების დროს ჩვენი კრიტიკის ავტორი. ყველა ამ ძეგლზე აფსიდის ჩუბლი ან გვიან შუასაუკუნეებში: მეორედ ამოყვანილი ან ატარებს გადაკეთების კვალს. აღნიშნულის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ გ. ჩუბინაშვილის სიტყვები: «Возвышающийся же в Анчисхатской базилике в Тбилиси или Урбинесской базилике над конхой алтаря высокий лоб по всем данным является результатом позднейших переделок после разрушения этих зданий и, следовательно, едва ли может быть здесь учтен». (Архитектура Кахетии, стр. 63).

მსგავს აზრს გამოთქვამს იქვე ხაშვის ბაზილიკის შუბლის შესახებაც. რაც შეეხებ: ახმეტის ღვთაებას, შუბლის სიმაღლე, თუ ასეთი თავიდანვე იყო, ადვილზე დარწმუნული არ არის და ნახაზზე მხოლოდ დასავლეთის კედელზე შერჩენილი საეკვო კვალის მიხედვით არის აღდგენილი. (Архитектура Кахетии, ტექსტის ტ—75 გვ. და ტაბულა 23, 27). ტაბულაზე მოთავსებულია კუმის ბაზილიკის (საინგილო) განაკვეთი, ავტორის შემოქმედების შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ავტორმა ხომ ნახაზზე გადახურვა და შუბლის სიმაღლე პუნქტირით აღნიშნა. უკანასკნელის, ისევე როგორც ზევით ჩამოთვლილი სხვა ძეგლების, ურთიერთობას თიანეთის სიონთან, კრიტიკაში დასმული საკითხის გადაწყვეტის დროს ჩვენ აკად. გ. ჩუბინაშვილის პოზიციებიდან გამოვდივართ და მისივე სიტყვებით ვუპასუხებთ, რომ

«Тем более и другие сходные примеры уже более позднего времени (например Эрцойский Сион) нельзя считать параллелями подкрепляющими решение, стоящего перед исследователем вопроса»... (стр. 63).

აქედან ვფიქრობთ, კარგად ჩანს, რომ ტაბულაზე მოტანილი არც ერთი პარალელი სიონის თავდაპირველი გადახურვის დადგენისათვის არ გამოდგება. ასეთი „მეცნიერებით“ „ანალოგიების“ მომარჯვება, შეფარდებაში ციფრების გამოყვანა და მათი მიხედვით „აშკარა უპირატესობის მქონე „ოთხკალთიანი“ ვარიანტის წამოყენება სრულიად გაუმართლებელია.

კრიტიკის ავტორი, ერთი შეხედვით, თითქოს ნეიტრალური პოზიციებიდან მსჯელობს, მაგრამ აქაც გარკვევით შეიმჩნევა, რომ წლების განმავლობაში თიანეთის სიონზე დამუხრუჭებული მეცნიერული დაკვირვებითი სამუშაოების საბოლოოდ შეჩერებას მოუდებს: „უკეთესია დროზე შეჩერდეთ და დაკვამყოფილდეთ იმით, რაც უკვე გაკეთებუ-

ლია ძეგლზე“ - ო. (გვ. 70). ეს დასკვნა მის მიერ „მნიშვნელოვან შეცდომებად“ წოდებული შენიშვნებიდან გამომდინარეობს. ჩვენ ზევით ვაჩვენეთ, რომ აღნიშნული „მნიშვნელოვანი შეცდომები“ უსაფუძვლოა. თუ ეს ასეა, ამაში კი ეჭვის შეტანი ძნელია, მაშინ კრიტიკის დასკვნაც უსაფუძვლოა.

სხვათაშორის ვგებულობთ, რომ ამგვარი „მნიშვნელოვანი შეცდომების“ გვერდით ყოფილა „ნაკლებად მნიშვნელოვანი შეცდომებიც“. „ალარ ლის შეჩერება პროექტის სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან შეცდომებზე“, აცხადებს ავტორი ნმ-ე გვ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მათი გამოვლენა კარგ სამსახურს გაუწევდა თიანეთის სიონის მეცნიერული დაცვის საქმეს. ის ერთადერთი დასახელებული „ნაკლებად მნიშვნელოვანი შეცდომა“ „თუნდაც ჩრდილოეთის ნაგის დასავლეთის სარკმელზე, რომელიც ბაზილიკებს, ჩვეულებრივად არა აქვს ხოლმე“ ისევ შეცდომად არ შეგვიძლია მივიღოთ, ვინაიდან ასეთი სარკმელი ბაზილიკებში გვხვდება. აქაც ჩვენ გ. ჩუბინაშვილის აზრს ვიზიარებთ. «Боковые нефы имели, могли иметь окна с Востока и Запада...» (Болнисш, стр. 17, 18).

თუ ასეთი იქნებოდა და, ვფიქრობთ, რომ ასეთი უნდა ყოფილიყო სხვა „ნაკლებად მნიშვნელოვანი შეცდომები“, რომლებზე შეჩერებაც უღირსად არის ჩათვლილი, მაშინ ჩემს მიერ წარმოდგენილი პროექტი შესაფერისად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც დღეს ძეგლთა მეცნიერული დაცვის საქმეში არსებობს. მაგრამ საქმე სულ ასე არ არის. შეცდომები პროექტს აქვს და იგი არც თუ ისე „მცირე შესწორებებს“ მოითხოვს. აქ მხედველობაში მაქვს შენიშვნები, რომლებიც გამოთქმულია ვ. ცინცაძის ზევით დასახელებულ წერილში პროექტთან დაკავშირებით. ასეთებია აღმოსავლეთის ფასადზე პილონების აღდგენის აუცილებლობა, მინაშენების მიწის პირამდე ამოყვანა (გვ. 17) და მოჩუქურთმებული ფრაგმენტების თავის ადგილზე მოთავსება.

დღეს უკვე ჩვენთვის ცნობილია მსგავსი მეთოდების მომარჯვების მრავალი უცხოური მაგალითი. მაგ. უნგრეთში, ჯ. ბუდაპეშტთან ვიშეგრადია კოშკი და სასახლე.

(Dezso Deresenyi, Historical Monuments in Hungary Restoration and Preservation, ტამ. 22, 24, 25), ჯალაქის განთქმული ზღუდის კედლები კონსტანტინეპოლში (Wolter Hotz, Handbuch der Kunstdenkmäler Byzanz Konstantinopel Istanbul, ტ. 102, 104) და სხვა.

ჯერა ისინი ამაგრებენ ჩვენს პოზიციებს და მოგვიწოდებენ დაწყებული შესაფერისად დავაშთავროთ.

ჩვენ ისევ ვიმეორებთ, რომ კონსერვაციის მიზნით ძეგლი აუცილებლად უნდა მოეცეს სახურავის ქვეშ. ვინაიდან ოთხი შემორჩენილი სვეტი და ჩუქურთმით დაფარული სვეტისთავები გამოკვეთილია ქვიშა-ქვაში, რომელიც ადვილად იშლება წვიმის შედეგად.

დასასრულს მინდა აღნიშნო, რომ თიანეთის სიონის აღდგენითი სამუშაოები საჭიროა დროზე დამთავრდეს. ძეგლი მეტად საინტერესო და მიმზიდველი მეცნიერული დაცვის ისტორიის მქონეა. ის უკვე მუზეუმის ობიექტია და მუზეუმის ტერიტორიაზე სხვა გადმოტანილ და აგებულ შენობებთან ერთად საუკეთესო საჩვენებელი ექსპონატი.

¹ რ. გვერდლითელი. რამდენიმე შენიშვნა თიანეთის სიონის აღდგენა-გამაგრების პროექტის შესახებ.

არქეომაგნიტოლოგია ქართული
მატერიალური კულტურის ძეგლებზე მცნიერული
კვლევის სამსახურში

(მცხეთის სვეტიცხოვლის კერამიკული
ფრაგმენტების გამოკვლევის ზოგიერთი შედეგები)

დედამიწის მაგნიტური ველის არსებობა, რკინისა და ზოგიერთი სხვა შენად-
ნობების მაგნიტური თვისებები ცნობილი იყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე
ბერძენი, ჩინელი და სხვა მეცნიერებისათვის, მაგრამ მაგნეტიზმის ნამდვილი ბუნება
გარკვეულ იქნა მხოლოდ XX საუკუნეში კვანტური მექანიკის ჩამოყალიბების შემ-
დეგ.

ადამიანთა მრავალსაუკუნოვანმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ სხეულები და
მოვლენები არსებობენ არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არამედ ერთმანეთთან
უშუალო კავშირში. მეცნიერებათა მიზანი არის ამ კავშირის შესწავლა და მისი
პრაქტიკული გამოყენება.

ბუნების მოვლენათა ფართო წრე კი აიხსნება მაგნიტური ვრთიერთმოქმედე-
ბით. მაგნიტური ძალები არის მიკროსამყაროს უამრავი მოვლენის მიზეზი. ატომე-
ბის, მოლეკულების, ატომბირთვებისა და ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთ-
ქმედება მაგნიტურ ხასიათს ატარებს. მაგნიტური ბუნება დამახასიათებელია უზარ-
მაზარი ციური სხეულებისთვისაც; მაგალითად, მზე და დედამიწა უზარმაზარი
მაგნიტებია.

მაგნიტური მოვლენების ზოგადობამ, მათმა დიდმა პრაქტიკულმა მნიშვნელო-
ბამ მიგვიყვანა იქამდე, რომ მაგნეტიზმი დღევანდელი ფიზიკის ერთ-ერთი ძირითა-
დი განყოფილებაა.

თუ დავუკვირდებით ზოგიერთი ფრინველის ყოფაქცევას, გაგვაკვირვებს შემდეგი
ფაქტი. ისინი ათასეული კილომეტრებით დაშორებული თბილი ქვეყნებიდან გზა-
ფხულზე ჩვენთან მოფრინავენ, ხოლო შემოდგომით უკან ბრუნდებიან. ბუნების ყვე-
ლაზე გონიერი არსება — ადამიანი გარემოში გაგნებისათვის იყენებს მაგნიტურ
იხარს, რომლის მიმართულება დაახლოებით ემთხვევა გეოგრაფიული ჩრდილოეთ-
სამხრეთის მიმართულებას. საინტერესოა, როგორ პოულობენ ფრინველები გზას? იქ-
ნებ მათაც გააჩნიათ ბუნებრივი მაგნიტური ხელსაწყო? ჩაატარეს ასეთი ცდა:
საფოსტო მტრედებს, რომლებიც ზუსტად მიდიოდნენ დანიშნულ ადგილზე, ფრთის
ქვეშ მაგნიტის პატარა ნაჭერი მოუთავსეს და გაუშვეს. მტრედებმა უაზროდ
იწყეს ფრენა ჰაერში. მხოლოდ ერთმა მათგანმა შეძლო დანიშნულ ადგილზე მიგ-
ლა და ისიც დიდი დაგვიანებით. აქედან გააკეთეს დასკვნა: მტრედები შეიგრძნი-
ბენ დედამიწის მაგნიტურ ველს და მოძრაობენ მისი დახმარებით.

თუ მაგნიტურ იხარს სიმძიმის ცენტრით წვრილ ძაფზე დავკიდებთ, იგი გარ-
კვეული კუთხით დახრილი გაჩერდება და რამდენჯერაც არ უნდა გამოვიყვანოთ ამ



მდგომარეობიდან, გარკვეული დროის შემდეგ ისევ უკან დაბრუნდება. ამგვარად, მდგომარეობაში რომ მაგნიტური ისარზე მაგნიტური ძალები მოქმედებენ.

თუ მაგნიტური ისარს მხოლოდ პორიზონტალურ სიბრტყეში უკუძლია ბრუნვა, იგი განიერდება გეოგრაფიული მერიდიანის მიმართ რაღაც კუთხით, რომელსაც მაგნიტური მიხრილობა ეწოდება და აღინიშნება D ასოთი. იგი სხვადასხვა სიდიდისაა დედამიწის სხვადასხვა წერტილში. თბილისში, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დუშეთის მაგნიტურ ობსერვატორიაში, ამჟამად $D = 5^\circ$ და იგი აღმოსავლეთისაა. ე. ი. მაგნიტის ისარის ჩრდილოეთი პოლუსი გეოგრაფიული მერიდიანიდან აღმოსავლეთისკენაა გადახრილი. როცა მაგნიტური ისარის ჩრდილოეთი პოლუსი გეოგრაფიული მერიდიანიდან დასავლეთისკენაა გადახრილი, მიხრილობა დასავლეთისაა.

ახლა წარმოვიდგინოთ მაგნიტური ისარი, რომელსაც მხოლოდ ვერტიკალურ სიბრტყეში შეუძლია ბრუნვა პორიზონტალური ღერძის გარშემო. დავუშვათ, რომ ღერძი გატარებულია ზუსტად მაგნიტის სიმძიმის ცენტრში. ვარდა ამისა, ის ვერტიკალური სიბრტყე, რომელშიც მაგნიტი მოძრაობს, ემთხვევა მაგნიტურ მერიდიანს. ასეთ პირობებში მაგნიტური ისარი, საერთოდ რომ ვთქვთ, არ განიერდება პორიზონტალურად, არამედ იხრება ერთი თავისი პოლუსით დაბლა და პორიზონტალურ მიმართულებასთან შექმნის კუთხეს, რომელსაც მაგნიტური დახრილობა ეწოდება. დუშეთში $i = 58^\circ$, მაგნიტურ ეკვატორზე $i = 0$, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ მაგნიტური ისარი დგება პორიზონტალურად. დედამიწის მაგნიტურ პოლუსებზე კი $i = 90^\circ$, მათი მდებარეობა არ ემთხვევა გეოგრაფიული პოლუსების მდებარეობას. მაგნიტური პოლუსების კოორდინატებია: ჩრდილოეთი პოლუსისათვის: 1922 წლის განსაზღვრით ჩრდილოეთის სიგანედი $70^\circ 50'$ და დასავლეთი სიგრძედი $96^\circ 01'$.


მაგნიტური სამხრეთის პოლუსისათვის 1912 წლის განსაზღვრით მიღებულია სამხრეთი სიგანედი $71^\circ 10'$ და აღმოსავლეთის სიგრძედი $150^\circ 45'$.

ამგვარად, დედამიწის მაგნიტური ველი შეიძლება დავასახიათოთ D მიხრილობით i დახრილობით და დადებით ერთეულ მაგნიტურ მასაზე მოქმედი ძალით, რომელსაც მაგნიტური ველის დაძაბულობა ეწოდება. იგი აღინიშნება F ასოთი.

დედამიწის მაგნიტური ველის ელემენტების უშუალო გაზომვები დაწყებულა 400-ზე მეტი წლის წინათ, დაახლოებით 1540 წელს. გაზომვებმა გვიჩვენა, რომ დედამიწის მაგნიტური ველი ნებისმიერ წერტილში ნელა იცვლება.

დაგროვილი მასალის დამუშავებამ როგორც საბჭოთა ისე უცხოელ მეცნიერებს საშუალება მისცა დაედგინათ მაგნიტური მოვლენების კავშირი დედამიწის ზრთვეთა მიმდინარე პროცესებთან და სხვა გეოფიზიკურ (მაგალითად, სეისმურ, ტექტონიკურ) მოვლენებთან. შემოთქმული ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილების კანონების შესწავლას დედამიწის აგებულებისა და თვით მაგნიტური ველის წარმოშობის პრობლემის გადაწყვეტისათვის².

მაგრამ გეომაგნიტური ველის ცვლილებაზე უშუალო დაკვირვებით მიღებული მონაცემები ძალიან მცირეა და, რაც მთავარია, მოიცავენ მხოლოდ მცირე დროს დედამიწის მაგნიტური ველის საუკუნეობრივი ცვლის სრულ ციკლთან შედარებით, ამიტომ უკანასკნელ წლებში გეოფიზიკაში ფართოდ გამოიყენება დედამიწის მაგნიტური ველის შესწავლის არაპირდაპირი მეთოდები, რის საფუძველზეც წარ-



ნახ. 1 ა


შიიშვა მეცნიერების ახალი დარგი არქეომაგნიტოლოგია. მისი მიზანია აღადგინოს დედამიწის მაგნიტური ველის ელემენტების მნიშვნელობანი ისტორიული და წინასტორიული ეპოქებისათვის, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ყველაზე მეტად გავრცელებული არქეოლოგიური მასალის — გამოწვეარი თიხისაგან დამზადებულ ნაკეთობათა აბსოლუტური ასაკი.

დათარილების არქეომაგნიტური მეთოდი დაფუძნებულია იმ ფაქტზე რომ გამოწვეარი თიხისაგან დამზადებულ სხეულებში დარჩენილია დედამიწის იმ მაგნიტური ველის ანაბეჭდები, რომელიც მას კჰონდა სხეულის გამოწვევის დროსა და ადგილზე. ფრანგი პროფესორის ე. ტელიეს მიერ შემუშავებული თანდათანობითი გახურების მეთოდი საშუალებას გვაძლევს ნიმუში გაეწმინდოს გამოწვევის შემდეგ სხვადასხვა გზით შექმნილი პარაზიტული ნარჩენი დამაგნიტებისაგან, გამოვსოთ მასში პირველადი დამაგნიტება და მის საფუძველზე აღვადგინოთ გამოწვევის მკაბამისი ადგილისა და დროის გეომაგნიტური ველის ელემენტების მნიშვნელობანი. ამ მიზნით აუცილებელია ვიცოდეთ სხეულის ზუსტი მდებარეობა გამოწვევის დროს⁴

ამგვარად, თუ ჩვენს განკარგულებაში იქნება გამოწვეარი თიხისაგან დამზადებული სხვადასხვა ასაკის ისეთი არქეოლოგიური ობიექტები, რომლებიც უკანასკნელი გამოწვევის შემდეგ არ დაძრულა ადგილიდან, ლაბორატორიაში მათი სათანადო დამუშავების შემდეგ შეგვიძლია აღვადგინოთ დედამიწის მაგნიტური ველის ელემენტების შესაბამისი მნიშვნელობანი. და ავავოთ ამ ელემენტების — მიხრილობის, დახრილობის და დაძაბულობის აბსოლუტური მნიშვნელობის — დროის მიხედვით ცვლილების გრაფიკები. სამწუხაროდ ასეთი ობიექტებზე რაოდენობა მცირეა.

თუ ვიცით გამოწვევის დროს ნიმუშის მხოლოდ ვერტიკალური მდებარეობა, (ასეთ ობიექტებს მიეკუთვნება აგური, კრამიტი და სხვა), მათი დამუშავებით შეიძლება აიგოს დედამიწის მაგნიტური ველის დახრილობისა და დაძაბულობის აბსოლუტური მნიშვნელობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკები. შევნიშნავთ, რომ ასეთი გრაფიკების აგება საჭიროა ცალკეული ტერიტორიისათვის, რომლის რადიუსი რელიეფის სირთულის გათვალისწინებით 100--500 კმ-ს შორის იცვლება.

ნახ. 1-ზე მოცემულია პროფესორების მ. ხოდინს, ა. აფაქიძის და ფიზიკმათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ზ. ჭელიძის მიერ საქართველოს ტერიტო-



ნახ. 1 ბ

ჩიისათვის დედამიწის მაგნიტური ველის დახრილობისა და დაძაბულობის დროის მახედვით ცვლილების გრაფიკები. ისინი მოიცავენ უკანასკნელ 2300 წელს. ამ გრაფიკების საშუალებით შეგვიძლია გადავწყვიტოთ შესაფერისი არქეოლოგიური ობიექტების დათარიღების ამოცანა⁵⁻⁸. ამისათვის საკმარისია ვიცოდეთ გამოსაკვლევი არქეოლოგიური ობიექტის ორიენტაცია ვერტიკალის მიმართ მაინც, განვსაზღვროთ მასში ნარჩენი დამაგნიტების დახრილობა i და „ძველი“ და თანამედროვე ველების დაძაბულობათა შეფარდება $K = \frac{F}{F_0}$ და შევადართ ისინი ნახ. 1-ზე მოცემულ მნიშვნელობებს⁹.

დათარიღების არქეომაგნიტური მეთოდის საიმედოობისა და სიზუსტის შეფასებისათვის აუცილებელია გამოვავლინოთ ყველა შესაძლებელი ცთომილება, იგი შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად: ნიმუშის ორიენტირებისა და ალების დროს დაშვებული ცდომილება, გაზომვის ინსტრუმენტალური ცდომილება, ცდომილება რომელიც დაკავშირებულია მოცემული რაიონისათვის გეომაგნიტური ველის დაძაბულობის ვექტორის ცვლილების სიჩქარესთან, იმ ნიმუშების დათარიღებაში დაშვებული ცდომილება, რომელთა გამოკვლევის საფუძველზეც აგებულია ნახ. 1-ზე მოცემული გეომაგნიტური ველის ელემენტების დროზე დამოკიდებულების საყრდენი გრაფიკები.

1. დიდი მნიშვნელობა აქვს ნიმუშების ალებას, რადგანაც ყველაზე დიდ ცდომილებას გვაძლევს თვითონ გამოსაკვლევი ობიექტი. ამ ცდომილების მიზეზებია:

- ა) ობიექტის არაზუსტად ვერტიკალური მდებარეობა გამოწვევის დროს,
- ბ) ღუმელის არათანაბარი გახურება, გ) ახლომდებარე რკინის საგნების გავლენა, დ) ნიმუშის დახერხების დროს დაშვებული ცდომილება.


ამ ტიპის ცდომილებანი შეიძლება გამოიმკვანდეც მხოლოდ სტატისტიკის გამოყენებით. არქეომაგნიტოლოგიაში სტატისტიკური მეთოდი შეზღუდულია ობიექტების მცირე რაოდენობით, ამიტომ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ექსპერიმენ-



ტატორის განკარგულებაში მყოფი ყველა ობიექტი და თითოეული მათგანის მართვისათვის საჭირო არანაკლებ ხუთი ნიმუშისა.

ინსტრუმენტალური ცდომილება სხვა სახის ცდომილებებთან შედარებით შეიძლება იყოს უმცირესი პირობებში დღეისათვის იგი შეადგენს $\pm 1-1'5''$ დახრილობისათვის.

2. ინგლისელი მკვლევარის მიერ ნაჩვენები იქნა, რომ გეომაგნიტური ველის მიმართულების ცვლილების სიჩქარე დიდი ბრიტანეთისათვის შეადგენს 2 კრადუსს 12 წელიწადში. დახრილობის ცვლილების ასეთი სიჩქარის და 1° ინსტრუმენტალური ცდომილების დროს შეიძლება არქეოლოგიური ობიექტის დათარიღება ± 25 წლის ცდომილებით.



ნახ. 2


დედამიწის მაგნიტური ველის დეტალურმა გამოკვლევამ უკანასკნელი 2000 წლის მანძილზე, რომელიც ჩატარებული იქნა საქართველოს ტერიტორიისათვის, გვიჩვენა, რომ ველის დახრილობის ცვლილების სიჩქარე იცვლება საუკუნეების მიხედვით, რის გამოც დათარიღების ცდომილება თითოეული კონკრეტული ეპოქისათვის სხვადასხვაა. იგი იცვლება ± 25 წლიდან ± 100 წლამდე. არქეომაგნიტური მეთოდით დათარიღების შესაძლებლობა კარგად ჩანს ნახ. 2-ზე, სადაც აბსცისთა ღერძზე გადაწომილია დრო საუკუნეებში, ხოლო ორდინატთა ღერძზე დათარიღების ცდომილება, როცა ინსტრუმენტალური ცდომილება არის 1° . როგორც გრაფიკიდან ჩანს, დათარიღების ცდომილება ძირითადად არ გამოდის $\pm 25-50$ წლის ფარგლებიდან.

ამგვარად, გამოწვევარი თიხისაგან დამზადებულ სხეულებში არსებული ნარჩენი დამაგნიტების ე. ტელიუს მეთოდით გამოკვლევა და დედამიწის მაგნიტური ველის დახრილობისა და დაძაბულობის დროის მიხედვით ცვლილების $i=f(t)$ და $F=\pm(t)$ საყრდენი მრუდების გამოყენება ყველა ცდომილების გათვალისწინებით დღეისათვის საშუალებას გვაძლევს უკანასკნელი 2300 წლის ფარგლებში დავათარიღოთ არქეოლოგიური ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი ± 50 წლის ცდომილებით. ამავე დროს დახრილობის $i=f(t)$ მრუდის პერიოდულობისა და დაძაბულობის $F=\varphi(t)$ მრუდის სირთულის გამო გამოსაკვლევი არქეოლოგიური ობიექტისათვის ვღებულობთ რამდენიმე ერთნაირად სანდო თარიღს.

ჩვენს მიერ დამუშავებულ იქნა ახალი მეთოდი, რის საფუძველზეც უკანასკნელი

1500 წლის ფარგლებში შეიძლება სათანადო არქეოლოგიური ობიექტის დათარიღება. ეს მეთოდი შემდეგში მდგომარეობს:

1. უკანასკნელი 1500 წლიანთვის განვსაზღვროთ დაძაბულობის მრუდის დამატებითი რხევის საშუალო ამპლიტუდა ΔF .
2. გავატაროთ საქართველოს ტერიტორიისათვის აგებული დახრილობის გრაფიკის სიმეტრიის ღერძი.
3. განვსაზღვროთ დასათარიღებელი ობიექტის შესაბამისი ველის დახრილობისა და დაძაბულობის მნიშვნელობანი.
4. გამოვყოთ დაძაბულობის მიღებული მნიშვნელობიდან ძირითადი რხევის შესაბამისი ნაწილი, რასთვისაც საკმარისია მას დავემატოთ ან გამოვაკლოთ ΔF ;



ნახ. 3

ე. ი. თუ დახრილობა მოხვდა სიმეტრიის ღერძის ზევით, მაშინ ჭეშმარიტი მნიშვნელობა იქნება $F' = F - \Delta F$, ხოლო თუ დახრილობა მოხვდა სიმეტრიის ღერძის ქვემოთ, მაშინ $F'' = F + \Delta F$.

ამგვარად განსაზღვრული F' და F'' აღმოჩნდება $F = f(t)$ -ს ძირითადი პარამონიკის სიახლოვეს, რის საფუძველზეც შევძლებთ რამდენიმე ტოლძალოვანი თარიღიდან ერთადერთის ამორჩევას.

დაძაბულობის ანალოგიური დამუშავება შეაძლებელია უფრო ადრეული ეპოქისათვისაც, მაგრამ მას შეუძლია სასურველი შედეგი მოგვცეს მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის მესამე და მეორე ათასწლეულებისათვის, რადგანაც ამ ეპოქისათვის, მსგავსად უკანასკნელი 1500 წლისა, დაძაბულობის საშუალო მნიშვნელობა დროის მიხედვით შედარებით სწრაფად იცვლება ე. ი. მისი გრაფიკი მნიშვნელოვნად არის დახრილი დროთა ღერძის მიმართ, რაც შეეხება ეპოქას, შემოსაზღვრულს ძვ. წ. VI საუკუნითა და ახ. წ. V საუკუნით, მისთვის დაძაბულობის გრაფიკი პრაქტიკულად დროთა ღერძის პარალელურია და მას დამატებითი ცნობის მოცემა გამოსაკვლევი ობიექტების თარიღის შესახებ არ შეუძლია. ამ ეპოქისათვის უნდა დავყვარდნით მხოლოდ დახრილობის გრაფიკს, რაც მოგვცემს ერთნაირად სანდო ორ ან სამ თარიღს.

სანიმუშოდ მოვიყვანოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვახტანგ ცინცაძის მიერ გადმოცემული ათი კერამიკული ფრაგმენტის არქეომაგნიტური მეთოდით დათარიღების შედეგები. აღნიშნული ფრაგმენტები აღებულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, იატაკის გახსნის შედეგად, მის მიერ მიკვლეულ ორ იატაკის ფე-



ნახე შემორჩენილი კვრამიკული ფილებიდან. ამ ფრაგმენტების სათავედ მათგან ვები ჩავატარეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკის კათედრის მაგნიტურ ლაბორატორიაში, რომელიც იმყოფება ქ. დუშეთში ფუნდამენტალური მაგნიტური ობსერვატორიის გვერდით. ეს კი უზრუნველყოფს გაზომვების მაღალ სიზუსტეს.

ქ. ტელიეს ორმაგი თანდათანობითი გაზურების მეთოდით თითოეული ფრაგმენტიდან გამოვიკვლიეთ 2—4 კუბის ფორმის მქონე ნიმუში. რადგანაც სხვადასხვა ნიმუშის დამუშავებით მიღებული შედეგები ერთმანეთისაგან პრინციპულად არ განსხვავდებიან, ამიტომ ნახ. 3-ზე გრაფიკების სახით წარმოდგენილი გვაქვს ერთ-ერთი მათგანი აქ 9rt და 9rt შესაბამისად არის „ძველი“ და ლაბორატორიული თერმონარჩენი. დამაგნიტება i და P „ძველი“ გეომაგნიტური ველის დახრილობა და დაძაბულობა, F₀ თანამედროვე ველის დაძაბულობა, T — ცელსიუსის ტემპერატურა.

გამოკვლევის საბოლოო შედეგები მოცემულია ცხრილში.

ობიექტების დასახელება	ძველი გეომაგნიტური ველის დახრილობისა და დაძაბულობის საშუალო		თარიღი
	მიმწველობ. t° ხაზ.	F საშ. ვრ.	
მცხეთის სეცტაციონალი			
I ფრაგმენტი	66	0,542	IV-ს I ნახევარი
II ფრაგმენტი	60	0,566	IV-ს დასაწყისი
III ფრაგმენტი	58	0,678	III-IV სს მიჯნა
IV ფრაგმენტი	59	0,407	III-IV სს მიჯნა
V ფრაგმენტი	60	0,628	IV ს. დასაწყისი
VI ფრაგმენტი	60	0,676	IV ს. დასაწყისი
VII ფრაგმენტი	61	0,675	IV ს. დასაწყისი
საერთო საშუალო	60	0,548	IV ს-ის დასაწყისი
VIII ფრაგმენტი	70	0,571	IX ს.
IX ფრაგმენტი	64	0,600	IX-X სს.
X ფრაგმენტი	67	0,663	IX ს. ბოლო
საერთო საშუალო	67	0,611	IX ს. ბოლო

ამგვარად, როგორც ცხრილიდან ჩანს, არქეომაგნიტური მეთოდით გამოკვლეული ზემოხსენებული ათი ფრაგმენტი ქრონოლოგიური თვალსაზრისით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად. პირველი შვიდი ფრაგმენტი თარიღდება III საუკუნის დასასრულითა და IV საუკუნის პირველი ნახევრით, ხოლო ბოლო სამი ფრაგმენტი IX საუკუნის ბოლოთი.

1 ბ. ზ. ნოდია, დედაშიწის მაგნიტიზმი. თბილისი, 1959.

2. М. З. Нодия, К методике исследования микро-территориальной и микро-темпоральной вековой вариации магнитного поля Земли. Труды Института геофизики АН ГССР, т. XIV, 1955.

3. С. П. Бурлацкая, Археомagnetизм — исследование магнитного поля Земли. «Лука», Москва, 1955.



4. Е. Телье, О. Телье, Об изменчивости магнитного поля Земли в историческом и геологическом прошлом. Изв. АН СССР, сер. геофиз. 9, 1959.
5. М. З. Нодиа, А. М. Апакидзе, З. А. Челидзе, Некоторые результаты исследования наклоения и напряженности геомагнитного поля архемагнитным методом на территории Грузинской ССР. Сообщения АН ГССР, т. 56, 1, 1969.
6. С. П. Бурлацкая, Н. Е. Начасова, Т. Б. Нечаева, О. М. Русаков, Г. Ф. Загний, Е. Н. Тархов, З. А. Челидзе, Archaeomagnetic Research in the USSR: Recent Results and Spectral Analysis, Archaeometry, 1970, v. 12, № 1.
7. М. З. Нодиа, А. М. Апакидзе, З. А. Челидзе, Ergebnisse der Erforschung des Erdmagnetfeldes mit Hilfe der archäomagnetischen Methode auf dem Territorium der Georgischen SSR. Gerlands Beiträge zur Geophysik, Band 80, Heft 6, Leipzig, 1971.

8. შ. ზ. ნოდია, ა. მ. აფაქიძე, ზ. ა. ჭელიძე. არქეოლოგიაში დათარიღების არქეომაგნეტიკური მეთოდის გამოყენების საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 67, 3, 1972.



თამაზ იაქაშვილი

საქ. კულტურის სამინისტროს სპეც.
სამეცნიერო სარესტავრაციო სახე-
ლოსნოს სამეცნიერო-კვლევითი ლაბორა-
ტორიის უფროსი



რესტავრაციის ზოგირთი პრობლემის გადაწყვეტის შესახებ

კულტურის არქიტექტურული ძეგლების და სამუზეუმო ექსპონატების არსებობის ხანგრძლივობის გაზრდა, აგრეთვე მიმდინარე და კაპიტალურ რემონტზე დანახარჯების შემცირება ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა წარსულის კულტურის შენარჩუნების საქმეში.

საშენი მასალების უმრავლესობის დაშლის მიზეზი წყალია. ისეთი მასალები, როგორცაა ბეტონი, გაჯი, ქვის საშენი მასალები, საამშენებლო კერამიკა და ა. შ. წყლით გატენთვისას წონაში თითქმის 30%-მდე იმატებენ.

წყალი, როდესაც ფორებში შეაღწევს, თანდათანობით ხსნის კრისტალურ ნაწილაკებს, რის გამოც მათ შორის კავშირი ირღვევა ან სუსტდება, ეს კი თავის მხრივ იწვევს მასალების სიმტკიცის შემცირებას.

საამშენებლო მასალის სიმტკიცის შემცირებას იწვევს აგრეთვე წყლის თხელი ფენების გამსლენი მოქმედება, რის გამოც ხდება კრისტალური სტრუქტურის მიკროელემენტების განცალკევება.

მასალის სტრუქტურას აგრეთვე ძლიერ შლის მისი ღშირი დანესტიანება და გაშრობა. გადაადგილდება რა ფორებში (კაპილარული მიგრაცია) წყალს გახსნილი ნივთიერებები ერთი უბნიდან მეორეში გადააქვს. გაშრობის შემდეგ ხდება გახსნილი ნივთიერებების კრისტალიზაცია, რაც იწვევს მასალის დარღვევას თუ კრისტალური პროდუქტების მოცულობა აღემატება ამ უბანში გახსნილი ნივთიერებების მოცულობას.

საშენ მასალებზე განსაკუთრებით დამანგრეველად მოქმედებს მათი პერიოდული გაყინვა და გაღვობა. თბიერი მდგომარეობიდან მყარ მდგომარეობაში გადასვლისას წყალი იმატებს ზომებში დაახლოებით 8-9%, რასაც შეუძლია შექმნას წნევა 2000 ატმოსფეროზე მეტი. ასეთი შინაგანი წნევის მოქმედებით ბზარები უჩნდება ყველაზე უფრო მაგარი ქანის ქვებსაც კი.

წყლით გატენთვის დროს უარესდება მასალის ძირითადი თვისებები. იმატებს მოცულობითი წონა და განსაკუთრებით სითბოგამტარობა. ასე მაგალითად, სინესტის 10%-ით გაზრდა იწვევს სითბოგამტარობის 1,5-ჯერ ზრდას

მასალის მაღალი წყალგამტარობა იწვევს შენობის შიდა კედლებზე ნესტის გაჩენას, რაც ამაზინჯებს ინტერიერს და აფუჭებს მოხატულობას.

სინესტის აგრესიული მოქმედება განსაკუთრებით იგრძნობა მეტალის ძეგლებზე. წყლის წვეთები იწვევენ მეტალის ზედაპირის კოროზიას ანუ მისი ე. წ. პატივით და-



ტარვას. ჰაერის მუდმივი ტენიანობის დროს კოროზიის ზრდა დროისგან დამოკიდებულია მუდმივად, სხვადასხვა მეტალისათვის სხვადასხვაა (ცხრილი 1.). II ცხრილში წყნება ჰაერის ფარდობითი ტენიანობის მოქმედება სპილენძის კოროზიაზე, როდესაც ჰაერში SO₂-ის კონცენტრაცია არის 10 %.

იმ ადგილებში, სადაც ჰაერის ფარდობითი ტენიანობა მაღალია, პატინა წარმოიქმნება საკმაოდ ინტენსიურად იმ ძეგლებზეც კი, რომლებსაც ატმოსფერული ნალექები საერთოდ არ ხვდება.

ცხრილში მოცემულია ფარდობითი ტენიანობის სიდიდეები საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქში.

ქალაქი	H%		
	საშუალო თვეური		
	მინიმალური	მაქსიმალური	საშუალო წლიური
სპილენძი	68,7	89,5	82,2
რიგა	71,2	89,2	80,5
ბათუმი	62,2	83,0	75,7
მოსკოვი	57,2	85,2	71,5
თბილისი	58,5	75,0	67,2
ალმათა	88,8	71,2	54,9
ტაშკენტი	35,3	76,8	52,9

ჰაერში წყლის წვეთების გარდა იმყოფება ისეთი შენაერთებიც, რომლებიც ძლიერ მოქმედებენ საშენ მასალებზე და მეტალებზე. ასეთებია: SO₂, SO₃, HCl, NH₃, NO₂ და სხვები.

ზემოთ ჩამოთვლილი მინარევებიდან კოროზიულობის თვალსაზრისით ყველაზე აგრესიული არის გოგირდოვანი ანჰიდრიდი SO₂ და გოგირდის ანჰიდრიდი SO₃. SO₂-ის საშუალო შემცველობა ჰაერში სოფლის რაიონებში დიდი არ არის, მაგრამ სამრეწველო რაიონებში მათი რაოდენობა 20-100-ჯერ იზრდება.

ყველა გეოგრაფიული რაიონის ატმოსფერო შეიცავს NO₂-ს, რომლის კონცენტრაცია იზრდება გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდებში.

ზღვისპირა რაიონების, ხანდახან კი სოფლის და სამრეწველო რაიონების ატმოსფეროები შეიცავენ Cl₂ და HCl.

მოყვანილია ბათუმის რაიონის ატმოსფეროში აგრესიული გაზების კონცენტრაციის ცვლილება წლის სხვადასხვა დროს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ჰიმოიის ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით.



საშუალო კონცენტრაციები

სეზონი	საშუალო კონცენტრაციები						
	SO ₂	SO ₂	Cl ₂	HCl	H ₂ S	NO ₂	NH ₃
ზამთარი	0,004	0,004	0,075	0,015	0,003	0,0002	0,035
გაზაფხული	0,011	0,014	0,030	0,010	0,015	0,0002	0,143
ზაფხული	0,004	0,005	0,030	0,004	0,015	0,012	0,110
შემოდგომა	0,002	0,002	0,020	0,005	0,008	0,0003	0,223

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კულტურის ძეგლები ყოველდღიურად განიცდიან წყლის და აგრესიული გაზების მოქმედებას, რასაც მივყავართ მათ გამოფიტვამდე და გადაგვარებამდე.

აგრესიული გაზების მოქმედების თავიდან აცილება მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული, ამიტომ კულტურის არქიტექტურის ძეგლების და სამუსეუმო ექსპონატების არსებობის ხანგრძლივობის გაზრდის თვალსაზრისით, მათზე წყლის აგრესიული მოქმედების შემცირება ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

წყლის მოქმედებისაგან საშენი მასალების დაიცვის ხაიმედო საშუალებაა მათი კიდროფობიზაცია სილიციუმ-ორგანული შენაერთებით.

კიდროფობიზაცია ეწოდება კიდროფილური მასალის ზედაპირის მიერ წყლით დაუსველებლობის თვისების მიღებას.

კიდროფობიზაციის პროცესი დამყარებულია მყარ ზედაპირზე კიდროფობიზატორის მოლეკულების ორიენტაციულ კემოსორბციაზე, რის შედეგადაც წარმოიქმნება კიდროფობური მონო- ან პოლიმოლეკულური ფენები. ეს ფენები ადსორბციის დროს ისეთნაირად ორიენტირდებიან, რომ კიდროფობიზატორის კიდროფილური პოლარული ჯგუფები მიმართულნი არიან მყარი ზედაპირისკენ, ხოლო კიდროფობური ნახშირწყალბადური რადიკალები გარემომცველი გარემოსაკენ.

ზედაპირული კიდროფობიზაციისათვის, სამშენებლო კონსტრუქციის ან დეტალის ზედაპირი, პულვერიზატორის ან ფუნჯის საშუალებით იფარება დაბალი კონცენტრაციის (არა უმეტეს 10%) ხსნარით, რომელიც შედგება კიდროფობიზატორისა და შესაბამისი გამხსნელისაგან.

განვიხილოთ კიდროფობიზატორების რამდენიმე ტიპი, რომელთა გამოყენება ზიანშეუზღოვანია არქიტექტურის ძეგლების კიდროფობიზაციისათვის.


სამშენებლო მასალების კიდროფობიზაციისათვის უფრო ხშირად იყენებენ ნატრიუმის ალკილსილიკონატებს: ნატრიუმის მეთილსილიკონატის (MCH) და ნატრიუმის ეთილსილიკონატის (ЭСН) 0,5%-იანი წყალხსნარებს. უფრო იშვიათად იყენებენ ნატრიუმის ფენილსილიკონატს (ФСН) ან კალიუმის ალკილსილიკონატებს.

ჩვენი მრეწველობა ნატრიუმის მეთილსილიკონატს უშვებს მარკით ГКЖ-11 (БТУ 6EY-211-61), ხოლო ნატრიუმის ეთილსილიკონატს მარკით ГКЖ-10 (БТУ 6EY-212-61).


ნატრიუმის ალკილსილიკონატებს სხვა ჰიდროფობიზატორებთან შედარებით უპირატესობა აქვთ, რომ ისინი გამოიყენებიან წყალხსნარების სახით, არ აქვთ სუნი, არიან საკმარისად უნივერსალური და იაფნი, ვინაიდან უფრო ხშირად მათ ამზადებენ წარმოების ნარჩენებისაგან.

ამ ხსნარების უარყოფით მხარეს წარმოადგენს მათი მაღალი ტუტეიანობა (PH -13-მდე), რაც ხელს უშლის მათ გამოყენებას ორგანული წარმოშობის მასალების ჰიდროფობიზაციაში.

ნატრიუმის ალკილსილიკონატებით ჰიდროფობიზაციის დროს არ შეიძლება მათი გამოყენება ზედმეტი რაოდენობით ან მაღალი კონცენტრაციით (5%-ზე მეტი), ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს ზედაპირზე თეთრი ნალექის გამოყოფა. ამას გარდა მაღალი კონცენტრაციის ხსნარით მასალის ზედაპირის დაფარვა მოქმედებს უარყო-



ნახ. 1



ნახ. 2

ფითად მის ჰიდროფობურობაზე და ამცირებს ჰიდროფობურობის ეფექტს. ეს ხდება იმიტომ, რომ ტუტე, რომელიც აღწევს მასალაში ალკილსილიკონატთან ერთად და სოდა რომელიც წარმოიქმნება მისი კარბონიზაციით, იწვევენ მასალების ფორების ჰიდროფილიზაციას.

გარდა ნატრიუმის ალკილსილიკონატებისა, როგორც ჰიდროფობიზატორები ფართო გამოყენებას პოულობენ პოლიალკილჰიდროსილოქსანური ხსნარები. ჩვენში წარმოება უშვებს პოლიალკილჰიდროსილოქსანურ ჰიდროფობიზატორს მარკით ГКЖ-94 (BTV EV-124-56).

სითხე ГКЖ-94 არის უფრო, უსუნო სითხე, ჰგავს გლიცერინს, არ იხსნება წყალში, მაგრამ კარგად იხსნება არაპოლარულ ორგანულ გამხსნელებში. იგი არის ნეიტრალური, არ გააჩნია კოროზიული მოქმედება, არ გამოყოფს მავნე გაზებსა და ორთქლს, ფიზიოლოგიურად უსაფრთხოა.



პოლიალკილქიდროსილოქსანური სითხეები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც 1-10% ხსნარები ორგანულ გამხსნელებში (ბენზინი, უაიტ-სპირტი, ტოლუოლი და ა. შ.), ისე 1-15% წყლიან ემულსიებში. გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ქიდროფობიზატორების ეფექტურობა განისაზღვრება როგორც საამშენებლო მასალის ქიმიური შედგენილობით, ისე თვითონ ქიდროფობიზატორის ქიმიური შედგენილობით. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ოპტიმალურ ეფექტს იწვევა მხოლოდ ერთი, არსებული ქიდროფობიზატორებიდან, რომელიც შერჩეული უნდა იყოს ექსპერიმენტალური გზით. ამავე ვხით უნდა შეირჩეს ქიდროფობიზატორული ხსნარის ოპტიმალური კონცენტრაციაც.

ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, რომელიც ვეიჩვენებს, თუ როგორ იცვლება აგურის და კერამიკული ქვების ზედაპირული წყალშთანთქმა და მარილის ხსნარების შთანთქმა, მისი სხვადასხვა ქიდროფობიზატორის: სხვადასხვა კონცენტრაციით დამუშავების დროს:

მასალა	ქიდროფობიზატორი	ხსნარის კონცენტრაცია პროცენტებში	შთანთქმა, პროცენტულად წონიდან დროში, (დღეღამეში)								
			წყლის			5 %-იანი			5 %-იანი		
			1	7	30	1	7	30	1	7	30
აგური	დამუშავების გარეშე	0	21.4	23.4	24.0	22.3	24.0	26.7	15.7	23.8	25.2
	ГКЖ—94	3	0,1	0,1	0,6	0,1	0,1	0,1	0,0	0,1	0,1
		5	0,2	1,2	2,4	0,2	0,7	0,5	0,1	1,1	1,2
	ГКЖ—10	3	0,2	1,1	2,1	0,2	0,6	0,9	0,1	1,1	1,1
		5	0,2	1,1	2,2	0,2	0,7	0,8	0,1	1,0	1,1
	ГКЖ—11	3	0,1	1,1	1,9	0,2	0,6	0,8	0,1	1,0	1,1
კერამიკული ქვი	დამუშავების გარეშე	0	25,3	28,0	30,0	15,3	24,0	26,0	8,9	23,0	25,4
	ГКЖ—94	3	0,2	0,4	0,6	0,1	0,1	0,2	0,1	0,1	0,1
		5	0,3	0,4	0,7	0,0	0,1	0,1	0,0	0,1	0,1
	ГКЖ—10	3	0,3	0,5	2,4	0,2	0,7	0,7	0,2	1,2	1,2
		5	0,3	0,4	2,2	0,2	0,5	0,7	0,6	1,1	1,3
	ГКЖ—11	3	0,2	0,4	2,0	0,3	0,6	0,8	0,2	1,1	1,2
		5	0,2	0,4	2,1	0,2	0,5	0,7	0,6	1,0	1,1

მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად ეფექტურია ქიდროფობიზაცია და სწორად შერჩეული ქიდროფობიზატორით რამდენად მცირდება წყლისა და მარილების ხსნარების შთანთქმის რაოდენობა საამშენებლო მასალის დამუშავების დროს.

მაგრამ ქიდროფობიზაციის გამოყენება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც საშუალო მასალები იმდენად არის გამოფიტული, რომ ვერაფრითარ ქიდროფობიზაცია მას ვერ უშველის. ბუნებრივია, ისმის კითხვა: არსებობს თუ არა ისეთი მეთოდები და გზები, რომლებიც დაგვეხმარებინან გამოფიტული და დაშლილი მასალის მექანიკური თვისებების აღდგენაში. ამ პრობლემაზე მუშაობს სარესტავრაციო ორგანიზაციებთან არსებული მრავალი სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა საკმაოდ რთულია და ჯერჯერობით მისი გადაჭრა არ ხერხდება, მაგრამ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოებიდან არის რამდენიმე, რომელიც უდავოდ ყურადღებას

იმასხურებს. მაგალითად აღნიშვნის ღირსია სრულიად რუსეთის სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოსთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ ჩატარებული სამუშაოები სილიციუმორგანიკის (ე. წ. KC_1) გამოყენების საქმეში, დაშლილი და გამოფიტული მასალების გამაგრების თვალსაზრისით KC_1 , წარმოადგენს გარკვეული სიმკვრივის ეთილსილიკატ—32-ის და სხნადი მინის ნარეგს. შერევა ხდება გარკვეული პროცენტული შემადგენლობით. შერევის შედეგად მიიღება საკმაოდ ადვილად შობრავი, გამჭვირვალე, უფრო სითხე. შემდეგ ხდება მისი ინტეგნია გასამაგრებელ დეტალში. კაპილარებში მოხვედრილი ნაწილაკები გარკვეული ხნის შემდეგ პოლიმერიზდებიან, რის შედეგადაც ხდება დეტალის ნაწილაკებს შორის შესუსტებული კავშირების აღდგენა და განმტკიცება. გარდა ბუნებრივი ქვისა KC_1 -ით შეიძლება დამუშავებულ იქნეს აგური, კრამიტი, ხე და ა. შ. ამავე დროს KC_1 -ით დამუშავებულ ხეს არ ეშინია ცეცხლის და ბიოლოგიური თვალსაზრისით უფრო მდგრადია.

ამას გარდა (KC_1 -ის დახმარებით შესაბამისი მასალების ნაფხვენებისაგან შეიძლება დამზადდეს ხელოვნური გზით ქვა, აგური, კრამიტი და ა. შ. ასეთი სახით ჩამოსხმული მასალები გარეგნულად არაფრით არ განსხვავდებიან ნამდვილი მასალებისაგან, ხოლო ფიზიკო-მექანიკური თვისებები უკეთესი აქვთ, ვიდრე ნამდვილ მასალებს

ნიმუშის დასახელება	მდგრადობა შეკუმშვაზე	წყალშთან-ტემა	მდგრადობა გახლეჩვაზე	ცეოთაღობა	უნივერსალურობა	ორთქლ-შეღწევალობა
საზომი ერთეული	კგ/სმ ²	%	კგ/სმ ²	მეტრონი	ცთელი %	მგ/მსთ ვ. წ. სვ. შმ
1	2	3	4	5	6	7
ფიორი ქვა (საკონტრაქტო)	119—127	14	—	890	20—40	—
ფიორი ქვა გადღწეული ვა-მ. მკვრებელი ხსნარით	290—370	10—13	—	160—200	50-ზე მეტი	—
ფიორი ქვა ჩამოსხმული	270—312	10—12	—	—	50-ზე მეტი	—
წითელი აგური (საკონტრაქტო)	62—94	17	5,1 (ქველი აგურის ხიმუშა)	—	15	$1,4 \div 1,5 \times 10^2$
წითელი აგური გადღწეული	139,5	15,8	—	—	20 - 25	$1,1 \div 1,3 \times 10^2$
წითელი აგური ჩამოსხმული	236—330	15,0	24,5	—	50-ზე მეტი	$0,8 \div 1,0 \times 10^3$
ქართული ტუფი გადღწეული	62,8 64,2	11—13	—	—	36-ზე მეტი	—
ქართული ტუფი საკონტრაქტო	24,7 31,8	15—16	—	—	36 ზე მეტი	—

საბოლოოდ KC_1 -ის დადებითი მხარეები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგ პუნქტებად:

1. იგი არ უცვლის ფაქტურას დამუშავებულ არქიტექტურულ დეტალებს.
2. კონსერვირებული მასალის მდგრადობა იზრდება რამდენიმეჯერ.



3. დამუშავებული წიგნის ფორიანობა თითქმის არ იცვლება.
4. გამაგრებული მასალა იღებს მაღალ ატმოსფერულ მდგრადობას სინესტრს, კივიური ზემოქმედების და ტემპერატურის მერყეობის მიმართ.
5. მასალა იძენს ბიოლოგიურ მდგრადობას მწერების, მცენარეების და ა. შ. მიმართ.
6. მეთოდი უბრალოა, არ მოითხოვს განსაკუთრებულ დანადგარებს და დეფიციტურ მასალებს.

ყოველივე აქედან გამომდინარე თითქმის მოინახა მეთოდი გამოფიტული მასალების გამაგრებისა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ხსნარით დამუშავებულ მასალაზე დამუშავებულად მოქმედებს დროის ფაქტორი. ე. ი. პირველ ხანებში KC_{11} -ით დამუშავებული მასალები არაჩვეულებრივ ეფექტს იწვევს, მაგრამ დროთა ვითარებაში ისინი გაცილებით უარეს მდგომარეობაში ვარდებიან, ვიდრე დამუშავებამდე იყვნენ. ამავ დროს ხდება მარილების გამოყოფა თეთრი ნალექის სახით, რაც აფუჭებს ფაქტურას. მაგრამ ცხადია, რომ ამ მეთოდის მთლიანად უარყოფა არ შეიძლება. შემდგომი დამუშავების შედეგად შეიძლება იგი მისაღები გახდეს გამოფიტული მასალების გამაგრების საქმეში.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არცერთი შრომა, რომელიც მიზნად ისახავს გამოფიტული და დაშლილი მასალების გამაგრებას, არ დაგვირგვინებულა წარმატებით. ე. ი. მოცემულ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ისეთი სრულყოფილი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დაშლილი მასალების ფიზიკური და მექანიკური თვისებების აღდგენა.

როგორც ვიცით, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის ძირითადი პრინციპია მაქსიმალური მიახლოება ისტორიულად ნამდვილ ფორმებთან, ამასთანავე რაც შეიძლება სრულად უნდა დაიცვას ძეგლის არსებული ელემენტები და ნაწილები. უმეტეს შემთხვევაში რესტავრატორებს საქმე აქვთ დარღვეულ არქიტექტურულ ელემენტებთან, რომლებიც შესრულებულნი არიან თეთრი ქვისგან, აგურისგან და სხვა მასალებისგან.

მათი თავიდან დამზადება მოითხოვს დიდ დროს და გარკვეულ ხელოვნებას, ამასთანავე ამ ძველი დარჩენილი ნაწილების გამოცვლა უკარგავს ფასს არქიტექტურულ ძეგლს. ცხადია ისმება საკითხი ისეთი წებოს დამზადების შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემს რესტავრატორებს ნაწილმომტრეული და დამახინჯებული არქიტექტურული დეტალის მთლიანად გამოცვლის ნაცვლად, დაამზადონ მომტრეული ნაწილი ისეთივე ახალი მასალიდან და შემდეგ მიაწებონ დაკარგული ნაწილის ადგილას. ასეთი წებო დაამზადეს ტრესტ „მოსობლსტროირესტავრაციის“ სამეცნიერო კვლევით განყოფილებაში და მისი ექსპერიმენტული გამოცდა განხორციელებული იყო ქ. ზაგორსკში „ტროიცე-სერგეევა ლავრას“ ობიექტზე, თეთრი ქვისგან დამზადებული არქიტექტურული ელემენტების რესტავრაციის დროს. ექსპერიმენტმა დადებითი შედეგი მისცა.

ეს წებო დამზადებულია ეპოქსიდური ფისის საფუძველზე. მაგრამ მის უარყოფით მხარეს მისი სიძვირე წარმოადგენს. ამიტომ ბოლო დროს ასეთი ხასიათის საშუალების წარმოებაში სულ უფრო ფებს იკიდებს კოლოიდურ-ცემენტური წებოები. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გარდა, რიგი ლაბორატორიების ამუშავებენ საკითხებს ხელოვნური ლორფინების დამზადების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ფორმატის ხელოვნური ლორფინების დამზადება მოხერხდა, ისინი საკმარისად მტკი-

